პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
11 აპრილი ოთხშაბათი 2012 №085(13691) ფასი 80 თეთრი

# 10 100 000 €

## გერმანულმა კომპანიამ ქართული კავკასიური გუნდების ფინანსური აუდიტი ჩაატარა და გაირკვა: დინამო ყველაზე ქვირადღირებულია

4

# დღეს ყველაფერი გაირკვევა




8

# გორელი მატადორის დუბლი

## საქართველოს თასი: პირველი სერია ვნახეთ



მათე ვანაძე

2

### მილანი ლიდერია! დროებით?



6

### ბარსას 4:0, რეალამდე ქულაა



7

გაბრიელ ბარქაძის ფოტო



10

## საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ევროპის ჩემპიონია, ახალგაზრდული გუნდი - ვიცე-ჩემპიონი!

# შემდეგი გაჩერება ვიქტორ სანეევი!

## ლონდონის მეტროში ჩვენი ლეგენდის სადგური იქნება

BBC Sport-ის ჟურნალისტმა და რედაქტორმა ალექს ტრიკეტმა და სპორტულმა ისტორიკოსმა დევიდ ბრუქსმა წარმოადგინეს პროექტი - "ლონდონის ოლიმპიური მეტრო". ლონდონის თამაშების წინ შეიცვლება 361 სადგურის სახელწოდება - მათ დროებით ყველა დროის უდიადესი ოლიმპიელების სახელებს დაარქმევენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი

ნახევარფინალი. პირველი მატჩები

# მატადორი გორელებსაც ჰყოლიათ

10.04. თბილისი. მ. მესხი.
3 000 მაყურებელი

გაგრა **1**
დილა **2**

1:0 ჯერემია(20), 1:1 ვანაძე(63, ხოჯავას პასით), 1:2 ვანაძე(82, ახალკაცის პასით)

| გაგრა 4-5-1 | დილა 4-2-3-1 |
|---|---|
| ბეგაშვილი | სკენდერი |
| ხუციძე | ალადაშვილი |
| ტყეშელაშვილი | ინწკირველი |
| ჯგერენაია | სალუქვაძე |
| ნ. ჯიშკარიანი | მგელიშვილი |
| კობერიძე | ბეჭვაია |
| ყურულაშვილი | კაშია |
| ზვიადაძე | კახელიშვილი |
| სარდალიშვილი | ხოჯავა |
| ჭკუასელი | ლექვთაძე |
| ჯერემია | ვანაძე |
| მწვრთნელი ზ. ჯელაძე | მწვრთნელი: თ. შალამბერიძე |

**გაგრა**

68. ზვიადაძე - **ხოჯაშვილი**
72. კობერიძე - **ყიფიანი**
78. ჭკუასელი - **კვანტალიანი**
*სათადარიგოები: მაღრაძე, ნარმანია, ლ.სეთურიძე, ფალავანდიშვილი*

**დილა**

56. კახელიშვილი - **გურული**
70. ხოჯავა – **ახალკაცი**
90. ლექვთაძე – **ნ. ნოზაძე**
*სათადარიგოები: შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, თოთაძე, ბარაბაძე*
გაფრთხილება: ტყეშელაშვილი (2), ყურულაშვილი (11), ზვიადაძე (61)
არბიტრი: ლ. კვარაცხელია

ყველაფერი ცალკეული ფეხბურთელების კლასმა გადაწყვიტა – ამაში გუნდები თანაბრად ვერ იყვნენ და მეორე ტაიმში განსხვავება უკვე აშკარად გამოჩნდა.

**მათე ვანაძემ** დუბლი შეასრულა, თავისებური მასტერკლასი ჩაატარა – ნახეთ, როგორი უნდა იყოს ცენტრფორვარდი, ნამდვილი მატადორი, რომელიც ბოლო დარტყმას დაუნდობლად და ზუსტად ასრულებს.



მათე ვანაძის (მარჯვნივ) დუბლმა დილას ფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადაადგმევინა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

"გაგრამ" მოლოდინი გაამართლა, შეუპოვრად იბრძოლა, მეტწილად თავის დაცვა უწევდა, თუმცა შეტევაშიც ყოჩაღად ირჯებოდა, 4-5 ფეხბურთელით უტევდა.

"არაფრის დათმობას არ ვაპირებ" – "გაგრამ" ეს პირველივე წუთებიდან აგრძნობინა მეტოქეს. "დილა" სწრაფი გოლის გატანას შეეცადა, მაგრამ ისეთ წინააღმდეგობას წააწყდა, რომ გოლი აქეთ გაუშვა.

"დილას" შეტევის მწყობრად განვითარება უჭირდა. **გოჩა ხოჯავა** ოპტიმალურ ფორმაში ჯერ ვერ არის, თუმცა თამაშის წაყვანას ნიადაგ ეშურებოდა. გორელებს მასპინძლები კარგად ბოჭავდნენ, ხისტ და აგრესიულ თამაშს არ ერიდებოდნენ.

ნიგერიელი **ჯონ ჯერემია** "დილას" ცენტრალურ მცველებში გახლდათ ჩასაფრებული, ბურთის ართმევაზეც მუშაობდა და შეტევაშიც სატევარივით ბასრი იყო. **ლექსო ინწკირველმა** რამდენჯერმე რისკიანად გადააწოდა ბურთი უკან **მარიან სკენდერს,** ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა კი "დილასთვის" სავალალო აღმოჩნდა- სკენდერმა ბურთი ვერ აიტანა, ჯერემიამ დაუხვედრა ფეხი და 1:0...

თამაში უფრო ლაზათიანი შეიქნა. "დილა" იძულებული გახდა, უფრო მწვავედ შეეტია. სტუმრებმა რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნა მოახერხეს, რომელთაგან აღსანიშნავია **ირაკლი ლექვთაძის** ძლიერი დარტყმა – ბურთი ძელმა აისხლიტა. ხოჯავას შესრულებულ ჯარიმა კი **გიგა ბეჭვაიას** არაზუსტი თავურით დასრულდა. გორელები ამით რომ არ დაკმაყოფილდებოდნენ, ცხადი იყო, მთავარი ბრძოლები მეორე ტაიმისთვის გადაიდო.

"გაგრა" უშანსოდ არ გამოიყურებოდა, თუმცა **ზვიად ჯელაძის** გუნდს აშკარად აკლდა მოედნის ცენტრში გამოცდილი ფეხბურთელი, ვინც თამაშს დაალაგებდა და ვინძლო ერთი საზრიანი და ზუსტი პასით წერტილს დაუსვამდა ყველაფერს. ჯერემია ისევ იშტაზე იყო და შეიქმნა ერთი-ორი ისეთი ეპიზოდი, კარგი პასით მეკარესთან პირისპირ დარჩენა რომ შეეძლო. ისეც მოხდა, ნიგერიელ ფორვარდს მარტოკას რომ მართებდა "დილას" ხელმეორედ დაღონება -- ინწკირველი ოსტატურად ჩამოიტოვა, მახვილი კუთხით მყოფს თანაგუნდელთაგან არავინ არ ეხსნებოდა, დარტყმა გადაწყვიტა და მიზანს აცილა. ჯერემიას კიდევ ჰქონდა შანსი, როცა "დილას" კართან ახლოს მყოფმა **ნიკოლოზ ჯიშკარიანის** პასი ვერ შეიშნო.

**თემურ შალამბერიძემ** მოედანზე **სანდრო გურული** შეუშვა, რომელიც ურიგოდ როდი ჩაერთო თამაშში, თუმცა ეს შეცვლა გაჭირვების ტალკვესად მაინც ვერ გამოდგა. გურულის ერთ-ერთ ჩაწოდებას ვანაძის ოდნავ არაზუსტი თავური მოჰყვა. იყო სხვა მწვავე ეპიზოდებიც, მაგრამ თამაშის შემობრუნებას ჯერ პირი არ უჩანდა. რაც უფრო გადიოდა დრო, განსხვავება კლასში ტივტივდებოდა, ხელის გულზე დადებულივით ჩანდა - ხოჯავა და ვანაძე ის დუეტი იყო, "გაგრას" გატეხა რომ შეეძლო და ასეც მოხდა – ხოჯავას მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულს ვანაძემ უნაკლო თავური მიაყოლა – 1:1.

"გაგრას" ცენტრალურ მცველებს, **გიორგი ტყეშელაშვილსა** და **გიორგი ჯგერენაიას** ერთობ უჭირდათ ვანაძის ამოკეტვა. "დილამ" ანგარიში რომ გაათანაბრა, ეს უკვე გარდამტეხი მომენტი იყო.

ვანაძეს მალევე მართებდა დუბლის შესრულება – ლექვთაძის ჩაწოდებულზე თავით ხარიხას შეაწყვიტა ბურთი.

შალამბერიძემ კარგად იგრძნო სიტუაცია და მოედანზე **რომან ახალკაცს** უხმო, რამაც კიდევ უფრო გაუძნელა საქმე "გაგრას". მეორე საგოლე პასიც სწორედ ახალკაცმა შეასრულა და ვანაძემ კვლავ თავურით გაიტანა.

მატჩის ბოლოს მათე ჰეთ თრიკზე მიდიოდა, თუმცა ხელი მოეცარა – ლექვთაძის შესრულებულ კუთხურს თავი კი დაადგერა, მაგრამ **გიორგი ბეგაშვილს** ველარ აჯობა.

**მატჩის შემდეგ**

**თემურ შალამბერიძე (დილა):** "ვიცოდი, რომ ძნელი თამაში იქნებოდა, "გაგრას" ფეხბურთელები კარგად და სწრაფად მოძრაობენ. დასანანი გოლი გავუშვით, მაგრამ ამის შემდეგ ბიჭებმა კარგი ჟინი გამოავლინეს და შეხვედრა შემოატრიალეს."

**ზვიად ჯელაძე (გაგრა):** "სანახაობრივი და კარგი თამაში გამოვიდა. წავაგეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი დამთავრდა, ეს ორმატჩიანი დაპირისპირებაა. დღევანდელი მარცხი დაცვაში დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა და ვანაძის მაღალმა კლასმა განაპირობეს, ვანაძე საქართველოში საუკეთესო თავდამსხმელია."

**დავით თავართქილაძე**

10.04. ზესტაფონი. დ. აბაშიძე.
1 500 მაყურებელი

ზესტაფონი **1**
მეტალურგი **1**

0:1 სიხარულიძე (37. თექთურმანიძის პასით), 1:1 დვალი (41. აფციაურის პასით)

| ზესტაფონი 4-4-2 | მეტალურგი 4-2-3-1 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | ბათიაშვილი |
| თ. ლონლაძე | გ. სეთურიძე |
| გ. ონიანი | გ. კვარაცხელია |
| საჯაია | გავაშელიშვილი |
| ელიავა | ს. თოდუა |
| აფციაური | რაზმაძე |
| გორგიაშვილი | ქავთარაძე |
| მენთეშაშვილი | თექთურმანიძე |
| შ. გრიგალაშვილი | ი. მაისურაძე |
| დ. მუჯირი | ჯაფარიძე |
| დვალი | სიხარულიძე |
| მწვრთნელი გ.ჭიაბრიშვილი | მწვრთნელი კ.ჟორჟიკაშვილი |

**ზესტაფონი**

63. გორგიაშვილი – **შარიქაძე**
71. მუჯირი – **ოვონიკოკო**
76. საჯაია – **კობახიძე**
*სათადარიგოები: მამალაძე, ბენაშვილი, სამუშია, წინამძღვრიშვილი*

**მეტალურგი**

63. ს. თოდუა – **დობროვოლსკი**
69. თექთურმანიძე – **ჭედია**
80. სიხარულიძე – **ტატანაშვილი**
*სათადარიგოები: ბედიაშვილი, მახვილაძე, ხოხონიშვილი, მოდებაძე*
გაფრთხილება: საჯაია (16), რაზმაძე (56), გორგიაშვილი (62), ჭედია (90)
არბიტრი: ლ. სილაგავა

# პირველი სერია ნორმალური იყო
## მეორე უკეთესი გვინდა

როცა ორრაუნდიან სათასო დაპირისპირებაში სტუმრად გოლი გაგაქვს და არ მარცხდები, განმეორებითი მატჩის წინ კომფორტულ მდგომარეობაში ხარ – როგორც თავიდანვე ნათელი იყო, გუშინ ბევრი ვერაფერი გაირკვა და ფინალისტის ვინაობა რუსთავში გამოვლინდება, მაგრამ პირველ მატჩში "მეტალურგმა" ზემოთ ნახსენებ უპირატესობას მიაღწია და საპასუხო შეხვედრისთვის "ზესტაფონი" რთული ამოცანის წინაშე დააყენა.

"დავით აბაშიძეზე" ერთმანეთს ჩემპიონობის პრეტენდენტები დაუპირისპირდნენ და საინტერესო იყო, ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩების წინ როგორ წარმოაჩენდნენ თავს ზესტაფონელები და რუსთაველები. თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ თამაში ურიგო სანახავი არ ყოფილა და რიგ ეპიზოდებში მასპინძლებმაც და სტუმრებმაც საკუთარი შესაძლებლობები კარგად დაგვანახეს, მაგრამ მაინც გვგონია, რომ ორივე გუნდს მეტი შეუძლია..ამის თქმა უფრო უპრიანი "ზესტაფონზე" იქნება, რადგან გუშინ მისთვის არცთუ ხელსაყრელი ანგარიში დაფიქსირდა.

"ზესტაფონმა" ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშა, "მეტალურგის" სასტარტო თერთმეტეულში კი "დინამოსთან" მატჩის შემდეგ რამდენიმე ცვლილება განხორციელდა. **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდს დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ დაუბრუნდნენ **გივი კვარაცხელია** და **გიორგი თექთურმანიძე,** "დინამოს" კარში გატანილი ეფექტური გოლის ავტორი **რევაზ გეწაძე** გუშინდელ შეხვედრას ავადმყოფობის გამო დააკლდა, კარში კი მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, **გრიგოლ ბედიაშვილის** ნაცვლად არანაკლებ გამოცდილი **ზურაბ ბათიაშვილი** ჩადგა.



გიორგი ქავთარაძე (მარცხნივ) და ზურაბ მენთეშაშვილი

ფოტო: www.fczestafoni.ge

პირველი ტაიმი მეორეზე გაცილებით შინაარსიანი და სანახაობრივი გამოდგა. შესვენებამდე "მეტალურგი" "ზესტაფონს" არაფერში ჩამორჩა და ხშირად მასპინძლებზე უკეთაც გამოიყურებოდა. საწყის 45 წუთში სტუმრებმა უფრო მეტი სახიფათო მომენტი შექმნეს.

მე-16 წუთზე "მეტალურგის" სწრაფი კონტრშეტევა **ედიკ საჯაიამ** ყვითელი ბარათის ფასად შეაჩერა, ერთ წუთში კი **გიორგი გავაშელიშვილის** მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა **როინ კვასხვაძემ** ხელებში დააფიქსირა. საინტერესო ეპიზოდები ამის შემდეგაც ხშირი იყო. **შოთა გრიგალაშვილის** ახლო კუთხეში დარტყმულს ბათიაშვილი გადაეფარა, **სევასტი თოდუას** კვასხვაძემ არ გაატანინა.

"ზესტაფონის" მეკარემ 36-ე წუთზე თავისი გუნდი კიდევ ერთხელ გადაარჩინა, ერთ წუთში კი უკვე უძლური იყო. თექთურმანიძე მასპინძელთა საჯარიმოში შეტევის მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა, გზად ორი მეურვე ჩამოიცილა და **ირაკლი სიხარულიძეს** ისეთი პასი გაუკეთა, გოლს ფეხის ერთი მოქნევაღა რომ სჭირდება – 0:1.

იმერლებმა საპასუხო და არანაკლებ ლამაზი გოლი ძალიან მალე გაიტანეს – "ზესტაფონის" შემადგენლობაში ერთ-ერთმა გამორჩეულმა **დავით მუჯირმა** საჯარიმოში ბურთი **თორნიკე აფციაურს** "შეუყოლა", რომლის გამჭოლ გადაცემასაც ბათიაშვილი კი ჩაუწვა, მაგრამ მის მიერ მოგერიებული ბურთი მცველს მოხვდა, "აიჭრა" და უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა **ჯაბა დვალმა** ვარდნით გადაგზავნა "მეტალურგის" კარში – 1:1.

მეორე ტაიმში სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდისა იყო, რაც გასაკვირი ნამდვილად არ გახლდათ – რუსთაველთათვის შედეგი აბსოლუტურად მისაღები იყო და შესაძლოა, მათ "მეორე ნომრობა" შეგნებულადაც აირჩიეს, ფეროელებს კი მეორე გოლი ძალიან სჭირდებოდათ. "ზესტაფონი" მეტოქის საჯარიმომდე იოლად მიდიოდა, მაგრამ იქ ხელსაყრელი გაგრძელებების პოვნა უჭირდა. მეორე ნახევარში ყველაზე რეალური შანსი **თორნიკე გორგიაშვილს** ჰქონდა, რომელიც მეკარესთან პირისპირ ოდნავ მახვილი კუთხიდან გავიდა, მაგრამ, სამაგიეროდ, დასარტყმელად დიდი დრო ჰქონდა. ამის მიუხედავად, მასპინძელთა ნახევარმცველმა ბურთი კარს ააცილა.

მეორე ტაიმის შინაარსის მიუხედავად, ვერავინ იტყვის, რომ ეს 1:1 "მეტალურგს" არ დაუმსახურებია. ჟორჟიკაშვილის გუნდი შინ ხელსაყრელი ანგარიშით დაბრუნდა და ფინალში გასვლის კარგი პერსპექტივაც აქვს, თუმცა მთავარი ბრძოლა "ფოლადის" ხელოვნურსაფრიან მოედანზე გველის – "ზესტაფონი" უშანსოდ ნამდვილად არ არის და ვნახოთ, ვის დარჩება თასის ფინალის მეორე საგზური. პირველი საგზურის მფლობელი კი უკვე აშკარად გარკვეულია...

**ლევან ჯანეზაშვილი**

გადადებული მატჩი

პლეი ოფი

# ტორპედომ პოზიციები გაიმყარა

10.04. ქუთაისი. ტორპედო. 3 500 მაყურებელი

ტორპედო 2 – მერანი 0

1:0 საბანაძე (37.დოლიძის პასით), 2:0 ვ.ბოლქვაძე (86)

| ტორპედო 4-4-2 | მერანი 4-4-1-1 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | შეროზია |
| იოსელიანი | მელიავა |
| კვახაძე | იოგაშვილი |
| გამეზარდაშვილი | გ. ჟვანია |
| გურული | სუხიაშვილი |
| დოლიძე | ვართაგავა |
| დილმელაშვილი | ტორონჯაძე |
| გ. დათუნაიშვილი | დიდავა |
| თარხნიშვილი | ამბროლაძე |
| საბანაძე | ე. გრიგალაშვილი |
| გოცირიძე | ტაპე |
| მწვრთნელი: გ.გეგუჩაძე | მწვრთნელი: მ. ჟვანია |

**ტორპედო**

62. გოცირიძე - **ვ.ბოლქვაძე**
72. დოლიძე - **კუხიანიძე**
88. საბანაძე - **დ. ჯანელიძე**

სათადარიგოები: ქვილითაია, ტაბატაძე, ფარულავა, ფირცხალავა.

**მერანი**

59. ამბროლაძე - **ფონიავა**
65. ვართაგავა - **წოწორია**
73. ტორონჯაძე - **ბოხუა**

*სათადარიგოები: შენგელია, კიკალიშვილი, ტორაძე, კაკულია.*

გაფრთხილება: ვართაგავა (13), გურული (32)

არბიტრი: ო.ხეცაძე

დიდთოვლობის გამო გადადებული პლეი ოფის შეხვედრა ქუთაისელებისთვის ყოველმხრივ წარმატებული გამოდგა. **გია გეგუჩაძის** გუნდმა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და მარტვილელთა დამარცხებით სატურნირო ცხრილში მესამე პოზიციაზე მყარად დამკვიდრდა. „ტორპედო" უახლოეს მდევარს, თბილისის „დინამოს" უკვე 3 ქულით უსწრებს და არც ლიდერებთან აქვს ისეთი ჩამორჩენა, რომლის აღმოფხვრაც შეუძლებელი იქნება. რაც შეეხება „მერანს", როგორც ჩანს, **მალხაზ ჟვანიას** გუნდმა პლეი ოფში მოხვედრით პროგრამა მაქსიმუმი შეასრულა. გუშინდელ შეხვედრაშიც იგრძნობოდა, რომ „ტორპედო" უფრო მოტივირებული და გამარჯვების წყურვილით აღსავსე იყო ვიდრე, სტუმართა გუნდი, რომელიც პლეი ოფში მოხვედრის შემდეგ სასურველ თამაშს ველარ აჩვენებს. ქუთაისელებმა მეტოქეს თავიდანვე აქტიურად შეუტიეს. განსაკუთრებით მარცხენაფლანგელი **თორნიკე თარხნიშვილის** კარგი თამაშია აღსანიშნავი, რომლის ფლანგურ გარღვევებს, სახიფათო ჩაწოდებებსა თუ კარში დარტყმებს სტუმრები გაჭირვებით უმკლავდებოდნენ. მეტად ნაყოფიერად ირჯებოდა **გიორგი დათუნაიშვილიც**, რომლის აქტიურობასაც მარტვილელთა კართან პირველი რეალური საგოლე მომენტი მოჰყვა- იგი კარგად შეიჭრა საჯარიმოში, მეურვესაც გასცდა და ბურთი დაუცველ კუთხეში გადაგზავნა, სტუმართა მეკარე **ჯონი შეროზია** ამ ეპიზოდში უძლური იყო, თუმცა ბურთი კარის ხაზიდან მცველმა გამოიტანა. სტუმრები კონტრშეტევებით ცდილობდნენ ტორპედოელთა კართან მიახლოებას, რომლის ახლომახლოსაც კოტ'დივუარელი ფორვარდი **მუნინი ტაპე** ტრიალებდა, თუმცა აფრიკელ ლეგიონერამდე ბურთი იშვიათად აღწევდა. სტუმრები პირველ ტაიმში **ელგუჯა გრიგალაშვილს** ორ, მეტ-ნაკლებად სახიფათო დარტყმას გამორჩნენ. პირველი ეპიზოდისას მეკარე ომარ მიგინეიშვილს არ გასჭირვებია ბურთის დაუფლება, მეორე დარტყმა კი მიზანს საერთოდ ასცდა. სხვა მხრივ, ქუთაისელთა უპირატესობა აშკარა იყო და გოლიც „მწიფდებოდა", თუმცა მანამდე ერთი საკამათო ეპიზოდიც ვიხილეთ, თარხნიშვილის ფლანგური გარღვევისას ერთ-ერთ მარტვილელს საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა, მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ არბიტრმა სხვაგვარად განსაჯა. გაბრაზებულ გულშემატკივრებს ქუთაისელთა გოლმა „სულზე მოუსწრო", შეროზიას კარების დალაშქვრა კი ძალზე ლამაზ კომბინაციას მოჰყვა - თარხნიშვილმა დიაგონალური გადაცემით მარჯვნიდან **გრიგოლ დოლიძე** ჩართო შეტევაში, რომელმაც მცველს იოლად აუარა გვერდი და საჯარიმოში შეჭრილ **ნიკა საბანაძეს** ზუსტი გადაცემა გაუკეთა, ახალგაზრდა ფორვარდმაც შეტევა ერთი შეხებით გოლით დააგვირგვინა.

შესვენების შემდეგ მატჩის სცენარი არ შეცვლილა. ტორპედოელები უპირატესობას ფლობდნენ და ანგარიშის გაზრდის არაერთი შესაძლებლობაც ჰქონდათ. თითქმის მატჩის განახლებისთანავე გრიგოლ დოლიძემ მარცხნიდან შეასრულა საჯარიმო , რევაზ გოცირიძემ მცველებს საჰაერო ორთაბრძოლა მოუგო და თავით შორეულ ძელთან გაგზავნა ბურთი, სადაც **ალექსანდრე კვახაძე** მარტოდმარტო იმყოფებოდა, მაგრამ მას ბურთი ფეხებში აებლანდა და ვერ გაიტანა. ცოტა ხანში საბანაძის დრიბლინგი და ძლიერი დარტყმა მცველისგან ასხლეტით ხარიხას გადასცდა და მარტვილელები კიდევ ერთხელ გადარჩნენ. 80-წუთზე **გიორგი დათუნაიშვილის** უძლიერესი დარტყმა შეროზიამ შესანიშნავ ნახტომში მოიგერია. ქუთათურებს აქტიურობა და კარგი გარჯა ბოლოს მაინც დაუფასდათ: 86-ე წუთზე **ვალერი ბოლქვაძემ** დაახლოებით 25 მეტრიდან ჯარიმა ბრწყინვალედ შეასრულა და შეხვედრას წერტილი დაუსვა. ბოლოს, შეცვლაზე შემოსულ **დავით ჯანელიძესაც** ჰქონდა გატანის შანსი, თუმცა ანგარიში აღარ შეცვლილა.

**მატჩის შემდეგ**

**მალხაზ ჟვანია ( მერანი):** „ძალიან რთული გრაფიკი გვაქვს და არ მეგონა „ტორპედოს" გასვლაზე ასეთ წინააღმდეგობასაც თუ გავუწევდით. გადატვირთულმა კალენდარმა, ტრავმებმა და შეკრების გაუვლელობამ თავი ერთიანად იჩინეს. ამ ყველაფრის გათვალისწინებითა და მარცხის მიუხედავად ფეხბურთელების გარჯით კმაყოფილი ვარ."

**გია გეგუჩაძე (ტორპედო):** „საკმაოდ რთული თამაში იყო. ამასთან ერთად გულშემატკივრებმა ბევრი საინტერესო და ლამაზი ეპიზოდი იხილეს. ბევრი საგოლე მომენტი გვქონდა და ჩვენი გამარჯვება ლოგიკური იყო. ბიჭების გარჯითა და თამაშით კმაყოფილი ვარ. თუმცა, დამაგვირგვინებელ ფაზაში ისევ მოვიკოჭლებთ და ამ მხრივ ბევრი სამუშაო გვაქვს. „

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 20 | 11 | 6 | 3 | 34 | 18 | 39 |
| 2 | მეტალურგი | 20 | 11 | 3 | 6 | 29 | 23 | 36 |
| 3 | ტორპედო | 20 | 9 | 5 | 6 | 23 | 17 | 32 |
| 4 | დინამო | 20 | 7 | 8 | 5 | 33 | 26 | 29 |
| 5 | დილა | 20 | 6 | 6 | 8 | 24 | 23 | 24 |
| 6 | კოლხეთი | 20 | 5 | 8 | 7 | 16 | 23 | 23 |
| 7 | ბაია | 20 | 5 | 6 | 9 | 17 | 26 | 21 |
| 8 | მერანი | 20 | 4 | 2 | 14 | 18 | 38 | 14 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დვალი (ზესტაფონი) | 16 |
| ჩისკო (დინამო) | 12 |
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 10 |
| გოცირიძე (ტორპედო) | 9 |

**მომდევნო ტური**

**14 აპრილი, შაბათი**

მეტალურგი-კოლხეთი
ბაია-დინამო
დილა-ტორპედო
მერანი-ზესტაფონი

ამბები



თემურ ქეცბაია

# ავსტრიაში: ავსტრალია, ირანი თუ არც ერთი?

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია** მაისის ბოლოს ავსტრიაში შეკრებას გეგმავს. გუნდი მზადებას 17 მაისს დაიწყებს, მაგრამ იქ როდემდე გაჩერდება, ეს ჯერ უცნობია.

ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ჩაატარებს თუ ნაკრები ორ საკონტროლო შეხვედრას და როდის. საქმე ისაა, რომ 24 მაისს თურქეთის ნაკრებთან არის დაგეგმილი შეხვედრა. ახლა ირანისა და ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციებთან მოლაპარაკება მიმდინარეობს. მათ ქართულმა მხარემ მატჩების სავარაუდო თარიღად 21 ან 27 მაისი შესთავაზა, ანუ მატჩებს შორის სამდღიანი პაუზა უნდა იყოს. თუ რომელიმე მათგანი 27 მაისზე დათანხმდა, მაშინ შეკრება 10 დღე გაგრძელდება, და თუ 21 მაისს იქნებიან ყაბულს, მაშინ გუნდი საქართველოში თურქეთთან შეხვედრის შემდეგ 24 მაისს გამობრუნდება.

ჯერ კი ირანისა და ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციების პასუხები უცნობია.

**მერაბ მამულაშვილი**

# მარცვალაძე ტურის სიმბოლურშია

პოპულარულმა რუსულმა ინტერნეტგამოცემა "ჩემპიონატ.რუ"-მ **ოთარ მარცვალაძე** პრემიერლიგის გასული ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა. შეგახსენებთ, "კრასნოდარის" ქართველმა თავდამსხმელმა "ტომთან" საშინაო მატჩში მოედანზე დაახლოებით 20 წუთი დაყო, თუმცა მაინც შეძლო და თავისიანები 2:1 დაანინაურა. "კრასნოდარმა" ის შეხვედრა 3:1 მოიგო.

*"იშვიათად ხდება, რომ ფეხბურთელმა მხოლოდ 20 წუთი ითამაშოს და ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდეს, მაგრამ მარცვალაძე გამონაკლისია. მან "კრასნოდარის" გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. მარცვალაძე მოედანზე 1:1-ზე შევიდა და მატჩის მსვლელობაში გარდატეხა მოახდინა. გოლის გარდა, მის ანგარიშზე საგოლე გადაცემაცაა"*, - წერს "ჩემპიონატ.რუ".

რუსეთის მიმდინარე ჩემპიონატში მარცვალაძემ 29 შეხვედრა ჩაატარა და 7 გოლი გაიტანა. შეგახსენებთ, სეზონი მან ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" შემადგენლობაში დაიწყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მწვრთნელი

## გელა სანაია

# ამ ბიჭებით ჩემპიონატში დავბრუნდებით

**არც ისე დიდი ხნის წინ, თბილისის "ლოკომოტივი" უმაღლესი ლიგის ამბიციური კლუბი იყო. ახალგაზრდა ბიზნესმენი ლექსო თოფურია თანამედროვე კლუბს ქმნიდა, საგურამოში მშვენიერი ბაზა ააშენა, გუნდი სულ მოწინავეთა შორის იყო და გულშემატკივარიც მრავლად ჰყავდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქართულ ფეხბურთს ბოლო წლებში გაუზარდა ლევან ყენია, დაუბრუნა რატი ალექსიძე, გამოაჩინა საინტერესო მწვრთნელები – გელა სანაია, გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე.**

**სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ "ლოკომოტივს" ფინანსური პრობლემები შეექმნა და გუნდს დაშლის რეალური საფრთხე შეექმნა. თუმცა, თოფურიამ საინტერესო გამოსავალი იპოვა: რადგან გამოცდილ მოთამაშეებს ფულს ვერ უხდიდა, აქცენტი ნიჭიერი ახალგაზრდების გაზრდაზე გადაიტანა და წარმოაჩინა თაობა, რომელიც ამჟამად საქართველოს 17-წლამდელთა ბირთვს შეადგენს. მცველს, ნიკა ჭანტურიას, ნახევარმცველებს, გიორგი გოროზიას, მათე ცინცაძეს, დათო დარციმელიას, დავით ჯიქიასა და თავდამსხმელს ალეკო მზევაშვილს პირველ ლიგაში მუდმივი სათამაშო პრაქტიკა მისცეს, გაზარდეს და ქართული ფილმის, "პირველი მერცხალის" პერსონაჟის, იასონ კვირკველიას თქმის არ იყოს, "ბიჭებიც ბდღვნიან ყველაფერს". მათ ხომ ახლახანს საქართველოს უდიდესი სიხარული აჩუქეს, ელიტრაუნდში ესპანეთის, ინგლისისა და უკრაინის ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და ევროპის ჩემპიონატის ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს.**

**თოფურიამ ლამის შეუძლებელი შეძლო – პირველი ლიგის "ლოკომოტივი" დღეს უფრო აქტუალური და საინტერესოა, ვიდრე უმაღლესი ლიგის ბევრი გუნდი.**

**"ლოკომოტივის" სპორტული დირექტორი გელა სანაია გუნდის პერსპექტივაზე გველაპარაკება.**

**- ჩრდილში დიდხანს არ ყოფილხართ: ახლა "ლოკომოტივის" მოთამაშეებით ევროპელებიც დაინტერესდნენ.**

- ეს ლექსო თოფურიას დამსახურებაა. კლუბის კარგად გათვლილმა საკადრო პოლიტიკამ ორ წელიწადში შედეგი გამოიღო. დღეს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ბირთვს ჩვენი მოთამაშეები შეადგენენ და ცხადია, ეს გვეამაყება. მიმაჩნია, რომ გამორჩეულად ნიჭიერი თაობა იზრდება, რომელიც ქართულ ფეხბურთში თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის. აქვე ვიტყვი, რომ კიდევ ბევრი საინტერესო მოთამაშე გვყავს, რომლებიც ნაკრებში ვერ მოხვდნენ, მაგრამ მიმაჩნია, რომ მათ არანაკლები პერსპექტივა აქვთ.

ჩვენ მხოლოდ ერთი თაობის იმედად არ ვართ. ახლახან ანთალიაში საერთაშორისო ტურნირი დასრულდა, რომლის ორგანიზატორიც მოსკოვის ფეხბურთის ფედერაცია იყო. მიწვეული იყვნენ რუსული, ყაზახური და სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების საფეხბურთო სკოლები. 1996 წელს დაბადებულთა გუნდმა, რომელსაც ლაშა ჭალიაშვილი ავარჯიშებს, მოსკოვის "ლოკომოტივი", "სოკოლი", "ხიმკი", უსტ-კამენოგორსკის გუნდები დაამარცხეს, ფინალში კი პენალტებით უფის აკადემიას მოუგეს და ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ. 1998 წელს დაბადებულთა შორის კი მიშა კობალაძის განვრთნილმა "ლოკომოტივმა" მე-3 ადგილი დაიკავა. ასე რომ, ნიჭიერი თაობები გვეზრდება და იმედიანად ვართ.

**- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

- წლეულს პირველი ლიგიდან არ გავვარდებით. მომავალი სეზონისთვის ვითარებას გადავხედავთ და გამორიცხული არაა, უმაღლესში დასაბრუნებლად ვიბრძოლოთ. ამის პოტენციალი გუნდს გააჩნია, "ლოკომოტივის" ბირთვს 17-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელები შეადგენენ. ნიჭიერი თაობების გარდა, ჩვენ ზურგს კარგი ინფრასტრუქტურაც გვიმაგრებს – "ლოკომოტივის" მსგავსი ბაზა საქართველოში თითქმის არავის აქვს. ასე რომ, სამომავლოდ დიდი გათვლები გვაქვს.

**- ეს ყველაფერი კარგი და "ლოკომოტივს" ფინანსური პრობლემები აღარ აწუხებს?**

- საბედნიეროდ, ეს საკითხი უკვე მოგვარდა. "ლოკომოტივს" ნამდვილად აღარ აქვს ისეთი მძიმე ფინანსური მდგომარეობა, ჩემი მთავარი მწვრთნელობის დროს რომ იყო. ახლა ბევრად უკეთესად ვართ, ხელფასები დროულად გაიცემა, შეკრებებსა და სავარჯიშო პროცესს უპრობლემოდ ვატარებთ. ლექსო თოფურია გუნდზე გადაყოლილია და ნელ-ნელა "ლოკომოტივი" კვლავ ფეხზე დააყენა.

**- 17-წლამდელთა ნაკრების წარმატებამ მოთამაშეების მიმართ ინტერესი გაზარდა?**

- სხვათა შორის, ინტერესი ელიტრაუნდამდეც იყო, რადგან ეს ბიჭები სანაკრებო და საკლუბო ტურნირებში ხშირად მონაწილეობდნენ. "ლოკომოტივი" ხომ ყოველწლიურად ბარსელონას ტურნირზე დადის. მაგრამ ახლა ინტერესი გაორმაგებულია და თუ ნაკრები ევროპის ჩემპიონატზეც წარმატებით ითამაშებს, კიდევ უფრო გაიზრდება.

**- რომელიმე მოთამაშეზე კონკრეტული წინადადება თუ გაქვთ?**

- ახლა ამ საკითხზე ლაპარაკი მიზანშეწონილი არ არის. ბავშვებმა ევროპის ჩემპიონატზე უნდა ითამაშონ და მხოლოდ თამაშებზე უნდა იფიქრონ.



გელა სანაია

**- ელიტრაუნდის დასრულებიდან მესამე დღეს 17-წლამდელთა ნაკრების 6 ფეხბურთელი "ლოკომოტივთან" ერთად ბარსელონას ტურნირზე გაემგზავრა. ამ ბიჭების გადაღლის საფრთხე არ იყო?**

- ტურნირზე ჩვენი გამგზავრება დაიგეგმა მანამ, ვიდრე ნაკრები ელიტრაუნდში მოხვდებოდა და ვერც ვივარაუდებდით, რომ ტურნირის დასრულებიდან მესამე დღეს მოუწევდათ გამგზავრება. რა თქმა უნდა, კლუბს საკუთარი ინტერესი გააჩნია, მაგრამ ნაკრების ინტერესი საკლუბოზე მაღლა დგას და ამას ყოველთვის ვითვალისწინებთ. ჩვენც არ გვსურდა ბავშვების გადაღლა და მერწმუნეთ, ამაზე ნერვიულობა არ ღირს, რადგან ეს ექვსეული ბარსელონაში დიდად არც დატვირთულა, ბავშვებს დასვენებისა და ძალების აღდგენის შანსი მიეცათ. მათ კლუბშიც და ნაკრებშიც მძიმე სეზონი ჰქონდათ და მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა გავითვალისწინეთ. თანაც, ახლა მორიგი სანაკრებო შეკრება ეწყებათ. შეიძლება ითქვას, რომ ამ ბიჭებმა ესპანეთში გამგზავრება დაიმსახურეს და კატალონიაში ამიტომ უფრო გავუშვით.

**მერაბ მამულაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

**ლეგიონერი**

# ვაკო ყაზაიშვილი
# საწყენი იყო განაცხადის მიღმა დარჩენა


ვაკო ყაზაიშვილი

**გუშინ** დილით საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები პორტუგალიაში გაემგზავრა, სადაც პორტუს ოთხთა ტურნირზე ითამაშებს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ ლეგიონერებიდან ამჯერად მხოლოდ არნემის „ვიტესის" შემტევი ნახევარმცველი, ვაკო ყაზაიშვილი წაიყვანა.

ყაზაიშვილმა შარშან შემოდგომაზე „ვიტესში" სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა, მერე გოლიც გაიტანა და პრესაში მისი თამაში დადებითად შეფასდა. იყო იმედი, რომ მალე ძირითადში დამკვიდრდებოდა, მაგრამ წლეულს განაცხადშიც ვერ ხვდება.

რა ხდება, ამის შესახებ ვაკო ყაზაიშვილს პორტუგალიაში გამგზავრებამდე ველაპარაკეთ.

**- დამაიმედებელი დებიუტის მიუხედავად, მეორე წრიდან "ვიტესში" აღარ ჩანხარ. ტრავმირებული იყავი, მწვრთნელი აღარ გენდობა თუ რა ხდება?**

- იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ძირითადში სისტემატურად ვხვდებოდი. ერთი პერიოდი მათამაშეს, როდესაც დუბლებში რამდენიმე შეხვედრა კარგად ჩავატარე, გოლები გამქონდა და "ვიტესში" სადებიუტო შეხვედრაც ჩავატარე. ეტყობა, "ტვენტესთან" ცუდად არ მითამაშია, "ვალვაიკთანაც" ძირითადში დამაყენეს და გავიტანე. ბოლოს მწვრთნელმა "გრონინგემთანაც" დამაყენა, სულ სამი შეხვედრა ჩავატარე. მაგრამ მერე ისევ დუბლებში გადამიყვანა, თუმცა, ძირითად გუნდში მავარჯიშებს.

**- ტრავმირებული ხომ არ იყავი?**

- არა, რა ტრავმირებული, ჯანმრთელად ვარ, მაგრამ ვერ ვხდები, ვან დენ ბრომი რატომ აღარ მათამაშებს. იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ფორმაში არ ვარ, ან თამაშების შემდეგ ვიზარმაცე და მოვუკელი.

**- "ალკმაარის" მწვრთნელი ვან დენ ბრომი ჭანტურიასაც ასე მოექცა. ჩვენთან რომ ახალგაზრდებს ძირითადში შეყრიან, იქნებ, ჰოლანდიაში ასე არ იციან და ვან დენ ბრომსაც ახალგაზრდებთან თავისებური მიდგომა აქვს?**

- შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ყველაფერი ინდივიდუალურად უნდა განიხილოს. თანაც, გატანილი გოლის შემდეგ მოულოდნელი იყო, განაცხადშიც რომ ვერ მოვხვდი. ჭანტურიას საქმე კი უკვე კარგად არის, ტრავმა მოირჩინა, ძირითადში დააბრუნეს და კარგი თამაში აჩვენა. გიორგის ბევრი შეუძლია და ენდობიან. გურამ კაშია კი ძალიან მაგარ ფორმაშია, კარგად თამაშობს და ყველა ამბობს, რომ გუნდის ლიდერად ყალიბდება.

**- მომხდარის გამო საკუთარი თავის რწმენა ხომ არ დაკარგე?**

- ცხადია, ჩემზეც იმოქმედა, მაგრამ არაფერია, როგორი განწყობითაც ვვარჯიშობდი, ისეთივე შევინარჩუნე და დარწმუნებული ვარ, მალე შემადგენლობაში მაინც მოვხვდები. "ვიტესში" ყოფნით როგორ შეიძლება თავდაჯერებულობა დავკარგო, როდესაც ვიცი, სად ვიყავი ერთი წლის წინ და ახლა სად ვარ? ფიზიკურადაც უკეთ ვგრძნობ თავს, გამძლეობაშიც მოვუმატე და რაც მთავარია, ისეთ საფეხბურთო ქვეყანაში ვარ, სადაც თუ არ დაგეზარება, ფეხბურთელად ჩამოყალიბდები. ეგაა, კაცს მოთმინება გჭირდება.

**- მწვრთნელთან უთამაშებლობის მიზეზებზე არ გილაპარაკია?**

- ლაპარაკი მსურდა, მაგრამ თავად არაფერს ამბობს.

**- ელიტრაუნდის თამაშები გვიახლოვდება. ამ დროს მწვრთნელის შეცვლა ახალი თავკაცისთვისაც ძნელია და ფეხბურთელებისთვისაც.**

- მთავარია, რომ იგივე დარჩა შემადგენლობა, განწყობა და როგორც შესარჩევში ვითამაშეთ, ასევე შევეცდებით ელიტრაუნდშიც. სხვათა შორის, მწვრთნელის მიდგომა მომეწონა, კორღალიძე მოთამაშეებთან უშუალოა და გუნდში კარგი ვითარებაა.

**- ელიტრაუნდის მეტოქეებისგან რომელიმეს თუ იცნობთ?**

- დიდი ხანია, ჩვენი თაობა ერთად მოდის, ბევრ ნაკრებთან გვითამაშია, მაგრამ ახლანდელი მეტოქეებიდსგან მხოლოდ ერთხელ, შარშან ვითამაშე ხორვატიასთან, მაგრამ ისიც ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში და ის სხვა გუნდი იყო. ეს იყო და ეს. სხვებს კიდევ უფრო ნაკლებად ვიცნობ.

**მერაბ მამულაშვილი**

**სატრანსფერო შეფასება**

# დინამო ამიერკავკასიაში ყველაზე დაფასებულია

**აზერბაიჯანულმა** ინტერნეტგამოცემამ "აზერიფუტბოლმა" გერმანული სააგენტო "ტრანსფერმარკტის" მონაცემები გამოაქვეყნა. ცხადია, მონაცემები მიახლოებით შეფასებას ემყარება, მაგრამ მისი გაცნობა ყოველთვის საინტერესოა.

ჩვენი მეზობლების პრემიერლიგის 12 გუნდიდან მხოლოდ გამოკვეთილი აუტსაიდერი "სუმგაითი" არ შეაფასეს და აღმოჩნდა, რომ აზერთა გუნდების მიახლოებითი ჯამური ფასი 45.100.000 ევროა.

აღსანიშნავია, რომ **კახა ცხადაძის** "ინტერი", რომელიც ბოლო წლებში სულ ჩემპიონობისთვის იბრძვის, მოთამაშეთა ფასებით მხოლოდ მე-6 ადგილზეა. ყველაზე ძვირად შეფასებული "ბაკი" კი ფინალურ ექვსეულში ბოლო ადგილზეა.

| | |
|---|---|
| 1. ბაკი | 7.100.000 |
| 2. ნეფთჩი | 7.000.000 |
| 3. ხაზარი | 6.675.000 |
| 4. ყარაბახი | 6.675.000 |
| 5. გაბალა | 6.325.000 |
| 6. ინტერი | 3.350.000 |
| 7. აზალ | 3.025.000 |
| 8. რავანი | 2.175.000 |
| 9. სიმურგი | 1.250.000 |
| 10. თურანი | 1.175.000 |
| 11. ქიაფაზი | 350.000 |

სულ 45.100.000 ევრო.

შეუდარებლად დაბალი ფასი აქვთ სომხურ კლუბებს, სადაც 2 მილიონ ევრომდე ვერც ერთმა მიაღწია.

| | |
|---|---|
| 1. მიკა | 1.375.000 |
| 2. შირაკი | 400.000 |
| 3. განზასარი | 1.030.000 |
| 4. იმპულსი | 1.625.000 |
| 6. ულისე | 1.850.000 |
| 7. პიუნიკი | 1.050.000 |
| 8. ბანანცი | 1.000.000 |

"არარატი" - არ შეფასებულა.

აზერბაიჯანელები ფეხბურთში უდიდეს თანხებს აბანდებენ, საკმაოდ ცნობილი და ძვირად ღირებული მოთამაშეები ჩაჰყავთ. ამის მიუხედავად, ჩვენთვის მოულოდნელად, სააგენტომ თბილისის "დინამო" ამიერკავკასიის ქვეყნების გუნდებში ყველაზე ძვირად შეაფასა. თუმცა, საერთო ჯამში, აზერების გუნდების ჯამური ფასი ჩვენსას (39.700.000 მილიონი ევრო) 5,4 მილიონი ევროთი აღემატება.

| | |
|---|---|
| 1. დინამო | 10.100.000 |
| 2. ზესტაფონი | 6.750.000 |
| 3. დილა | 5.175.000 |
| 4. მეტალურგი | 3.925.000 |
| 5. ტორპედო | 3.300.000 |
| 6. ბაია | 1.700.000 |
| 7. სპარტაკი | 1.675.000 |
| 8. ვიტ ჯორჯია | 1.600.000 |
| 9. სიონი | 1.525.000 |
| 10. გაგრა | 1.400.000 |
| 11. კოლხეთი | 1.350.000 |
| 12. მერანი | 1.200.000 |

სულ 39.700.000

"ტრანსფერმარკტის" მიხედვით, კავკასიის ყველაზე ძვირად ღირებული გუნდების ათეული ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| **1. დინამო** | **10.100.000** |
| 2. ბაკი | 7.100.000 |
| 3. ნეფთჩი | 7.000.000 |
| 4-5. ხაზარი | 6.675.000 |
| 4-5. ყარაბახი | 6.675.000 |
| **6. ზესტაფონი** | **6.750.000** |
| 7. გაბალა | 6.325.000 |
| **8. დილა** | **5.175.000** |
| **9. მეტალურგი** | **3.925.000** |
| 10. ინტერი | 3.350.000 |

** გამოყოფილია ქართული გუნდები*

**მერაბ მამულაშვილი**


თბილისის დინამო

**გურია. ინტერვიუ გიგლა იმნაძესთან**

# გურიას წარმატების საიდუმლო ერთსულოვნებაა!


გიგლა იმნაძე

**ათწლიანი** პაუზის შემდეგ ლანჩხუთელები უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად ემზადებიან. საქართველოს თასის პირველი მფლობელი და ორგზის ვერცხლის პრიზიორი „გურია" პლეი-აუტში წარმატებით ასპარეზობს და მოწინავე ოთხეულში მოხვედრის მთავარი პრეტენდენტია. ამჟამად გურულები მესამე ადგილზე იმყოფებიან 11 ქულით, საიდანაც 10 სტუმრად (!!!) აიღეს. დარჩენილი 8 შეხვედრიდან კლუბი ხუთს საკუთარ არენაზე გამართავს, რაც მის საუმაღლესლიგო შანსებს კიდევ უფრო ზრდის.

რაც ყველაზე საინტერესოა, „გურია" ისეთ შეუპოვარ გუნდად ყალიბდება, რომელსაც თითქმის წაგებული შეხვედრების შემობრუნება და განცდილი მარცხის იოლად დავიწყება ძალუძს. ამის მაგალითი ჩატარებულ 6 ტურში რამდენჯერმე გვიჩვენეს. ყოველივეში დიდი წვლილი მთავარ მწვრთნელ გიგლა იმნაძეს მიუძღვის, — სწორედ „გურიის" გამოცდილი თავკაცის სახელთანაა დაკავშირებული ზემონახსენები წარმატებული წლებიც. ამჟამად გიგლა იმნაძეს და „გურიას" მიზნად უმაღლეს ლიგაში დაბრუნება აქვთ დასახული.

**— ბატონო გიგლა, კმაყოფილი ხართ გუნდის მიერ ნაჩვენები თამაშითა და შედეგით?**

— უკმაყოფილების საფუძველი არ მაქვს — შედეგითაც და ბიჭების გარჯითაც კმაყოფილი ვარ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სამუშაო არ გვაქვს. სრულყოფილებამდე ბევრი გვაკლია. მართალია, 14-დღიანი შეკრების დროს ამინდმა ხელი შეგვიშალა და ხეირიანად არც გვივარჯიშია, მაგრამ ფეხბურთელების ერთად ყოფნამ გუნდი შეკრა, ჩვენს ბიჭებს ერთი სულისკვეთება აქვთ და მადლობელი ვარ მათი. 14 ახალი ფეხბურთელი გვყავს და მათი შეთამაშება იოლი არ არის, მაგრამ ჩვენ ის 2 კვირა სწორედ იმისთვის გამოვიყენეთ, რომ შეკრული, ბრძოლისუნარიანი გუნდი მიგვეღო.

**— ასეთი შეუპოვარი „გურია" ნაკლებად გვახსოვს, გუნდი, ფაქტობრივად, არ ტყდება ურთულეს სიტუაციაშიც კი. საკმარისია „სპარტაკთან" ნაჩვენები (0:2-დან 2:2) მაგალითი გავიხსენოთ, ან ბოლნისში შემობრუნებული მატჩი, თუნდაც წარმატება ბათუმში წინა ტურში „ჩიხურასთან" საშინაო მარცხის შემდეგ... რა არის ასეთი წარმატების საიდუმლო?**

— მხოლოდ და მხოლოდ ბიჭების ერთსულოვნება და ფსიქოლოგიური მომზადება, რომ თამაში ყველასთან შეიძლება, მათ შორის იმ დროსაც კი, როცა 2 ბურთით აგებ. „სპარტაკთან" შესვენებაზე გასახდელში ბიჭებისთვის ახალი არაფერი დამივალებია, მივხვდი, რომ ჩემი გუნდი არ დათმობდა და თამაშს გადავარჩენდით. ასევე არ გავტყდით ბოლნისში, როცა ვაგებდით, შემდეგ ვიგებდით და გაგვითანაბრეს, თუმცა შევძელით მეტოქისთვის გამარჯვება გამოგვეტაცა.

**— ეს წარმატება „გაგრასთან" საშინაო ფრეს მოაყოლეთ, შემდეგ კი „ჩიხურასთან" დამარცხდით. რა მოხდა?**

— დიახ, მანამდე დასანანი ფრე ვითამაშეთ, „გაგრას" 2:0 ვუგებდით, მაგრამ მეტოქემ გაგვითანაბრა. აი, რაც შეეხება „ჩიხურასთან" მატჩს, სამწუხაროდ, მოხდა ის, რისიც ძალიან მეშინოდა — ზედიზედ 3 შეხვედრას დიდი ძალა შევალიეთ, შემჭიდროებულ გრაფიკში მოგვიხდა მეოთხე შეხვედრის ჩატარება. ჩავარდნილმა მოსამზადებელმა გრაფიკმაც თავისი ქნა. სამწუხაროდ, დასანანი მარცხი ვიწვნიეთ.

**— თუმცა თქვენმა კლუბმა მორიგი სიურპრიზი ბათუმში შემოგვთავაზა, როცა „დინამო" უშანსოდ დატოვეთ.**

— დიახ, ჩვენ მოვახერხეთ იოლად დაგვევიწყებინა მარცხი და მთლიანად ბათუმში შეხვედრისთვის გადავერთეთ. ზედიზედ მეორე მარცხი ჩვენს გეგმებს მნიშვნელოვნად დააყენებდა საფრთხის ქვეშ. ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ მინიმალური შეცდომები დაგვეშვა. ფრეც დაგვაკმაყოფილებდა, თუმცა ჩვენ მოგებაზე ვითამაშეთ. გუნდმა ყველაფერი ჩადო და შედეგიც მივიღეთ — იოლი არაა, გასვლაზე თამაში 3:0 წაიყვანო. ამას ოზურგეთში უპრინციპულეს შეხვედრაში სამი ქულაც დავუმატეთ. მართალია, „მერცხალს" მოწინავე ოთხეულში მოხვედრის შანსები თითქმის დაკარგული აქვს, მაგრამ გურულ დერბიში იოლი სათამაშო არასდროსაა.

**— ბატონო გიგლა, ბევრი ამბობს, რომ ასეთი გაუტეხელი გუნდი „გურიას" საწყის ჩემპიონატებშიც არ ჰყავდა, კლუბს მაშინაც თქვენ წვრთნიდით. ეთანხმებით?**

— არა, ის „გურია" ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო იყო და ეს არაერთხელ დავამტკიცეთ. იმ გუნდს შემოსატრიალებელი თამაშები არ ჰქონდა. თუმცა გეთანხმებით, რომ ახლა ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავს, რომელიც ურთულეს სიტუაციაშიც კი ახერხებს ვითარების გამოსწორებას.

**— ვინ მიგაჩნიათ უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ფავორიტებად?**

— ვთვლი, რომ გარკვეული უპირატესობა აქვს უმაღლესლიგელ ოთხეულს.

**— თუმცა „გურიას" ქულებიც საკმაოდ აქვს და დარჩენილი კალენდარიც გარკვეულ უპირატესობას გაძლევთ.**

— ყველა შემთხვევაში, ჩვენი მიზანი მოწინავე ოთხეულში მოხვედრაა, თუმცა ეს ადვილი არ იქნება — იოლი მეტოქე პლეი-აუტში არ არსებობს!

**— დაბოლოს, რა სხვაობას ხედავთ საწყის ჩემპიონატებსა და ამ სეზონს შორის?**

— მაშინ „გურია" ბრენდი იყო, ძლიერი შემადგენლობა გვყავდა. შემდეგ ქართულ ფეხბურთში გარკვეული ჩავარდნა იყო. ბოლო დროს შეინიშნება წინსვლა, თუნდაც ის, რომ ჩამოყალიბდა რამდენიმე კარგი გუნდი, სტადიონების მდგომარეობა და ზოგადად, გუნდებში პირობები უმჯობესდება, თუმცა ამ კუთხით ჯერაც ბევრია გასაკეთებელი. ადრე ყველა გუნდს უჭირდა უცხოეთში შეკრებაზე წავლა, ახლა ამას თითქმის ყველა უმაღლესლიგელი ახერხებს.

**მათე გურული**

პრემიერლიგა. XXXIII ტური

# შეუქცევადი ვარდნა

## ფრენკ ლემპარდის 150-ე გოლი პრემიერლიგაში

ორშაბათ საღამოს ინგლისის პრემიერლიგაში რამდენიმე საინტერესო თამაში გაიმართა. შედეგად მივიღეთ, რომ ბრძოლა ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურისთვის უკიდურესობამდე დაიძაბა. "ტოტენჰემმა" "ნორვიჩთან" მოულოდნელად დათმო შეხვედრა, "ნიუკასლმა" თავის მხრივ მიყოლებით მეხუთე თამაში მოიგო (პირველად 6 წლის განმავლობაში), "ჩელსიმ" კი "ფულჰემთან" ლონდონური დერბი ფრედ დაასრულა, თორემ ქულებით ზემოთ ხსენებულ ორ გუნდს გაუთანაბრდებოდა.

### მორიგი ნაბიჯი უკან

"უაით ჰართ ლეინზე" გამართული თამაშით დავიწყოთ, სადაც "ტოტენჰემმა" მორიგი უსახური მატჩი ჩაატარა და თამაშის შემდეგ **ჰარი რედნაპს** ათქმევინა, მესამე ადგილი კი სჯობს, მაგრამ საბოლოოდ არც მეოთხეს დავიწუნებთო. "დეზები" ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ, რომ მეოთხე ადგილიც საოცნებო არ დაურჩეთ. არადა, ამის შანსი არსებობს. იანვრის აქეთ ჩრდილოლონდონურმა კლუბმა ჯერ "იუნაიტედთან" და "სიტისთან" საჩემპიონო მარათონში დამარცხება აღიარა, მერე ნელ-ნელა ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ გამსვლელი მესამე ადგილის დაკარგვასაც შეეგუა და რატომ არ შეიძლება სულაც ამ ტურნირის მიღმა დარჩეს? "დეზებს" ბოლო 8 ტურში ერთადერთი მოგება აქვთ და ჩემპიონატის დარჩენილ შეხვედრებში იმის იმედი თუ ექნებათ, რომ მეტოქეებთან შედარებით იოლი კალენდარი აქვთ. მათთვის დამატებითი ტვირთია ასოციაციის თასის 1/2-ფინალური შეხვედრაც "ჩელსის" წინააღმდეგ. მოკლედ რომ ვთქვათ, "ტოტენჰემი" უფსკრულის პირასაა და გადაჩეხვას ცოტა უკლია.

ახლა კი გოლებზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ანგარიში მე-13 წუთზე გაიხსნა და ეს ცოტა კურიოზულ სიტუაციაში მოხდა. **იუნეს კაბულმა** ამოტანის ნაცვლად ბურთი ელემენტარულ სიტუაციაში ვერ დაამუშავა და მეტოქეს ჩააბარა. "იადონებმა" "ტოტენჰემის" საჯარიმოსთან ბურთი მარტივად გაითამაშეს. შეცდა **ლედლი კინგიც**. საბოლოოდ **ენტონი პილკინგტონს** ბურთი სწორედ მასპინძელთა კაპიტნისგან მიუვიდა. **ბრედ ფრიდელი** უძლური აღმოჩნდა. 33-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა. **ჟერმეინ დეფო ჯეიკ ლივერმორის** ფანტასტიკური პასის წყალობით **ჯონ რადისთან** პირისპირ დარჩა და ბურთი თავზე გადაუგდო. ბოლო გოლის აღწერაც მარტივად შეიძლება. 66-ე წუთზე სტუმარმა **ელიოტ ბენეტმა** ბურთი კარიდან 30 მეტრში მიიღო. დაინახა რა მის წინ ცარიელი სივრცე, დაიძრა, მიუახლოვდა საჯარიმოს და შორეულ კუთხეში მძლავრად დაარტყა. ფრიდელი გუნდს ამ შემთხვევაშიც ვერას უშველიდა.

### პირველად 6 წლის შემდეგ

"ნიუკასლმა" თავისი თამაში იოლად მოიგო. ულამაზესი ბურთი შეაგდო **ჰატემ ბენ არფამ, პაპის სისემ** კი ბოლო ხუთ ტურში უკვე მე-8 გოლი გაიტანა. "კაჭკაჭები" ფანტასტიკურ ფორმაში არიან. მიუხედავად ყველაფრისა, მათი გასვლა ჩემპიონთა ლიგაში მაინც საეჭვოა, რადგან ჩრდილოინგლისელებს ბოლო სამ ტურში უმძიმესი გამოცდები ელით ჯერ "ჩელსისთან", მერე "მანჩესტერ სიტისთან" და ბოლოს "ევერტონთან".



ალან პარდიუს ნიუკასლი ფანტასტიკურ ფორმაშია

ბენ არფაზე ზემოთაც ვთქვით... 73-ე წუთზე ფრანგმა შუახაზელმა პატარა შედევრი შემოგვთავაზა. მან საკუთარ ნახევარზე ზურგით მდგარმა თანაგუნდელის პასი ქუსლით გაიგდო, შემობრუნდა, გზად 3 მეტოქე ჩამოიცილა, გავიდა **ადამ ბოგდანთან** პირისპირ და უნგრელს შანსი აღარ დაუტოვა. ამან ჯორდებში ენერგიის ისეთი მოზღვავება გამოიწვია, რომ თამაშის ბედი მალე გადაწყვიტეს. ყველაფერი **შოლა ამეობისა** და **ტიმ რიდის** "ჭიდაობით" დაიწყო, რომელშიც გამარჯვებული მასპინძელთა ფორვარდი გამოვიდა. ის მიუახლოვდა საჯარიმოს და პაპის სისეს ბურთი ფეხზე დაასვა. სენეგალელს 2 მეტრიდან ცარიელ კარში გატანა აღარ გასჭირვებია.

### დაუნდობელი ევერტონი

თითქოს თანაბარი ძალის გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს "გუდისონ პარკზე", მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით იყო ასე. პირველი გოლი "შავი კატების" დაცვის უსუსურ თამაშს მოჰყვა. "ევერტონმა" სამჯერ სცადა კარში დარტყმა. **მაგაი გუიეს** ბოლო მცდელობა წარმატებული გამოდგა. 75-ე წუთიდან კი "ევერტონმა" გაილაღა და 7 წუთში 3-ჯერ გაიტანა. **პიენაარმა** საჯარიმოს კუთხიდან შორეულ ძელთან ჩაახვია. 1 წუთში იგივე გაიმეორა **ლეონ ოსმანმაც**. 81-ეზე წერტილი შეცვლაზე შესულმა **ვიქტორ ანიჩებემ** დასვა. ნიგერიელს **ჯეკ კოლბეკის** მცირე რიკოშეტმაც გაუმართა ხელი.

### გერმანელ-ენოვანები ვილა პარკზე

საინტერესო თამაში გაიმართა ბირმინგემში, სადაც "ასტონ ვილამ" "სტოკ სიტის" უმასპინძლა. შეხვედრაში ორი ეფექტური გოლი გავიდა. 32-ე წუთზე ანგარიში ავსტრიელმა **ანდრეას ვაიმანმა** გახსნა, ვინც ხანგრძლივი გათამაშების შემდეგ საჯარიმოს მარცხენა კუთხიდან შორეულ ძელთან "ჩასვა" მოჭრილი დარტყმა. მას **რობერტ ჰუთმა** 71-ე წუთზე უპასუხა. ახმახმა გერმანელმა ორჯერ სცადა თავურით გათანაბრება. მესამედ მას ყველაფერი გამოუვიდა.

### ფიქრით თასის ნახევარფინალში

ორშაბათს ყველაზე გვიან თამაში "ქრეივენ კოტეჯზე" დაიწყო. "ჩელსის" რომ ემარჯვა, საინტერესო სიტუაცია შეიქმნებოდა. 4-6 ადგილებზე გამაგრებულ გუნდებს იდენტური მონაცემები უხდებოდათ – 17 მოგება, 8 ფრე, 8 წაგება. თუმცა ასე არ მოხდა და რომ არ მოხდა, ლოგიკურიც არის. "ლურჯებს" 3 ქულა არ ეკუთვნოდათ. სტუმარს ნახევარი ძალით სურდა მოგება, რადგან **რობერტო დი მატეომ** ასოციაციის თასის 1/2-ფინალის წინ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა. პირველი ტაიმის დასრულებას არაფერი უკლდა, როცა **დენი მერფიმ სალომონ კალუს** წინააღმდეგ საჯარიმოში დაარღვია თამაშის წესები. პენალტი **ფრენკ ლემპარდმა** გამოიყენა. 82-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა. მიუხედავად იმისა, რომ **რაიან ბერტრანი** ხელს უშლიდა, **პეტრ ჩეხმა აარონ ჰიუზის** თავური სასწაულ ნახტომში კუთხურზე გადააგდო. სტანდარტულის გათამაშების შემდეგ **დიქსონ ეტუჰუმ ჯონ ტერი** მოხერხებულად დაკეტა, რითაც **კლინტ დემპსიმ** ისარგებლა და ბურთი საკმაოდ რთული ტრაექტორიით გაახვია ბადეში.

ალსანიშნავია, რომ ფრენკ ლემპარდისთვის **მარკ შვარცერის** კარში გატანილი პენალტი 150-ე აღმოჩნდა პრემიერლიგაში. ამით ის ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე შედეგიანი ნახევარმცველი გახდა. *"სიხარულის საბაბს მაინცდამაინც ვერ ვხედავ. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს თამაში წავაგეთ. როცა ფეხბურთიდან წავალ მერე ამ მიღწევის გახსენება სასიამოვნო იქნება, მაგრამ ახლა ამისთვის არ მცალია, რადგან 3 ქულის გარეშე დავრჩით,"* – განუცხადა ფეხბურთელმა "სქაი სპორტს".

**წუხელ:**

**ბლექბერნი-ლივერპული 2:3**

**ბლექბერნი** (4-4-1-1): რობინსონი – მარტინ ოლსონი, ჰენლი, ს. დანი, ორი – მარკუს ოლსონი, ნზონზი, დ. დანი (75. ლოუი), ჰოილეტი – ფორმიკა (73. როჩინა) - აიგბენი

**ლივერპული** (4-4-2): დონი – ფლენაგანი (25. ბ. ჯონსი), კოატესი, შკრტელი, გ. ჯონსონი (53. აგერი) – ჰენდერსონი, შელვი, სპირინგი, მ. როდრიგესი (77. ხ. ენრიკე) – ბელამი, კეროლი

**გოლები:** 0:1 მ. როდრიგესი (13), 0:2 მ. როდრიგესი (16), 1:2 აიგბენი (36), 2:2 აიგბენი (61), 2:3 კეროლი (90+1)

*25-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა აიგბენიმ*

**გაფრთხილება:** ორი, ჰოილეტი, ფორმიკა, ჰენლი - ფლენაგანი, მ. როდრიგესი, ბ. ჯონსი, ბელამი, ჰენდერსონი

**გაძევება:** დონი (25)

**კარში დარტყმა:** 13-9(7-5), **კუთხური:** 4-4, **ჯარიმა:** 15-15, **თამაშგარე:** 1:3 **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 23 571

**დღეს**

| | |
|---|---|
| მანჩესტერ სიტი-ვესტ ბრომვიჩი | 22:45 |
| უიგანი-მანჩესტერ იუნაიტედი | 22:45 |
| ვულვზი-არსენალი | 22:45 |
| ქუინზ პარკი-სუონსი | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 32 | 25 | 4 | 3 | 78-27 | 79 |
| 2. სიტი | 32 | 22 | 5 | 5 | 75-26 | 71 |
| 3. არსენალი | 32 | 19 | 4 | 9 | 63-41 | 61 |
| 4. ტოტენჰემი | 33 | 17 | 8 | 8 | 57-38 | 59 |
| 5. ნიუკასლი | 33 | 17 | 8 | 8 | 50-42 | 59 |
| 6. ჩელსი | 33 | 16 | 9 | 8 | 56-38 | 57 |
| 7. ევერტონი | 33 | 13 | 8 | 12 | 38-34 | 47 |
| 8. ლივერპული | 33 | 12 | 10 | 11 | 40-36 | 46 |
| 9. ფულჰემი | 33 | 11 | 10 | 12 | 43-43 | 43 |
| 10. ნორვიჩი | 33 | 11 | 10 | 12 | 46-52 | 43 |
| 11. სანდერლენდი | 33 | 11 | 9 | 13 | 42-41 | 42 |
| 12. სტოკ სიტი | 33 | 11 | 9 | 13 | 32-45 | 42 |
| 13. ვესტ ბრომვიჩი | 32 | 11 | 6 | 15 | 39-43 | 39 |
| 14. სუონსი | 32 | 10 | 9 | 13 | 35-41 | 39 |
| 15. ასტონ ვილა | 32 | 7 | 14 | 11 | 35-44 | 35 |
| 16. ბოლტონი | 32 | 9 | 2 | 21 | 36-65 | 29 |
| 17. ქუინზ პარკი | 32 | 7 | 7 | 18 | 35-56 | 28 |
| 18. ბლექბერნი | 33 | 7 | 7 | 19 | 45-70 | 28 |
| 19. უიგანი | 32 | 6 | 10 | 16 | 30-57 | 28 |
| 20. ვულვზი | 32 | 5 | 7 | 20 | 34-70 | 22 |

**ბომბარდირები:** 26 - რობინ ვან პერსი (არსენალი); 22 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 17 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 16 - იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი), დემბა ბა (ნიუკასლი); 14 - კლინტ დემპსი (ფულჰემი), 13 - ედინ ჯეკო, მარიო ბალოტელი (ორივე მანჩესტერ სიტი), ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი)



ფრენკ ლემპარდმა პრემიერლიგაში 150-ე გოლი გაიტანა

ამბები




### ბალოტელი ბოდიშს იხდის

"მანჩესტერ სიტის" 21 წლის იტალიელმა თავდამსხმელმა **მარიო ბალოტელიმ** თავისი აგენტის **მინო რაიოლას** რჩევით სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც ბოდიშს იხდის 32-ე ტურში "არსენალთან" უმსგავსო თამაშის გამო: *"მართლა ვწუხვარ იმის გამო, რაც მოხდა, იმ დისკომფორტის გამო, რაც მანჩინის მივაყენე. რაც შეეხება ჩემს მომავალს, ამ საკითხს კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად სეზონის დასრულების შემდეგ გადავწყვეტ,"* – წერს მარიო.

შეგახსენებთ, რომ **მარტინ ატკინსონმა** ფეხბურთელი 89-ე წუთზე 2 ყვითელი ბარათის გამო გააძევა. ეს მაშინ, როცა ამის გაკეთება მას ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მართებდა, როცა მარიომ ჯერ **ალექს სონგს** ჩაარტყა გაშლილი ფეხი, შემდეგ კი ორჯერ **ბაკარი სანიას** წინააღმდეგ ითამაშა უხეშად. ბალოტელის დღეს "ვესტ ბრომვიჩთან" დისკვალიფიკაციის გამო ვერ ვიხილავთ მოედანზე. საფეხბურთო ასოციაციის აკრძალვაც რომ არა, სეზონის ბოლომდე თავდამსხმელის სამსახურზე უარი თავად **რობერტო მანჩინიმ** თქვა. ხომ არ დაემუქრება მარიოს უთამაშებლობა მის შანსებს "სკუადრა აძურასთან" ერთად ევრო 2012-ზე გაემგზავროს, ამას მალე შევიტყობთ.

### ქუინზ პარკი აპროტესტებს

"ქუინზ პარკის" მთავარმა მწვრთნელმა **მარკ ჰიუზმა** 32-ე ტურში "მანჩესტერ იუნაიტედთან" მარცხის (0:2) შემდეგვე განაცხადა, რომ კლუბი არბიტრ **ლი მეისონის** მიერ მე-14 წუთზე **შონ დერის** გაძევებას აუცილებლად გააპროტესტებდა. ლონდონური კლუბის პრესსამსახურმა აღნიშნული ინფორმაცია უკვე დაადასტურა. საქმის განხილვა გუშინ საღამოსთვის იყო დანიშნული. ასოციაციის მხრიდან კლუბის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემთხვევაში 34 წლის ფეხბურთელს უკვე დღეს შეეძლება "სუონსის" წინააღმდეგ თამაში.

### დიარა ოკეანის გაღმა

"ფრანს ფუტბოლის" ცნობით, "მარსელისა" და საფრანგეთის ნაკრების 30 წლის ნახევარმცველ **ალუ დიარას** ამერიკული MLS-იდან სარფიანი შემოთავაზებები აქვს. ოკეანისგაღმელები ფინანსურ კრიზისში ჩაფლულ კლუბს ფეხბურთელში 6,5 მილიონ ევროს სთავაზობენ. იმის გათვალისწინებით, რომ "ველოდრომზე" ალუ ვერა და ვერ იქცა წამყვან ძალად, წესით, კლუბმა ფეხბურთელის გაყიდვაზე თავპატიჟი არ უნდა დაიდოს. დიარას კონტრაქტს ვადა 2014 წლის ივნისში გასდის.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ალუ დიარა

## უცხოური ფეხბურთი

**სერია A XXXI ტურის შეჯამება**

# ნარსული, აწმყო და მომავალი



“ლეჩეს” მთავარი მწვრთნელი სერსე კოსმი და XXXI ტურის გმირი ლუის მურიელი

**ქვემოთ, სერია A-ს XXXI ტურის სიმბოლურ ნაკრებზე, გმირზე, ციფრებსა და ფაქტებზე გვექნება საუბარი; ამასთან, XXXII ტურის წინასიტყვაობას გაეცნობით, რომლის ერთი შეხვედრა გუშინ გვიან ღამით გაიმართა. მოკლედ, ქვემოთ ყველაფერს ნახავთ: წარსულს, აწმყოს და მომავალს. მივყვეთ თანამიმდევრობით...**

### ტურის სიმბოლური ნაკრები

**ბენასი** (ლეჩე) – **დე სილვესტრი** (ფიორენტინა), **ბონუჩი** (იუვენტუსი), **მილანოვიჩი** (პალერმო), **ჯემიტი** (ნოვარა) – **ასამოა** (უდინეზე), **პირლო** (იუვენტუსი), **კანდრევა** (ლაციო) – **მურიელი** (ლეჩე), **იოვეტიჩი** (ფიორენტინა), **დი მიკელე** (ლეჩე).

ვერ დავიჩემებთ, რომ ასეთ შემადგენლობაზე მსოფლიოს ნებისმიერი გუნდის მთავარი მწვრთნელი იოცნებებდა... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფორვარდთა ტრიოდან ორი “ლეჩეს” ღირსებას იცავს, გუნდის, რომელიც გასავარდნ ზონაშია და დიდია შანსი, მომდევნო სეზონიდან სერია B-ში იასპარეზოს. **სერსე კოსმის** შეგირდებმა ბევრისთვის მოულოდნელად “რომა” დაიბრიყვეს და განსაკუთრებული პრობლემების გარეშე, 4:2 დაამარცხეს. “ლეჩეს” რიგებიდან ორჯერ **ლუის მურიელმა** გამოიჩინა თავი და ორჯერაც **დავიდე დი მიკელემ**. მათთან ერთად სიმბოლურში **სტევან იოვეტიჩი** მოხვდა, რომელიც “მილანთან” შესანიშნავად გაისარჯა და ფლორენციელთა სენსაციურ გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. მოკლედ, შეტევის ხაზი ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფი გუნდებიდან დაკომპლექტდა და თუ **პირლო-ბონუჩის** ტანდემს გამოვაკლებთ, არც სხვები იცავენ გრანდების ღირსებას.

### ტურის გმირი

ტურის გმირი “ლეჩეს” კოლუმბიელი თავდამსხმელი ლუის მურიელი გახლავთ, რომელმაც მორიგი ბრწყინვალე თამაში ჩაატარა და საკუთარი გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. ზემოთაც ალვნიშნეთ, რომ მურიელმა “რომას” დუბლი შეუსრულა და კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ უნიჭიერესი ფორვარდია. შესაბამისად, სულაც არ გვიკვირს, რომ მასზე ევროპული ფეხბურთის გრანდებს ნადირობა აქვთ გამოცხადებული – ბოლო ინფორმაციით, ლუისის გადაბირებას “მილანის” მესვეურები ცდილობენ და მზად არიან, მასში სოლიდური თანხა გადაიხადონ. ვნახოთ...

### ტურის ფრაზა

**ანტონიო კონტე (იუვენტუსის მთავარი მწვრთნელი):** *"დამეთანხმებიან ალბათ "მილანელები", რომ ლიდერობა შესანიშნავი შეგრძნებაა".*

### გლობალური სტატისტიკა

**საუკეთესო დასწრება:** XVIII ტური მილანი-ინტერი, 80 000 გულშემატკივარი.

**ყველაზე დაბალი დასწრება:** XVII ტური კალიარი-ჯენოა, XVIII კიევო-პალერმო, XIX კალიარი-ფიორენტინა, XXII ლეჩე-ბოლონია, XXIII კალიარი-პალერმო, XXV კალიარი-ლეჩე, 6 000 გულშემატკივარი.

**ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება:** ნაპოლი-ჯენოა 6:1 (I ტური), ინტერი-პარმა 5:0 (XVII).

**ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება:** ფიორენტინა-იუვენტუსი 0:5 (XXVIII ტური).

**ყველაზე უხვგოლიანი თამაში:** ნაპოლი-კალიარი 6:3 (XXVII), ინტერი-ჯენოა 5:4 (XXX).

### სერიები

მოგება: იუვენტუსი - 4 თამაში
წაგება: ატალანტა, ნაპოლი - 2
წაუგებლად: იუვენტუსი - 31
მოუგებლად: ჩეზენა - 13

### გუნდური სტატისტიკა

საუკეთესო თავდასხმა: 61 გოლი - მილანი; 55 - ნაპოლი; 51 – იუვენტუსი.

საუკეთესო დაცვა: 17 გაშვებული - იუვენტუსი; 26 – მილანი; 29 – უდინეზე.

უარესი თავდასხმა: 18 გოლი - ჩეზენა; 27 – ნოვარა; 30 - კიევო.

უარესი დაცვა: 57 გაშვებული - ჯენოა, 52 – ნოვარა; 50 – პარმა.

ზუსტი გადაცემები: 16763 - იუვენტუსი; 16642 – მილანი; 15405 - რომა.

კარის მიმართულებით დარტყმები: 584 - იუვენტუსი; 492 – რომა, მილანი; 484 - ინტერი.

კარში დარტმები: 206 - იუვენტუსი; 187 - მილანი; 158 - ნაპოლი.

### ინდივიდუალური სტატისტიკა

**ბომბარდირები:** 23 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 20 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 19 - ედინსონ კავანი (ნაპოლი); 18 – დიეგო მილიტო (ინტერი); 17 – როდრიგო პალასიო (ჯენოა); 15 - ხერმან დენისი (ატალანტა); 13 – მიროსლავ კლოზე (ლაციო), სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 12 - ფაბრიციო მიკოლი (პალერმო).

**ასისტენტები:** 12 - ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 11 - ანდრეა პირლო (იუვენტუსი); 9 - პაბლო არმერო (უდინეზე); 7 - ანტონიო კასანო (მილანი), მირალემ პიანიჩი (რომა), მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი), რობინიო (მილანი), ხუან მანუელ ვარგასი (ფიორენტინა), სებასტიან ჯოვინკო (პარმა), სერჯო პელისიერი (კიევო).

**ზუსტი პასები:** 2513 - ანდრეა პირლო (იუვენტუსი); 2025 - კრისტიან ლედესმა (ლაციო); 1819 – რიკარდო მონტოლივო (ფიორენტინა); 1771 – ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი); 1748 – ფრანჩესკო ლოდი (კატანია); 1743 - დანიელე დე როსი (რომა); 1707 – ლუკა ჩიგარინი (ატალანტა).

**კარის მიმართულებით დარტყმები:** 136 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 111 – ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 109 – სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 103 – სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 97 - ედინსონ კავანი (ნაპოლი); 94 – ფაბრიციო მიკოლი (პალერმო).

**კარში დარტყმები:** 59 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 53 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 42 – ედინსონ კავანი (ნაპოლი); 39 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 37 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა), ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 33 - ხერმან დენისი (ატალანტა); 30 – მიროსლავ კლოზე (ლაციო).

**ჯარიმები:** 75 - ლუკა ჩიგარინი (ატალანტა); 73 – ვალონ ბერამი (ფიორენტინა); 70 - გაბი მუდინგაი (ბოლონია), მატია დესტრო (სიენა); 68 - პერპარიმ ჰეტემაი (კიევო); 64 – დანიელე კონტი (კალიარი); 63 - გილიერმო ჯაკომაცი (ლეჩე); 59 - ხუან კუადრადო (ლეჩე), გილიერმო ჯაკომაცი (ლეჩე).

### ციფრები და ფაქტები

"ფიორენტინამ" პირველად მოუგო "მილანს" გასვლაზე 2001 წლის მაისის შემდეგ;

■ ■ ■

**კარვალიო ამაურიმ პირველი გოლი გაიტანა "ფიორენტინას" შემადგენლობაში;**

■ ■ ■

"ინტერმა" ბოლო ექვს გასვლით შეხვედრაში ერთადერთი გამარჯვება მოიპოვა;

■ ■ ■

**"სიენამ" ისტორიაში პირველად დაამარცხა "ატალანტა" გასვლით პაექრობაში;**

■ ■ ■

ალესანდრო გაციმ "სიენადან" და ნიკო პულცეტიმ "ბოლონიადან" მე-100 მატჩები ჩაატარეს სერია A-ში;

■ ■ ■

**"კიევოს" ნახევარმცველმა მაიკლ ბრედლიმ პირველი გოლი გაიტანა სერია A-ში;**

■ ■ ■

სერჯო პელისიერმა მე-100 გოლი გაიტანა "კიევოს" შემადგენლობაში;

■ ■ ■

**"კიევოსთან" მარცხით "კატანიამ" 8-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა;**

■ ■ ■

"უდინეზეს" თავდამსხმელმა ანტონიო დი ნატალემ 150-ე გოლი გაიტანა სერია A-ში;



ანტონიო კონტეს თქმით, ლიდერობა შესანიშნავი შეგრძნებაა

**XXXII ტურის წინ**



ვნახოთ, ვინ ვის წააქცევს

# ტურინში დიდი ვნებათაღელვაა

### გუშინ

**კიევო-მილანი 0:1**

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – სარდო (74. სეზარი), დაინელი, აჩერბი, ნ. ფრეი – სამარკო (65. ლუსიანო), ლ. რიგონი, ბრედლი – თერეაუ – პალომბო (70. კრუსადო), პელისიერი.

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – დე სკილიო, ნესტა, იეპესი, ძამბროტა – გატუზო (62. ელ შაარავი), მუნტარი, ნოჩერინო – ზეედორფი (87. შტრასერი) – რობინიო (68. ემანუელსონი), იბრაჰიმოვიჩი.

**გოლი:** 0:1 მუნტარი (8)

**გაფრთხილება:** სარდო, დაინელი, სამარკო, პელისიერი – ძამბროტა, მუნტარი

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 20-13; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 12(2)-5(2); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 23 000

### დღეს

**რომა-უდინეზე 22.45**

**ტრავმა:** ბორინი, სიმპლისიო, ჟუანი, ბურდისო, გრეკო, კასეტი, ლობონტი – ბენეტია, ფლორო ფლორესი, ბასტა, ბატოკიო, ფაბრინი, ბადუ, ისლა.

**კატანია-ლეჩე 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** სპოლი (კატანია).
**ტრავმა:** ბიაჯანტი, პოტენცა – ჟულიო სერჟიო, ესპოზიტო.

**ფიორენტინა-პალერმო 22.45**

**ტრავმა:** გამბერინი, კასანი, კროლდრუპი, ვარგასი – აგუირეგერაი, ბალცარეტი, სილვესტრი.

**ჯენოა-ჩეზენა 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** კუჩკა (ჯენოა).
**ტრავმა:** ანტონელი, კონსტანტი – მარტინესი, პუდილი, იაკვინტა.

**ინტერი-სიენა 22.45**

**ტრავმა:** მაიკონი, სნეიდერი, კასტაინოსი – ანჯელო, კალაიო.

**იუვენტუსი-ლაციო 22.45**

**ტრავმა:** დიასი, კლოზე, სტანკევიჩუსი, ლულიჩი, კონკო (ლაციო).

**ნაპოლი-ატალანტა 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** ცუნიგა, ბრიტოსი, კანავარო – მანფრედინი.
**ტრავმა:** როზატი, დონადელი, მაჯო – ბრიგი, მარილუნგო, კაპელი.

**პარმა-ნოვარა 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** პალეტა – კარაჩოლო.
**ტრავმა:** ფერარიო – ლუდი, მარიანინი, უიკანი.

### ხვალ:

**ბოლონია-კალიარი 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** დი ვაიო – პინილია.
**ტრავმა:** კრესპო, კაზარინი, ანტონსონი, კრხინი – დესენა, რუი სამპაიო, ერიკსონი.

XXXII ტურის ცენტრალური შეხვედრა ტურინში გაიმართება, სადაც “იუვენტუსი” “ლაციოს” უმასპინძლებს. მოახლოებულ შეხვედრას ორივე გუნდი შესანიშნავ განწყობაზე ხვდება – გასულ უქმეებზე, პიემონტელები სათავეში ჩაუდგნენ სატურნირო ცხრილს, დედაქალაქელებმა კი “ნაპოლის” სახით უშუალო კონკურენტი დაამარცხეს და დიდი ნაბიჯი გადადგეს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად. ფავორიტი “ბიანკონერია”, მაგრამ უკან დახევას არც “ბიანკოჩელესტე” აპირებს, რაზეც **ედუარდო რეიას** კომენტარი მეტყველებს:

*“მიუხედავად იმისა, რომ თამაში ტურინშია, დაცვაში ყოფნას არ ვაპირებ. შევუტევთ და ვეცდებით, რომ მეტოქეს ჩვენი თამაში მოვახვიოთ თავს. მთავარი ბრძოლა მოედნის ცენტრში გაჩაღდება და ამისთვის მზად ვართ – შესაძლოა, 3-5-1-1 ტაქტიკა გამოვიყენო, ეს ნოვაციაა და ძალიან მაინტერესებს, რამდენად გაამართლებს. დანარჩენი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება და დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას”.*

“იუვენტუსი” დანაკლისის გარეშე ხვდება ამ მნიშვნელოვან პაექრობას, რაც იმას ნიშნავს, რომ **ანტონიო კონტეს** შემადგენლობის დაყენებისას დიდი არჩევანი ექნება. “გაძეტა დელო სპორტის” ვარაუდით, შეტევის წინა ხაზზე კონტე შემდეგ სამეულს გაამწესებს: **სიმონე პეპე, მირკო ვუჩინიჩი, ალესანდრო მატრი**. ნახევარდაცვაში ნაცად სამეულს ვიხილავთ **არტურო ვიდალის, კლაუდიო მარკიზიოს** და **ანდრეა პირლოს** შემადგენლობით. ვნახოთ, რა მოხდება “იუვენტუს არენაზე”, წესით, კარგი თამაში უნდა გაჩაღდეს.

საინტერესო მატჩი გაიმართება რომის ოლიმპიურ სტადიონზე, სადაც “რომა” “უდინეზეს” უმასპინძლებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ **ლუის ენრიკეს** გუნდისთვის ეს ბოლო შანსია, ჯერ კიდევ გაიბრძოლოს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის და ამას თავად დედაქალაქელებიც ადასტურებენ. ქულები უდინელებსაც ჰაერივით სჭირდებათ, რადგან დიდი ალბათობით, “ლაციო” ტურინში ქულებს დაკარგავს, ეს კი “ბიანკოჩელესტეს” მდევართათვის შესანიშნავი შანსია... “უდინეზე” სწორედ მდევარია და სამი ქულის მოსაპოვებლად ტყავიდან გამოძვრება. “ნაპოლი” საკუთარ კედლებში “ატალანტას” მიიღებს და აქაც იგივე შეგვიძლია ვთქვათ, რაც “რომას” შემთხვევაში – თუ ნეაპოლელები ჯერ კიდევ ფიქრობენ ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირის საგზურის მოპოვებაზე, ბერგამოელები აუცილებლად უნდა დაამარცხონ. ვნახოთ, წინ მართლაც საინტერესო ბატალიები გველის.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 32 | 20 | 7 | 5 | 62-26 | 67 |
| 2. იუვენტუსი | 31 | 17 | 14 | 0 | 51-17 | 65 |
| 3. ლაციო | 31 | 16 | 6 | 9 | 47-38 | 54 |
| 4. უდინეზე | 31 | 14 | 9 | 8 | 43-29 | 51 |
| 5. ნაპოლი | 31 | 12 | 12 | 7 | 55-38 | 48 |
| 6. რომა | 31 | 14 | 5 | 12 | 49-41 | 47 |
| 7. ინტერი | 31 | 13 | 6 | 12 | 45-44 | 45 |
| 8. კატანია | 31 | 10 | 13 | 8 | 41-41 | 43 |
| 9. კიევო | 32 | 11 | 9 | 12 | 30-40 | 42 |
| 10. სიენა | 31 | 10 | 9 | 12 | 36-32 | 39 |
| 11. პალერმო | 31 | 11 | 6 | 14 | 44-49 | 39 |
| 12. კალიარი | 31 | 9 | 11 | 11 | 33-38 | 38 |
| 13. ატალანტა | 31 | 10 | 13 | 8 | 34-33 | 37 |
| 14. ბოლონია | 31 | 9 | 10 | 12 | 32-38 | 37 |
| 15. ფიორენტინა | 31 | 9 | 9 | 13 | 32-38 | 36 |
| 16. პარმა | 31 | 8 | 11 | 12 | 39-50 | 35 |
| 17. ჯენოა | 31 | 9 | 8 | 14 | 42-57 | 35 |
| 18. ლეჩე | 31 | 7 | 10 | 14 | 35-47 | 31 |
| 19. ნოვარა | 31 | 5 | 10 | 16 | 27-52 | 25 |
| 20. ჩეზენა | 31 | 4 | 8 | 19 | 18-47 | 20 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXII ტური

## გუშინ

**ოსასუნა-ესპანიოლი 2:0**

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი (75. ეჩაიდე), ლოლო, ფლანიო, დამია - პუნიალი, ლო - სეხუდო, რ. გარსია (90. ტიმორი), ლამა - ნინო (86. ლეკიჩი).

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხ. ლოპესი, ფორლინი, მორენო, დიდაკ ვილა - ბაენა, კ. გომესი (74. რომარიკი) - ს. გარსია (63. ვეისი), ვერდიუ, კოუტინიო - კ. უჩე (69. პანდიანი).

**გოლები:** 1:0 რ. გარსია (53), 2:0 რ. გარსია (69)

**გაფრთხილება:** გარსია, სეხუდო, დამია - კოუტინიო, ბაენა, ფორლინი, გომესი, მორენო, ლოპესი

**გაძევება:** კოუტინიო (55), ფორლინი (82)

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 14-4 (4-0); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 15 500

**სოსიედადი-ბეტისი 1:1**

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ზუბიკარაი - ესტრადა, ანსოტეგი, მ. გონსალესი, დე ლა ბელა - ელუსტონდო, ილარამენდი (77. არანბურუ) - ველა, ზურუტუზა, გრიზმანი - აგირეჩე (71. ჩაბი პრიეტო).

**ბეტისი (4-4-2):** ფაბრისიო - ჩიკა, პაულაუ, ამაია, ნაჩო - სევილია (57. ბენატი), ირინეი, კანიასი (57. ხ. პერეირა), მონტერო (81. მატილია) - რ. კასტრო, სანტა კრუსი.

**გოლები:** 1:0 ველა (55), 1:1 რ. კასტრო (69)

**გაფრთხილება:** კანიასი, კასტრო, ჩიკა

**კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 10-9; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 17-12 (4-6); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 23 000

**ბარსელონა-ხეტაფე 4:0**

**ბარსელონა (3-4-3):** ვალდესი - პუიოლი, მასკერანო (83. მუნიესა), ადრიანო (76. მონტოია) - კვენკა, ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - სანჩესი, მესი, პედრო (78. ტელიო).

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - მ. ტორესი, კატა დიასი, ალექსისი, მასილელა - კასკერო, რ. პერესი - რიოსი (90. აროიო), ხ. როდრიგესი (67. ბარადა), დ. კასტრო (67. გავილანი) - მიკუ.

**გოლები:** 1:0 სანჩესი (13), 2:0 მესი (44), 3:0 სანჩესი (72), პედრო (75)

**გაფრთხილება:** მესი - გავილანი

**კუთხური:** 13-5; **ჯარიმა:** 9-10; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 14-2 (7-0); **ბურთის ფლობა:** 73%-27%.

**მაყურებელი:** 87 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 31 | 25 | 4 | 2 | 100-27 | 79 |
| 2. ბარსელონა | 32 | 24 | 6 | 2 | 94-23 | 78 |
| 3. მალაგა | 31 | 15 | 5 | 11 | 47-43 | 50 |
| 4. ვალენსია | 31 | 13 | 10 | 8 | 46-37 | 49 |
| 5. ლევანტე | 31 | 14 | 6 | 11 | 44-41 | 48 |
| 6. ოსასუნა | 32 | 11 | 13 | 8 | 37-52 | 46 |
| 7. ატლეტიკო | 31 | 11 | 9 | 11 | 42-37 | 42 |
| 8. სევილია | 31 | 11 | 9 | 11 | 36-33 | 42 |
| 9. ესპანიოლი | 32 | 11 | 9 | 12 | 39-43 | 42 |
| 10. ხეტაფე | 32 | 11 | 9 | 12 | 33-43 | 42 |
| 11. ბილბაო | 31 | 10 | 11 | 10 | 45-42 | 41 |
| 12. ვალეკანო | 31 | 12 | 4 | 15 | 48-53 | 40 |
| 13. ბეტისი | 32 | 11 | 6 | 15 | 39-45 | 39 |
| 14. სოსიედადი | 32 | 10 | 8 | 14 | 39-48 | 38 |
| 15. მალიორკა | 31 | 9 | 10 | 12 | 32-40 | 37 |
| 16. გრანადა | 31 | 10 | 5 | 16 | 28-46 | 35 |
| 17. ვილიარეალი | 31 | 7 | 11 | 13 | 31-45 | 32 |
| 18. სარაგოსა | 31 | 7 | 7 | 17 | 28-56 | 28 |
| 19. რასინგი | 31 | 4 | 13 | 14 | 23-48 | 25 |
| 20. სპორტინგი | 31 | 6 | 7 | 18 | 29-58 | 25 |

**ბომბარდირები:** 39 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 37 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 20 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო), გონსალო იგუაინი (რეალი); 17 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 16 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 15 - მიჩუ (რაიო ვალეკანო); 14 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო).

## დღეს

**სპორტინგი-ლევანტე 22:00**

ტრავმა: გრეგორი, ეგურენი, მენდი - დელ ორნო

**გრანადა-ბილბაო 22:00**

ტრავმა: იებდა, დიახატე - გურპეგი, ლოპესი, კასტილიო, ოსიო, მარტინესი

**ვალენსია-ვალეკანო 22:00**

დისკვალიფიკაცია: პიტი (რაიო)

ტრავმა: კანალესი, ბანეგა, მიგელი - მიჩელი (?), ფუეგო, არმენტეროსი (?)

**ატლეტიკო-რეალი 00:00**

ტრავმა: ლოპესი, სილვიო - რ. კარვალიო

## ხვალ

**ვილიარეალი-მალაგა 22:00**

ტრავმა: როსი - ტულალანი, ხოაკინი, ხუანმი, კაბალიერო, როსარიო, ბაპტიშტა

**რასინგი-მალიორკა 23:00**

დისკვალიფიკაცია: ფრანსისი (რას)

ტრავმა: მარიო, ტონიო, აკოსტა - ოგუნჯიმი, კევინი, ტეხერა

**სევილია-სარაგოსა 00:00**

ტრავმა: რეიესი, სპაჰიჩი, პეროტი, კამპანია - ლანძარო, ლაკრუსი

# მადრიდული დერბი და ბარსელონური მოლოდინი

## ბრძოლა მესამე ადგილისთვისაც თავიდან იწყება



ემზადებიან რეალისთვის: დიეგო და დიეგო სიმეონე

**ტური ტურს მიება და ვშიშობთ, მკითხველს ერთმანეთში არ აერიოს, თუმცა 31-ე ტურის ბოლო მატჩზე, რომელიც მალაგის „ლა როსალედაზე" გაიმართა, აუცილებლად დაგვრჩა სათქმელი (გუშინ მხოლოდ სტატისტიკა შემოგთავაზეთ) - მანუელ პელეგრინის „მალაგა" პირველად გადავიდა მესამე ადგილზე. აი, რა მოიტანა „ვალენსიას" კრიზისმა. ორშაბათს „მალაგამ" 3:0 მოუგო „რასინგს", რომლის საშველიც არ არის.**

### ესეც მესამე

კანტაბრიული კლუბი ახლა იმ მდგომარეობაშია, რომ ესპანეთის კი არა, ბევრად სუსტ პირველობაშიც ვერ ასცდება აუტსაიდერობას - ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მატჩის სტატისტიკაა მეტყველი - ანდალუსიელები ბურთს 70%-ით ფლობდნენ, კანტაბრიელებს კი კარში არც კი დაურტყამთ. ანგარიში უფრო მეტიც იქნებოდა, მაგრამ მე-5 წუთზე **სანტი კასორლამ** პენალტი ვერ გაიტანა. იმ დროისთვის „რასინგი" უკვე 10 კაცით თამაშობდა. პენალტი ხომ იმისთვის დაინიშნა, რომ **ფრანსისმა** საჯარიმოში **ხოსე რონდონი** მოცელა. 22-ე წუთზე „ვალენსიას" ყოფილმა ნახევარმცველმა **ისკომ** ბრწყინვალე გოლი გაიტანა. ანდალუსიელები მომენტს მომენტზე ანიავებდნენ. 64-ე წუთზე, როგორც იქნა, მათ კვლავ გაიტანეს - კასორლამ თავისი შეცდომა გამოასწორა. მესამე გოლი ვეტერანი ჰოლანდიელის, **რუუდ ვან ნისტელროის** ანგარიშზეა, მან დუდას ჩამოწოდებულს თავით მიუჩინა ადგილი შეცვლაზე შესული გოლკიპერის, **დანი სოტრესის** კარში.

თუკი გადავხედავთ კალენდარს, ანდალუსიელებს მესამე ადგილის შენარჩუნების კარგი შანსი აქვთ, რადგან ვალენსიელებს უფრო რთული დაპირისპირებები ელით.

**მანუელ პელეგრინი** (მალაგა): *„ძალიან კარგია მესამე ადგილი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურს იძლევა, მაგრამ სეზონის ფინიშამდე ჯერ კიდევ 7 ტური რჩება. გუნდმა კარგად ითამაშა. მართალია, პენალტი ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ მერე ძალიან ბევრი შანსი შევქმენით. ძალიან ძნელია მესამე ადგილის შენარჩუნება, როცა კონკურენტებად „ვალენსია", „ატლეტიკო" და „სევილია" გყავს. მაგრამ ჩვენ ვაპირებთ, ვაჩვენოთ რა შეგვიძლია".*

### ერიდეთ რონალდოს

ნუხელ ლა ლიგის რიგით 32-ე (ოფიციალური ნუმერაციით ეს ტური სულაც 33-ეა) ტურის სამი მატჩი უკვე გაიმართა. მათ შორის „ბარსელონასა" და „ხეტაფეს" დაპირისპირება. დღეს 4 შეხვედრაა, ხოლო ხვალ - 3. ტურის ცენტრალური შეხვედრა უდავოდ მადრიდული დერბია - ამაღამ, „ვისენტე კალდერონზე" ერთმანეთის პირისპირ „ატლეტიკო" და „რეალი" დადგებიან. „სამეფო კლუბისთვის" ძალიან მოუხერხებელ დროს ტარდება დერბი, ახლა ქულების დაკარგვა **ჟოზე მოურინიოს** გუნდს ტიტულისთვის ბრძოლაში ფავორიტობიდან აუტსაიდერად აქცევს.

„ელ დერბი მადრილენიო" ჩემპიონატში 1928 წლიდან ტარდება. „რეალმა" 80-ჯერ მოიგო, „ატლეტიკომ" - 35-ჯერ, 31-ჯერ კი დერბი ფრედ დასრულდა. ბურთების შეფარდებაც „სამეფო კლუბის" დიდ უპირატესობას ასახავს: 262:197. 10 წელზე მეტია, რაც „ატლეტიკოს" „რეალისთვის" არ მოუგია.

ნოემბრის დაპირისპირება ცუდად ემახსოვრებათ „ატლეტიკოს" ფანებს - **კრიშტიანო რონალდომ** ჰეთ-თრიკი შეასრულა, ხოლო „რეალმა" მოწინააღმდეგე 4:1 გაანადგურა. მაგრამ ახლა თამაში „ვისენტე კალდერონზეა", ხოლო „რეალს" ზურგს „ვალენსიასთან" დაკარგული ქულები „უმაგრებს". ობიექტურობისთვის ისიც აღსანიშნავია, რომ „ატლეტიკოსაც" ბევრი უკლია სრულყოფილებამდე - წინა ტურში „ათლეტებმა" სულაც წააგეს მეორე ვალენსიურ კლუბთან, „ლევანტესთან" - 0:2. კრიშტიანო რონალდოსთვის კიდევ ერთი გოლი სეზონში 50-ე იქნება ყველა საკლუბო ტურნირში.

**დიეგო სიმეონემ** ორშაბათიდან დაიწყო „ატლეტიკოს" მზადება დერბისთვის. გუნდში ყველა ფეხბურთელი ჯანსაღადაა ორის გარდა, მცველები **ანტონიო ლოპესი** და **სილვიო პერეირა** ჯერაც ინდივიდუალურად ემზადებიან და დერბის დააკლდებიან. **დიეგო სიმეონემ** „ლევანტესთან" მატჩში დაასვენა **რადამელ ფალკაო**, რომელიც 20 გოლით ლა ლიგის ბომბარდირთა მარაქაშია.

ჟოზე მოურინიოს **სერხიო რამოსი** უბრუნდება, რომელმაც დისკვალიფიკაცია მოიხადა. პორტუგალიელი ვეტერანი **რიკარდო კარვალიო** კვლავ ტრავმირებულია. ბოლო დროს ჟოზე სასტარტოში რონალდოს, **იგუაინს** და **ბენზემას** ერთად ათამაშებს. ასეთ განლაგებაში კი **კაკას** ადგილი აღარ რჩება.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ატლეტიკო:** *კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ლუიშ ფილიპე - გაბი, სუარესი - ადრიან ლოპესი, დიეგო, არდა თურანი - ფალკაო.*

**რეალი:** *კასილიასი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, მარსელო - ხედირა, ჩაბი ალონსო - იგუაინი, იოზილი, რონალდო - ბენზემა.*

### დაკარგულის დასაბრუნებლად, ისევ მადრიდელებთან

„ვალენსიაც" დღეს თამაშობს და დაკარგული მესამე ადგილის დასაბრუნებლად იბრძოლებს, მეტოქე მადრიდული „რაიო ვალეკანოა". **სანდოვალის** გუნდი ბრწყინვალე ფორმაშია, „ელვებმა" ქვა-ქვაზე არ დატოვეს წინა ტურში „ოსასუნასგან" - 6:0 მოუგეს.

„ვალენსიას" რაც შეეხება, მართალია, „ღამურებმა" მე-3 ადგილი დაკარგეს, მაგრამ „სანტიაგო ბერნაბეუზე" კარგი თამაშით და ქულით იმხელა ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვეს, რომ შეიძლება ჩარხი ისევ წაღმა შემოატრიალონ. ამისთვის „ვალენსიას" „მესტალიაზე" დღეს აუცილებლად ესაჭიროება გამარჯვება.

**მიგელმა** და **სერხიო კანალესმა** უკვე განაახლეს ვარჯიში, მაგრამ ახალგაზრდა ესპანელის თამაში გამორიცხულია, პორტუგალიელსაც მცირე შანსი აქვს. **უნაი ემერი** ალბათ დააბრუნებს **რობერტო სოლდადოს** სასტარტო შემადგენლობაში.

„რაიო ვალეკანოს" სეზონის ბოლომდე დააკლდა ნახევარდაცვის ერთ-ერთი ლიდერი **ხავი ფუეგო**, რომელმაც მუხლის ძვალი მოიტეხა. საეჭვოა არგენტინელი **ემილიანო არმენტეროსის** თამაშიც. გუნდის კაპიტან **მიჩელს** კი მხარი თითქმის მოურჩა. სტუმრებს დისკვალიფიკაციის გამო **პიტი** დააკლდებათ.



კარლოს ველამ რეალ სოსიედადში გაიბრწყინა

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ვალენსია:** *გუაიტა - რ. კოშტა, რამი, რუისი, ალბა - ალბელდა, ტინო კოსტა - ფეგული, ჟონასი, პიატი - სოლდადო.*

**რაიო ვალეკანო:** *რობლესი - ტიტო, არიბასი, პულიდო, კასადო - მოვილია, მიჩუ - ლ. ბანგურა, კოშტა, ტრაშორასი - ტამუდო.*

### ველას არსენალის გახსენებაც არ უნდა

23 წლის მექსიკელი **კარლოს ველა** სამაგალითოდ შეეწყო დროებით კლუბსა და გარემოს - ლონდონის „არსენალის" ფორვარდი იჯარის წესით „რეალ სოსიედადში" თამაშობს. უფრო ზუსტად, ბრწყინავს - ახალგაზრდა ლეგიონერის ანგარიშზე 10 გოლი და 7 საგოლე პასია. კარლოსი ამბობს, რომ „არსენალის" გახსენებაც არ სურს: *„როცა სატრანსფერო დრო მოვა, მაშინ ვიფიქრებ ამ საკითხზე, ახლა კი მთელი ენერგია ბასკურ გუნდს მინდა მოვახმარო. მინდა რაც შეიძლება მეტი გოლი და საგოლე პასი მივითვალო. ვტკბები სან სებასტიანში გატარებული თითოეული წუთით, რადგან ძალიან მიყვარს აქაურობა და არ ვიცი, დავრჩები თუ ვერა. ჩემი აზრით, კარიერისთვის ესპანეთში დავრჩე, მიჯობს. თანაც, მენტალიტეტითაც ეს ქვეყანა უფრო ახლოსაა ჩემთან",* - უთხრა ველამ „მარკას".



ფრანსისის გაძევებამ რასინგს ხელი სულ მოუთავა

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა. XXX ტური

# დუელი, რომელსაც დიდხანს ველოდით

## დღეს დორტმუნდი და ბაიერნი ერთმანეთში ყველაფერს გაარკვევენ

**გაარკვევს „დორტმუნდისა“ და „ბაიერნის“ დღევანდელი დუელი გერმანიის ჩემპიონის ვინაობას? ერთი რამ ცხადია: როგორც არ უნდა დამთავრდეს ეს მატჩი, ამ კითხვაზე პასუხს მხოლოდ 34-ე ტურის შემდეგ შევიტყობთ, რადგან ორივე გუნდს კიდევ 4-4 მატჩი დარჩება ჩასატარებელი. გუშინ ოთხი მატჩი გაიმართა, დღეს კი ტოპ-მატჩის გარდა, კიდევ ოთხი დაპირისპირებაა – მათ შორის ქვემოსაქსონიური დერბი „ჰანოვერისა“ და „ვოლფსბურგის“ მონაწილეობით.**

### გუშინ

**ჰერტა–ფრაიბურგი 1:2**

**ჰერტა (4-2-3-1):** კრაფტი – ლელი, ჰუბნიკი, ბასტიანსი, კობიაშვილი – ნიმაიერი, ოტლი (62. ებერტი) – რუკავიტსია (46. ლასოგა), რაფაელი, ბენ-ჰატირა (76. თორუნი) – რამოსი

**ფრაიბურგი (4-2-2-1-1):** ბაუმანი – მუიჯა, გინტერი, დიანიე, ზორგი – გუედე, ფლუმი – შმიდი, დ. კალიჯური (73. როზენტალი) – დემბელე – ფრაისი (91. სანტინი).

**გოლი:** 0:1 ჰუბნიკი (7-საკ. კარში), 0:2 ფრაისი (67), 1:2 ჰუბნიკი (81)

**გაფრთხილება:** ლელი, თორუნი, ებერტი, კრაფტი - დემბელე

**კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 18-14; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 12(4)-10(5); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 45 778

**აუგსბურგი–შტუტგარტი 1:3**

**აუგსბურგი (4-1-4-1):** იენტცში – ვერჰეგი, სანკო, ს. ლანგკამპი, ოსტრცოლეკი (85. ვერნერი) – ჰოსოგაი – მ. ნდიენგი (68. კალსენბრაკერი), ბაიერი, კოო, ბელინგჰაუზენი – რაფაელი (76. მიოლდერსი).

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი – საკაი, ტასკი, ნიდერმაიერი, ბოკა (46. მოლინარო) – კვისტი, კუზმანოვიჩი (58. გენტნერი) – ჰარნიკი, ჰაინალი (76. კაკაუ), შიბერი – იბიშევიჩი.

**გოლები:** 1:0 რაფაელი (5-პენ), 1:1 ტასკი (24), 1:2 ჰარნიკი (34), 1:3 იბიშევიჩი (84)

**გაფრთხილება:** ოსტრცოლეკი – ნიდერმაიერი, კუზმანოვიჩი, საკაი

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 16-19; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 20(2)-14(9); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 30 600

**მაინცი–კიოლნი 4:0**

**მაინცი (4-2-3-1):** ვეტკლო – პოსპეხი, კირხჰოფი, ნოვესკი, ზაბავნიკი – პოლანსკი, სოტო (81. ბაუმგარტლინგერი) – ნ. მიულერი, ზიდანი (64. ივანშიტცი), ჩუპო-მოტინგი – სალაი (81. ალაგუი).

**კიოლნი (4-4-2):** რენზინგი – ბრეჩკო, ჟეროშელი, სერენო, ჯემალი (74. მაკენა) – კლემენსი, ლანიგი, რიტერი, როში (46. ჩონგი) – იშაკი (56. იაიალო), პოდოლსკი.

**გოლები:** 1:0 პოლანსკი (19-პენ), 2:0 ზიდანი (32), 3:0 ნ. მიულერი (37), 4:0 სალაი (55)

**გაფრთხილება:** სალაი, ჩუპო-მოტინგი

**კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 8-1; **კარში დარტყმა:** 7(4)-3(0); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 32 500

**ვერდერი–ბორუსია (მ) 2:2**

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე – ბიონიში, აფოლტერი (75. ფიულკრუგი), სოკრატისი, იუნუზოვიჩი (90. ტრინკსი) – ნალდო – ფრიტცი, შმიტცი – მარინი (71. იგნიოვსკი) – პისარო, როზენბერგი.

**ბორუსია /მ/ (4-2-2-2):** ტერ შტეგენი – შტრანცლი, ბრუვერსი, დანტე, დემსი – ნორდტვეიტი, ნოიშტედტერი – ჰერმანი (81. რინგი), არანგო – როისი, ჰანკე (90. დე კამარგო).

**გოლები:** 1:0 როზენბერგი (18), 1:1 ჰანკე (52), 1:2 ჰანკე (66), 2:2 ნალდო (74)

**გაძევება:** ბიონიში (27. ვერდერი)

**გაფრთხილება:** ნოიშტედტერი, როისი, ბრუვერსი, არანგო

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 6-13; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 14(6)-23(7); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 42 100

### დღეს

**ბორუსია (დ)–ბაიერნი 22:00**

**პირველ წრეში:** 1:0

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ფოხერი, კოხი, ბაკალორცი, გიოტცე (?) – ბრენო, ვან ბუიტენი

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი – გიუნდოგანი, კელი (ან ს. ბენდერი) – ბლაშჩიკოვსკი, კაგავა, გროსკროიტცი.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – ლამი, ბოატენგი, ბადშტუბერი, ალაბა – ლუის გუსტავო, შვაინშტაიგერი – რობენი, კროოსი (ან თ. მიულერი), რიბერი – გომესი.

**არბიტრი:** კნუტ კირხერი

**ნიურნბერგი–შალკე 22:00**

**პირველ წრეში:** 0:4

**დისკვალიფიკაცია:** ფოილნერი (ნიურნბერგი)

**ტრავმა:** ჰლუშეკი, აიგლერი, ესვაინი – ფერმანი, ჰილდებრანდი

**ჰოფენჰაიმი–ჰამბურგი 22:00**

**პირველ წრეში:** 0:2

**დისკვალიფიკაცია:** აოგო, გერერო (ორივე ჰამბურგი)

**ტრავმა:** იაისლე, კლინგმანი, ვორსა, თომალა – მიკელი, დიკმაიერი, რაიკოვიჩი

**ლევერკუზენი–კაიზერსლ. 22:00**

**პირველ წრეში:** 2:0

**დისკვალიფიკაცია:** -

**ტრავმა:** ჩორლუკა, და კოშტა, შვააბი, ლ. ბენდერი, სემი – შიმუნეკი, ბორისიუკი, ტიფერტი, იორგენსენი, კუემაა, შეხტერი, ვაგნერი

*„დარწმუნებული ვარ, რომ ჩემპიონები ჩვენ გავხდებით. „ბაიერნი“ „დორტმუნდზე“ უკეთესი გუნდია და ეს ოთხშაბათსვე უნდა დავამტკიცოთ,“* - აცხადებს რეკორდმაისტერის სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერი**, რომელიც ადრე „დორტმუნდში“ თამაშობდა.

*„ეს რომ ბოლო ტური იყოს, მეც თამამად ვიტყოდი, რომ ფინალია, მაგრამ რაკი ამ მატჩის შემდეგ კიდევ ოთხი თამაში დაგვრჩება ჩასატარებელი, „ბაიერნთან“ დუელში დაფიქსირებულ შედეგს გადამწყვეტს ვერ ვუწოდებ,* - ეს კი „ბორუსიას“ დამრიგებლის, იურგენ კლოპის სიტყვებია, - *ჩვენს გულშემატკივრებს საუკეთესო სპექტაკლს შევთავაზებთ.“*

„ბილდმა“ ეს სუპერდუელი ასე დაასათაურა: „დორტმუნდის ბარსელონა“ „მიუნხენის რეალის“ წინააღმდეგ. და ამით, ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ ნათქვამია.



ბავარიელთა მარჯვენა გარემარბ არიენ რობენს დღეს ბორუსიას მარცხენა მცველ მარსელ შმელცერთან ექნება საქმე

**ჰანოვერი–ვოლფსბურგი 22:00**

**პირველ წრეში:** 1:4

**დისკვალიფიკაცია:** მადლუნგი (ვოლფსბურგი)

**ტრავმა:** აიჩიჩეკი – კრისი, თიოლკე, ჰიტცლშპერგერი, მედოიევიჩი

## „დორტმუნდის ბარსელონა“ „მიუნხენის რეალის“ წინააღმდეგ

ლიდერისა და მეორეადგილოსანის დაპირისპირებამ დანარჩენი მატჩები დაჩრდილა. არის თუ არა „დორტმუნდისა“ და „ბაიერნის“ დუელი მართლაც ფინალი? თუ „ბორუსია“ მოიგებს, ძალიან ძნელი წარმოსადგენი იქნება, **იურგენ კლოპის** შეგირდებმა ტიტული ვერ შეინარჩუნონ და ასეთ შემთხვევაში ხვალ თამამად ვიტყვით, რომ ჩემპიონი ისევ BVB ხდება. თუ „ბაიერნი“ მოიგებს, „ბორუსიას“ ბურთების უკეთესი სხვაობის გამო გადაასწრებს და მერე მიუნხენელთა ბედი მათსავე ხელში იქნება – თუ ოთხივე დარჩენილ შეხვედრას მოიგებენ, ჩემპიონებიც გახდებიან. ფრე, ლოგიკურად, დორტმუნდელებს უფრო აწყობთ, მაგრამ იცით, „ძაღლის თავი სად არის დამარხული“? „ბორუსიას“ შედარებით რთული მატჩები დარჩება გასამართი და მიუნხენელები ფრეზე უარს ამიტომაც არ იტყოდნენ. ეს **ბასტიან შვაინშტაიგერმაც** თქვა (მისი ინტერვიუ გუშინდელ ნომერში შემოგთავაზეთ), მაგრამ იქვე დასძინა, მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გავალთო.

„დორტმუნდის“ განაცხადში **მარიო გიოტცეს** გამოჩენა გამორიცხული არ არის, ძირითად შემადგენლობაში კი ნამდვილად ვერ ვიხილავთ...

### დორტმუნდის და ბაიერნის დარჩენილი მატჩები

**ბორუსია (დ)**

| ტური | მატჩი |
|---|---|
| XXX | ბორუსია (დ)-ბაიერნი |
| XXXI | შალკე-ბორუსია (დ) |
| XXXII | ბორუსია (დ)-ბორუსია (მ) |
| XXXIII | კაიზერსლ.-ბორუსია (დ) |
| XXXIV | ბორუსია (დ)-ფრაიბურგი |

**ბაიერნი**

| ტური | მატჩი |
|---|---|
| XXX | ბორუსია (დ)-ბაიერნი |
| XXXI | ბაიერნი-მაინცი |
| XXXII | ვერდერი-ბაიერნი |
| XXXIII | ბაიერნი-შტუტგარტი |
| XXXIV | კიოლნი-ბაიერნი |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 29 | 20 | 6 | 3 | 66-22 | 66 |
| 2. ბაიერნი | 29 | 20 | 3 | 6 | 69-19 | 63 |
| 3. შალკე | 29 | 18 | 3 | 8 | 64-35 | 57 |
| 4. ბორუსია (მ) | 30 | 15 | 8 | 7 | 43-22 | 53 |
| 5. შტუტგარტი | 30 | 13 | 7 | 10 | 55-40 | 46 |
| 6. ვერდერი | 30 | 11 | 9 | 10 | 44-46 | 42 |
| 7. ლევერკუზენი | 29 | 11 | 8 | 10 | 40-39 | 41 |
| 8. ჰანოვერი | 29 | 10 | 11 | 8 | 37-42 | 41 |
| 9. ვოლფსბურგი | 29 | 12 | 4 | 13 | 41-52 | 40 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 29 | 9 | 10 | 10 | 34-40 | 37 |
| 11. მაინცი | 30 | 9 | 9 | 12 | 47-48 | 36 |
| 12. ფრაიბურგი | 30 | 9 | 8 | 13 | 41-56 | 35 |
| 13. ნიურნბერგი | 29 | 9 | 5 | 15 | 27-41 | 32 |
| 14. ჰამბურგი | 29 | 7 | 10 | 12 | 33-51 | 31 |
| 15. აუგსბურგი | 30 | 6 | 12 | 12 | 32-47 | 30 |
| 16. კიოლნი | 30 | 8 | 5 | 17 | 36-63 | 29 |
| 17. ჰერტა | 30 | 6 | 9 | 15 | 31-54 | 27 |
| 18. კაიზერსლ. | 29 | 3 | 11 | 15 | 18-41 | 20 |

**ბომბარდირები:** 25 – გომესი (ბაიერნი); 24 – ჰუნტელაარი (შალკე); 19 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/); 17 – პოდოლსკი (კიოლნი); 16 – პისარო (ვერდერი)

## ნიურნბერგს ნავსის გატეხვა უნდა

„ნიურნბერგი“ „შალკეს“ მასპინძლობს და ქულები ჰაერივით ესაჭიროება. გელზენკირხენულ კლუბზე კი იგივეს ვერ ვიტყვით – მართალია, ბუნდესლიგაში თითოეული ქულა ძვირად ფასობს, მაგრამ „შალკეს“ არც მესამე ადგილის დაკარგვის საფრთხე ემუქრება და **ჰუუბ სტევენსის** შეგირდები ველარც მეორე ადგილს ნაეპოტინებიან.

გასულ უქმეებზე „ნიურნბერგი“ „ფრაიბურგს“ 2:0-ს უგებდა, მაგრამ საბოლოოდ 2:2-ს დასჯერდა. ამით „ფრანკებმა“ წაგებათა სერია შეწყვიტეს, თუმცა კმაყოფილები მაინც არ დარჩნენ, რადგან გასავარდნ ზონასთან ძალიან ახლოს არიან. „შალკესთან“ მატჩში „ნიურნბერგის“ თავკაცს **დიტერ ჰეკინგს** კიდევ ერთხელ მოუწევს დაცვის ხაზის გადაწყობა: მართალია, **ვოლშაიდმა** დისკვალიფიკაცია მოიხადა და ბრუნდება, სამაგიეროდ, ახლა მარჯვენა მცველი **ფოილნერია** დასჯილი. „შალკემ“ კვირას „ჰანოვერი“ 3:0 დაამარცხა და როგორც უკვე ვთქვით, გელზენკირხენელები მესამე ადგილზე მშვიდად არიან.

## ჰამბურგი აოგოს გარეშე

„ჰამბურგი“ გადარჩენისთვის ბრძოლას „ჰოფენჰაიმთან“ გასვლითი მატჩით აგრძელებს. „სოფლელებს“ კი ეს პრობლემა „კაიზერსლაუტერნთან“ გამარჯვების შემდეგ აღარ აწუხებთ და ალბათ სეზონის ბოლომდე აღარც შეაწუხებთ – „ჰოფე“ ისევ უმოტივაციო მდგომარეობაშია. „ჰამბურგმა“ კი „ლევერკუზენთან“ ფრე ითამაშა და თუ ჩრდილოელები ყურადღებით არ იქნებიან, მდგომარეობას ისევ უკიდურესად დაიმძიმებენ. „ჰამბურგის“ მთავარი მწვრთნელი **ტორსტენ ფინკი** დღეს მარცხენა მცველ **დენის აოგოს** ვერ გამოიყენებს – ეს უკანასკნელი დისკვალიფიცირებულია. სამაგიეროდ, მას **კაჩარი** უბრუნდება.

## ლევერკუზენი იოლად მოიგებს?

„ლევერკუზენმა“ წაგებათა ოთხმატჩიანი სერია მწვრთნელის შეცვლის შემდეგლა შეწყვიტა: **სამი ჰიიპიას** თავკაცობით, „ფარმაცევტებმა“ გასულ უქმეებზე „ჰამბურგში“ საპატიო ფრეს (1:1) მიაღწიეს. ფინელმა, ყველასათვის მოულოდნელად, **მიხაელ ბალაკი** ძირითად შემადგენლობაში დააბრუნა. დღეს ჰიიპიას უკვე საკუთარი პუბლიკის წინაშე ელის დებიუტი: „ლევერკუზენი“ იმ „კაიზერსლაუტერნს“ მასპინძლობს, რომელსაც გადარჩენის თეორიული შანსი ჯერ კიდევ აქვს, პრაქტიკული კი – უკვე აღარ!

## ქვემოსაქსონიელებს ევროპაში უნდათ

სატურნირო ცხრილიდანაც ჩანს, რომ ევროპალიგის საგზურებისთვის ბრძოლა ძალიან დაძაბულია. „ჰანოვერი“ და „ვოლფსბურგი“ სწორედ ამ ბრძოლაში არიან ჩართულები და დღეს ერთმანეთს ხვდებიან. წინა ტურმა ორივე გუნდი უქულოდ დატოვა - „ჰანოვერი“ „შალკესთან“ დამარცხდა (0:3), „ვოლფსბურგი“ „დორტმუნდთან“ (1:3). მატჩს ინტრიგას ის ფაქტორიც მატებს, რომ ეს საკმაოდ მძაფრი, ქვემოსაქსონიური დერბია. „ვოლფსბურგის“ თავკაც **ფელიქს მაგათს მადლუნგი** დისკვალიფიცირებული ჰყავს, „წითლების“ დამრიგებელი **მირკო სლომკა** კი სავარაუდოდ თავდამსხმელ **აბდელაუს** ვერ გამოიყენებს – ეს უკანასკნელი „შალკესთან“ დაშავდა და ნაადრევად შეცვალეს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ფაქტები და ციფრები



პირველ წრეში ბორუსიამ მიუნხენში 1:0 მოიგო, გამარჯვების გოლი მანუელ ნოიერს მარიო გიოტცემ გაუტანა

## რას გვეუბნება სტატისტიკა?

### ბაიერნს გოლების გატანა მატჩის დასაწყისში ეხერხება, დორტმუნდს კი მატჩის მიწურულს

*დორტმუნდში გამართული მატჩების ბალანსი: 13-17-12, ბურთების შეფარდება: 64:59; საერთო ბალანსი: 21-26-38.*

- პირველ წრეში ბორუსიამ მიუნხენში 1:0 მოიგო, გამარჯვების გოლი **მარიო გიოტცემ** გაიტანა.
- „ბორუსიამ“ „ბაიერნს“ ბოლო სამი თამაში მოუგო. ამაზე უკეთესი შედეგი (ზედიზედ ოთხი მოგება) „ბაიერნთან“ მხოლოდ ბრემენის „ვერდერს“ აქვს (30.11.1991 - 9.9.1993).
- „ბორუსიამ“ საკუთარ მოედანზე „ბაიერნთან“ ყველაზე დიდი ანგარიშით 2009 წლის 12 სექტემბერს წააგო: 1:5.
- ლიდერი მასპინძლობს მეორეადგილოსანს: ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში 20-20 მოგება მხოლოდ „დორტმუნდს“ და „ბაიერნს“ აქვთ.
- „დორტმუნდმა“ არსებობის ისტორიაში პირველად არ წააგო ზედიზედ 23 თამაში და დღეს „ლევერკუზენის“ რეკორდის გამეორება შეუძლია – „ბაიერს“ 2009/2010 წლების სეზონში 24-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა.
- „დორტმუნდისა“ და „ბაიერნის“ დუელების საუკეთესო ბომბარდირები **გერდ მიულერი** (14 გოლი „ბაიერნისთვის“) და **ლოთარ ემერიხი** (8 გოლი „დორტმუნდისთვის“) არიან.
- „დორტმუნდში“ „ბაიერნის“ წინააღმდეგ ყველაზე მეტი მატჩი **მიხაელ ცორკს** აქვს გამართული (28), რომელიც დღეს „ბორუსიას“ მენეჯერია. „ბაიერნიდან“ კი ასეთი მაჩვენებლით **ოლივერ კანი** დაიკვეხნის, რომელიც რეკორდმაისტერის კარს „დორტმუნდთან“ 27 მატჩში იცავდა.
- დორტმუნდელი **სებასტიან კელი** ბუნდესლიგაში 250-ე მატჩს გამართავს, მეკარე **რომან ვაიდენფელერი** კი „ბორუსიას“ კარს 250-ედ დაიცავს.
- „დორტმუნდის“ დაცვის ბურჯი **მატს ჰუმელსი** ადრე „ბაიერნის“ ფეხბურთელი იყო და რეკორდმაისტერის ფორმით ბუნდესლიგაში ერთი მატჩი აქვს ჩატარებული.
- „ბაიერნს“ მიმდინარე სეზონში ყველაზე მეტი საგოლე მომენტი შეექმნა (229) და ყველაზე მეტი გოლი გაიტანა (69). ამ რეიტინგში მეორე ადგილზე „დორტმუნდია“: 225 მომენტი, 66 გოლი.
- „ბაიერნს“ პირველ 30 წუთში ყველაზე მეტი, 26 გოლი აქვს გატანილი, დორტმუნდელებს კი გოლების გატანა უფრო ბოლო 15 წუთში ეხერხებათ: „ბორუსიამ“ 75-ე წუთის შემდეგ ამ სეზონში 16 გოლი გაიტანა.
- „ბაიერნმა“ ბუნდესლიგის ბოლო ხუთი თამაში მოიგო (ბურთების შეფარდებით 18:3).
- „ბაიერნის“ მთავარმა მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა** გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატში სულ 20 ფეხბურთელი გამოიყენა, „დორტმუნდის“ თავკაცმა იურგენ კლოპმა კი – 22. ორივე გუნდს ყველაზე ცოტა ფეხბურთელი ჰყავთ გამოყენებული.
- „ბაიერნის“ ნახევარმცველ **ტონი კროოსს** კლოპის მიერ გაწვრთნილი გუნდების წინააღმდეგ 6 მატჩი აქვს ჩატარებული და არც ერთი არ მოუგია (2 ფრე, 4 წაგება).
- „ბაიერნის“ სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერი** აქტიური სპორტული კარიერის დროს „დორტმუნდის“ ფეხბურთელი იყო.

*ჰაინკესს თავის სამწვრთნელო კარიერაში „დორტმუნდი“ 16-ჯერ ჰყავს დამარცხებული (10 ფრე, 8 წაგება). „დონ იუპზე“ გაცილებით ახალგაზრდა კლოპს კი „ბაიერნთან“ მხოლოდ 3 თამაში აქვს მოგებული (2 ფრე, 8 წაგება).

უცხოური ფეხბურთი

გოტფრიდ ლენცის საავტორო რუბრიკა

# ტონი მონტანა დაბრუნდა!

## ...და დაამტკიცა, რომ არ დავიწყებია, როგორ უნდა მოეპყრას ბურთს

**იტალიაში „იუვენტუსი“ ყველაზე მეტად ფლორენციელებს სძულთ და სწორედ ფლორენციელების წყალობით დაიბრუნა „იუვემ“ ლიდერობა; ინგლისში მარიო ბალოტელიმ უკანასკნელი წარმოდგენა გამართა – სამწუხაროა, „დრიბლინგს“ კარგი გმირი გამოაკლდება; ესპანეთში ამჯერად მხოლოდ ციფრებია, გერმანიაში კი ისევ ბალაკოვი და ამჯერად შვაინშტაიგერიც.**

იტალია

### ფიორენტინა? ამაური?

„იუვენტუსის“ გალიდერებას წინ ძალიან საინტერესო პრეისტორია უძღოდა: „ფიორენტინამ“ როგორღაც (ოღონდ, კაციშვილმა არ იცის, როგორ) მოახერხა და „მილანში“ მოიგო. ფაქტია, „ვიოლამ“ ამით „იუვენტუსს“ გაუკეთა საქმე – იმ „იუვენტუსს“, რომელსაც იტალიაში ყველაზე მეტად სწორედ „ფიორენტინას“ ფანები ვერ იტანენ. და ეს ყველაფერი არ არის! გაიხსენეთ, ვინ გაიტანა „მილანის“ კარში გამარჯვების გოლი – **კარვალიო ამაურიმ**, რომელსაც ლოგიკურად ყველაზე ნაკლებად უნდა ნდომოდა „იუვესთვის“ კარგი საქმის გაკეთება.

### კასანო დაბრუნდა

ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნისა და იტალიის ჩემპიონატში ლიდერობის დაკარგვით დამწუხრებულ „მილანის“ ტიფოზებს გასულ უქმეებზე მხოლოდ **ანტონიო კასანოს** დაბრუნება თუ გაახარებდათ. „სან სიროს“ პუბლიკა 29 წლის „ფანტაზისტას“ უდიდესი ოვაციებით შეხვდა. ანტონიო გულის პრობლემების გამო „როსონერის“ 162 დღის განმავლობაში აკლდა და 28 მატჩი გამოტოვა. კასანო ბურთს რამდენჯერმე შეეხო და ყველა ეპიზოდში დაამტკიცა, რომ ამ ხნის მანძილზე არ დავიწყებია, როგორ უნდა მოეპყროს ბურთს.

Buentornaro, Antonio!

### დაიჭირეთ ეგ მსაჯი!

„ინტერში“ „სტრამოუჩონის“ ეფექტით გაბერილი იმედის ბუშტი ისევ ჩაიფუშა. ახალი მწვრთნელის ხელში „ნერაძურიმ“ მეორე თამაშში ველარ აჩვენა კარგი ფეხბურთი და „კალიარისთან“ მხოლოდ 2:2 დააფიქსირა – თანაც, „ინტერს“ ბოლო 30 წუთში მოედანზე ერთით მეტი ფეხბურთელი ჰყავდა.

**მაურიციო პინილიამ** ანგარიში 2:1 რომ გახადა, გახარებულმა მაისური **ფაბრიციო რავანელის** სტილში თავზე წამოიცვა, რისთვისაც მსაჯმა დაუფიქრებლად უჩვენა მეორე ყვითელი ბარათი და შესაბამისად, წითელიც. გახარებული ფეხბურთელის მოედნიდან გაძევება (თანაც მხოლოდ მაისურის თავზე წამოცმისთვის) დიდი სისულელე რომაა, სწორედ ამაზე საუბრობდა – საუბრობდა კი, არა ყვიროდა – „კალიარის“ პრეზიდენტი **მასიმო ჩელინო** მატჩის შემდეგ: *„სწორედ ახლა დავრეკე პოლიციაში და განვცახადე, რომ ეს მსაჯი დასაჭერია!“* - თქვა მან პრესკონფერენციაზე. თავად **პინილია** მომხდარს უფრო მშვიდად შეხვდა და სარკასტულად თქვა, მომავალში გოლს რომ გავიტან, ტირილს დავიწყებო. გამორიცხული არაა, ფიფას წესებში სადღაც, რომელიღაც პუნქტად გაკვეხებული იყოს კანონი, რომელიც არბიტრს მტირალა ფეხბურთელის გაფრთხილებასაც ავალდებულებს...

ინგლისი

### მარიოს ბოლო აკორდი

გასულ უქმეებზე ალვირახსნილმა **მარიო ბალოტელიმ** „ემირეითსზე“ თავისი ბოლო წარმოდგენა გამართა. დავიწყოთ იმით, რომ მას ფორმის ქვეშ ახალი წარწერით დამშვენებული მაისურა ეცვა: *„კაცი მხოლოდ ერთხელ ცხოვრობს“*. მეორე: მარიოს მაგრად გაუმართლა, მოედანი უკვე მე-10 წუთზე რომ არ



ანტონიო კასანო ფეხბურთს დაუბრუნდა

დაატოვებინეს – **ალექს სონგისთვის** ფეხის მოტეხა უნდოდა, მაგრამ არ გამოუვიდა. თუმცა ბოლოს მსაჯს მაინც გამოსტყუა წითელი ბარათი – **ბაკარი სანიასთან** ორი უკიდურესი უხეშობისთვის.

რატომ დატოვა **რობერტო მანჩინიმ** ბალოტელი მოედანზე ამდენ ხანს, ეს ალბათ მხოლოდ თავად „სიტის“ იტალიელმა თავკაცმა იცის (ან, შეიძლება, მანაც არ იცოდეს), ფაქტი კი არის, რომ გამწარებულმა მატჩის შემდეგ თქვა, ბალოტელის სეზონის ბოლომდე ერთხელაც აღარ ვათამაშებ, ზაფხულში კი გავყიდიო.

*„თუ არ შეიცვლება, თამამად ვამბობ, კარიერას 2-3 წელიწადში დაამთავრებს,“* - დაამატა „მანჩომ“.

### ექსტრაკლასის სიმულაცია

„ოლდ ტრეფორდის“ პუბლიკამ კი კვირას ფაქტობრივად „მანჩესტერ იუნაიტედის“ მე-20 ჩემპიონობა იზეიმა. „იუნაიტედმა“ „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ 2:0 დაამარცხა და **სერ ალექს ფერგიუსონს** მატჩის შემდეგ ლოგიკურად მსაჯ **ლი მეისონისთვის** მადლობა უნდა გადაეხადა, რადგან ამ არბიტრმა მე-14 წუთზე **შონ დერი** მოედნიდან გააძევა, „ქუინზ პარკის“ კარში კი პენალტი დანიშნა, რითაც მატჩის ბედი ნადგრევად გადაწყვიტა. საქმე იმაშია, რომ **ეშლი იანგმა** უდიდესი სამსახიობო ნიჭი გამოავლინა – ჯერ ერთი, თამაშგარე მდგომარეობაში იყო და მეორეც: უმაღლესი კლასის სიმულაციას მიმართა.

მატჩის შემდეგ ფერგიუსონმა აღიარა, იანგი თამაშგარეში იყოო, პენალტს კი დასანიშნი უნოდა. კომენტატორ **მარტინ ტაილერს** ამაზე გაეცინა და რეჟისორს მომენტი რამდენჯერმე გაამეორებინა, რითაც ყველა დაარწმუნა, რომ იანგმა მართლაც ისიმულანტა, თანაც დასძინა, ვინც ამბობს, რომ ინგლისელი ფეხბურთელები არ სიმულანტობენ, ხომ ხედავთ, ძალიან ცდებაო. მეორე კომენტატორმა **მარკ ბრაიტმა** მისი მოსაზრება უცაბედად დაადასტურა: *„ჰო, მაგრამ სიმულაცია ინგლისში უცხოელებმა შემოიტანეს!“* - თქვა „კრისტალ პალასის“ ყოფილმა ფეხბურთელმა.

ესპანეთი

### ესპანური სტატისტიკა

გასულ უქმეებზე **ლეო მესიმ** მიმდინარე სეზონში (ოფიციალური მატჩები) მე-60 გოლი გაიტანა. ამავდროულად, მან პრიმერადივიზიონში 156-ე და 157-ე გოლები გაიტანა (207 მატჩში), რითაც ლეგენდარულ **ფერენც პუშკაშს** გაასწრო. მეტი ციფრები გნებავთ? ავიღოთ ციფრი ნული. „რეალმა“ ამ სეზონში მესამედ ვერ შეძლო გოლის გატანა და ეს მეხუთე ტურის შემდეგ პირველად გააკეთა, რამაც ის გამოიწვია, რომ „ბარსელონა“ მადრიდულ გრანდს უკვე „სათოფეზე მიუახლოვდა“ - არადა, გახსოვთ, „რეალი“ „ბარსას“ მთელი 10 ქულით უსწრებდა.

„ბილბაოს“ ფეხბურთელებს პრიმერადივიზიონში თავით ყველაზე მეტი გოლი აქვთ გატანილი. „სევილიასთან“ გამარჯვების გოლი თავით, რა თქმა უნდა, **ფერნანდო ლორენტემ** გაიტანა. ამრიგად, ბასკებს სულ 45 გოლი აქვთ გატანილი და აქედან 17 თავით. ამ 17-დან კი, ლორენტეზე 8 თავური გოლი მოდის. ფერნანდოს საერთო ჯამში თავით 36 გოლი აქვს შეგდებული და ამ მხრივ ესპანეთის ჩემპიონატში მოასპარეზე ყველა ფეხბურთელს სჯობნის. თითქმის ყველას, რადგან ლორენტე მაინც არ არის საუკეთესო – ესპანიოლელი **ვალტერ პანდიანის** ანგარიშზეც 36 თავური გოლია.

გერმანია

### ისევ კრასიმირი

„კაიზერსლაუტერნის“ ხელმძღვანელებმა წარუმატებელი მწვრთნელი **მარკო კურცი** გააგდეს და მის ნაცვლად, მასზე უფრო წარუმატებელი **კრასიმირ ბალაკოვი** დანიშნეს. ცუდი ის არის, რომ ბალაკოვი მართლა ვერ ყოფილა სრულ ჭკუაზე – აქამდე ამას მხოლოდ ხუმრობით ვამბობდით. ფეხბურთელობის ჟამს ბულგარელი „შტუტგარტში“ „მაგიური სამკუთხედის“ ერთ-ერთი კუთხე იყო, მწვრთნელი ბალაკოვი კი „უბედური ერთკუთხედის“ ერთადერთი კუთხეა.

ამ უქმეებზე, კერძოდ, მორიგი ნაგების შემდეგ, რამაც ყველა დაარწმუნა, რომ „ლაუტერნის“ გადარჩენა შეუძლებელია, ბალაკოვმა ისევ დაამტკიცა, რომ საუკეთესო მოტივატორი და ნაღდი მოაზროვნე მწვრთნელია – საშუალოდ ერთ მატჩში „ლაუტერნი“ მის ხელში 0 ქულას იღებს, ეს კი საუბრისას ისევ ხშირად ახსენებს ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა „მედი“ „ბრძოლა“ და „ფეხბურთი“. თანაც, შემტევი...

### შვაინი გაშტერდა

...არადა, ტელეკომპანია „სქაის“ რეპორტიორი, რომელსაც „ბაიერნისა“ „აუგსბურგის“ მატჩის შემდეგ **ბასტიან შვაინშტაიგერისთვის** ინტერვიუს ჩამორთმევა დაავალეს, მართლა კარგად იყო მომზადებული – უბრალოდ, შვაინიმ ვერ გაუგო ვერაფერი. მოკლედ, საფინალო სასტვენის შემდეგ შვაინშტაიგერსა და „სქაის“ რეპორტიორ **ტიმ ნიდერნოლტეს** შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

**ნიდერნოლტე:** *„აუგსბურგთან“ გაგიჭირდათ, ელოდით ასეთ წინააღმდეგობას?“*

**შვაინშტაიგერი:** *„ჩვენ სამი ქულის აღება გვინდოდა და მთავარია, რომ მოვიგეთ.“*

**ნიდერნოლტე:** *„მთავარი ეს იმიტომაა, რომ „დორტმუნდმაც“ მოიგო. ისე, თქვენი განცხადება „ბორუსიასთვის“ ბრძოლის გამოცხადებას არ ჰგავს...“*

**შვაინშტაიგერი:** *„ვერ გავიგე?!“*

**ნიდერნოლტე:** *„თქვენი განცხადება „ბორუსიასთვის“ ბრძოლის გამოცხადებას არ ჰგავს...“*

**შვაინშტაიგერი:** *„რას გულისხმობთ?“*

**ნიდერნოლტე:** *„ბაიერნის“ თამაშს. 5:0 რომ მოგეგოთ, დორტმუნდელებს ხომ უფრო შეეშინდებოდათ, ვიდრე 2:1-ით, რაც დაფიქსირდა?“*

შვაინშტაიგერი: *„ამას სერიოზულად ამბობთ?“*

**ნიდერნოლტე:** *„არა, ეს კითხვაა...“*

**შვაინშტაიგერი:** *„არ მესმის. მე ვთქვი, რომ „აუგსბურგი“ ცუდი გუნდი არ არის. ამიტომაც ვერ გავიგე თქვენი კითხვა.“*

**ნიდერნოლტე:** *„თქვენს ამ განცხადებას რომ მოისმენენ, დორტმუნდში იტყვიან...“*

**შვაინშტაიგერი** („ბაიერნის“ პრესატაშე **მარკუს ჰიორვიკს** მიუბრუნდა): *„...მარკუს, ეს ხომ არ მაშაყირებს?“*

**ნიდერნოლტე:** *„არა, უბრალოდ, ჩვეულებრივი კითხვა დავსვი.“*

**შვაინშტაიგერი** წავიდა.

**გოტფრიდ ლენცი**

---

ლივერპული

**კენი დალგლიშს გაზეთი “გარდიანი” გაესაუბრა. შოტლანდიელმა მსაჯთა კორპუსზე უპრეცედენტო შეტევა მიიტანა. მასალას მცირე შემოკლებით გთავაზობთ.**




**კენი დალგლიში** სერიოზულ რისკზე წავიდა, როცა პრემიერლიგის არბიტრებს მოუწოდა, ყოფილიყვნენ სამართლიანები და მომავალში “ლივერპულის” მეტოქეთა ინტერესებიდან გამომდინარე ისეთი გადაწყვეტილებები აღარ მიეღოთ, როგორც ეს ბოლო სამი ტურის განმავლობაში ხდებოდა. კენი შეიძლება დაისაჯოს, რადგან მისი სიტყვების შემდეგ რიგითმა გულშემატკივარმა შეიძლება დაიჯეროს, არსებობს “მსაჯთა შეთქმულება”. მისი შეფასებები პრესაში “მანჩესტერ იუნაიტედისა” და “ქუინზ პარკის” შეხვედრის დასრულებისთანავე გამოჩნდა. ამ მატჩში “იუნაიტედმა” ერთობ საეჭვო თერთმეტმეტრიანი დაიმსახურა და თანაც “ბოლო იმედის ჯარიმისთვის” მეტოქეს **შონ დერიც** გაუძევეს. ეს ყოველივე იმის მიუხედავად, რომ **ეშლი იანგი** აშკარა თამაშგარეში იყო და მეტოქე მას სულ ოდნავ შეეხო. ჰიუზის თქმით, მსაჯმა ამ ეპიზოდში სწორედ მას წაართვა უკანასკნელი იმედი. ასევე აღშფოთებული დარჩა “ჩელსი”-“უიგანის” შეხვედრაში არბიტრის მოქმედებებით სტუმართა თავკაცი **რობერტო მარტინესი**. მისი განცხადებით: *“დროა, პრემიერლიგის მატჩებზე ისეთმა არბიტრებმა იმუშაონ, რომელთაც იციან ფეხბურთის წესები”*. “ჩელსიმ” მის გუნდს ორივე გოლი თამაშგარედან გაუტანა და ორივე ჩაითვალა.

არადა, შეიძლება ვინმემ კიდევ გაიკვირვოს დალგლიშის უკმაყოფილება მსაჯობის დონით. “ასტონ ვილასთან” **მაიკლ ოლივერმა დირკ კუიტისა** და **ლუის სუარესის** წინააღმდეგ უხეში თამაშის გამო არ დადო პენალტები. მსგავს სიტუაციაშივე საჯარიმოს გარეთ “სიმულაციისთვის” ურუგვაელს ყვითელი ბარათი უჩვენეს. “უიგანთან” მატჩის დებიუტში არ დაინიშნა პენალტი **დენი სიმპსონის** მიერ ხელით თამაშისთვისაც. *“უკანასკნელ 3 შეხვედრაში მსაჯების გადაწყვეტილებები აშკარად ჩვენს წინააღმდეგ იყო მიმართული. ამის ახსნა შეუძლებელია,* - განაცხადა დალგლიშმა. - *არ მინდა ამ საკითხების განხილვა მსაჯთა ასოციაციასთან ერთად, რადგან უკვე ყველაფერი დაწვრილებით შევისწავლე და ჩემში ეს გარკვეულ შიშს იწვევს. კარგი, დავუშვათ, ჩვენ შეიძლება რამდენიმე აშკარა პენალტი არ მოგვცეს და ამის გამო ხმაური არ უნდა ავტეხო, მაგრამ ამ ყოველივემ მსაჯთა ასოციაცია ხომ უნდა დააფიქროს? ის ვალდებულია შენიშნოს ეს, მაგრამ ვინც საჭიროა, იმის გარდა ამას ყველა ხედავს. ის კი ისე იქცევა, თითქოს არაფერიც არ მომხდარა. მე ვიცი, საიდან მოდის ეს ყველაფერი – იქიდან, რომ ჩვენ მუდმივად ბურთს გვჩრიან პირში და ჩვენი მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას არ გვაძლევენ.*

ფეხბურთში რაღაც ხდება. კლუბებს მოუწოდებენ, რომ იყვნენ პატიოსნები, ფეხბურთელებსაც იმავეს მოუწოდებენ და იმედი აქვთ, რომ გარშემო ყველა პატიოსანი გახდება? მსაჯებს ურჩევნიათ, თავის თავს უცხო თვალით შეხედონ და მერე იკითხონ, კი, მაგრამ ისინი ყოველთვის წესების დაცვით მუშაობენ?

რომ არა მსაჯების შეცდომები, მიმდინარე სეზონი ჩვენთვის შეიძლებოდა ისეთი წარუმატებელი აღარ ყოფილიყო. ჩვენს კითხვებზე კი, რატომ ხდება ასე, პასუხებს ვერ ვიღებთ. დღემდე არავის აუხსნია, რატომ დაისაჯა ლუის სუარესი 8 თამაშით ევრას შეურაცხყოფის გამო და რატომ არ გამოუტოვებია არც ერთი შეხვედრა ევრას სუარესის პროვოცირებისთვის. იმავე სუარესმა დისკვალიფიკაცია მიიღო “ფულჰემის” ფანებისთვის არაეთიკური ჟესტის ჩვენებისთვის. ლონდონური კლუბისთვის არავის მოუთხოვია პასუხი მისი გულშემატკივრების მხრიდან მეტოქე ფეხბურთელის ღირსების შემლახავი ფრაზების სროლის გამო. პეპე რეინა 3 თამაშს გამოტოვებს ჯეიმს პერჩისთვის თავის ჩარტყმის გამო, პერჩი კი გადაურჩა დისკვალიფიკაციას იმ სიმულაციისთვის, რამაც რეინას გაძევება მოიტანა შედეგად. დაუჯერებელია ის, რაც ჩვენს თავს ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი ფეხბურთელებს მორალურად სპობს, ჩვენ ვერაფერს გავხდებით მის წინააღმდეგ. ბოლოს და ბოლოს, ვიღაცამ უნდა აგვიხსნას ყველაფერი, თუ არა, მაშინ სხვა გზა აღარ დაგვრჩება თუ არა ვიფიქროთ, რომ ყველაფერი სპეციალურად კეთდება.

**ლევან ბიბილაშვილი**

---

ამბები

### მანჩინი მალე გადაწყვეტს

“დეილი მეილის” ინფორმაციით, “მანჩესტერ სიტის” მთავარი მწვრთნელი **რობერტო მანჩინი** სეზონის დარჩენილ ნაწილში ფეხბურთელებს კიდევ უფრო გულდასმით დააკვირდება და მხოლოდ მას მერე გაარკვევს, ვისი სამსახური სჭირდება სამომავლოდ და ვისი - არა. ლაპარაკია, რომ “ქალაქელები”, სავარაუდოდ, გამოეთხოვებიან **კარლოს ტევესს, ედინ ჯეკოს, კოლო ტურეს, მარიო ბალოტელისა** და **ნაიჯელ დე იონგს**. იტალიელი სპეციალისტი არ აპირებს “ეტიჰადიდან” იჯარით გაშვებული ფეხბურთელების დაბრუნებას. “სიტი” შეეცდება ყველა მათგანი გაყიდოს. ესენი არიან **ემანუელ ადებაიორი** (ტოტენჰემი), **როკე სანტა კრუსი** (ბეტისი) და **უეინ ბრიჯი** (სანდერლენდი). პოტენციურ შენაძენთა შორის ჯერჯერობით მხოლოდ 2 გვარს ასახელებენ – **ედინსონ კავანისა** და **ედენ აზარს**. ოღონდ ერთია, უკანასკნელს თავად არ სურს “სიტიში” გადასვლა, რადგან მიაჩნია, რომ ამ გუნდში მუდმივ სათამაშო პრაქტიკა ვერ ეღირსება.

### ფულჰემმა რუისი დაკარგა

**“ფულჰემი”-“ბოლტონის”** შეხვედრაში (3:0) ფეხის თითების მოტეხილობა მიიღო მასპინძელთა კოსტარიკელმა თავდამსხმელმა **ბრაიან რუისმა**. ექიმების დასკვნით, მისთვის სეზონი დამთავრებულია. ბრაიანი ვარჯიშებს ყველაზე ადრე ივლისის დასაწყისში დაუბრუნდება. ინფორმაცია “ფულჰემის” თავკაცმა **მარტინ იოლმა** დაადასტურა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ქართული სპორტი

● სამბო. ევროპის პირველობა ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის

# 20-დან უმედლოდ მხოლოდ 4 დარჩა

## ჭაბუკთა გუნდი ევროპის ჩემპიონია, ახალგაზრდები - ვიცე-ჩემპიონები


შმაგი ლაგაზაური


ამირან იანვარაშვილი


ომარ ნიაზაშვილი


უშანგი მარგიანი


ზაურ მამარდაშვილი

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში დამთავრდა ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც წარმატებით გამოვიდა საქართველოს ნაკრები - ჯამში 16 მედალი მოიპოვა. აქედან 5 ოქროა, 7 - ვერცხლი და 4 - ბრინჯაო. განსაკუთრებით კარგად ჭაბუკები გამოვიდნენ, რომელთა წილადაც 9 მედალი მოდის - 3 ოქრო, 4 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ამ ასაკში ევროპის ჩემპიონები **ომარ ნიაზაშვილი** (70), **უშანგი მარგიანი** (75) და **ზაურ მამარდაშვილი** (87) გახდნენ. ანალოგიურ მიღწევამდე მხოლოდ თითო მოგება დააკლდათ **იოსებ მელაძეს** (52), **ზაზა როსტომაშვილს** (60), **ლევან კირკიტაშვილს** (65) და **გიორგი ლაზუაშვილს** (+87) - ისინი ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ, ბრინჯაოს კი **ლერი ბედინაძე** (48) და **ჯონი ჭითანავა** (81) დაეუფლნენ.

ახალგაზრდებში 7 ჯილდო ხარისხობრივად ასეა განაწილებული - 2 ოქრო, 3 - ვერცხლი და 2 - ბრინჯაო. პირველობა **შმაგი ლაგაზაურმა** (62) და **ამირან იანვარაშვილმა** (82) მოიპოვეს. ფინალში **ავთანდილ მზარეულიშვილი** (48), **მიხეილ ჩოხელი** (74) და **უშანგი კოკაური** (+100) გავიდნენ, მაგრამ დამარცხდნენ და მეორე ადგილზე დარჩნენ. ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ **გიორგი მესაბლიშვილს** (57) და **ალექსანდრე მილდიანს** (90).

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: **ჭაბუკები.** 1. საქართველო-48ქ, 2. რუსეთი-47, 3. სომხეთი-21. **ახალგაზრდები.** 1. რუსეთი - 60, 2. საქართველო - 37, 3. მოლდოვა - 25. ჩემპიონატში 21 ქვეყანა მონაწილეობდა.

დასასრულს გეტყვით, რომ ჩვენს გუნდში 20 სპორტსმენი შედიოდა (10-10 ჭაბუკი და ახალგაზრდა), ანუ უმედლოდ მხოლოდ 4 მონაწილე დაგვრჩა.

**ირაკლი თავაძე**
გაბრიელ ბარჯაძის ფოტოები

● ფიგურული სრიალი

# ციგურები ოლიმპიური კვარცხლბეკისკენ უხმობს

## ზამთრის თამაშების მედალზე ოცნება ნინო ანანიაშვილთან თანამშრომლობით

**ამას წინათ ნიცაში ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ორგზის ევროპის მესამე პრიზიორმა ელენე გედევანიშვილმა 149,.20 ქულით მე-10 ადგილი დაიკავა. 22 წლის ქართველი სპორტსმენი საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნდა და ამჟამად თბილისში იმყოფება. დღეს იგი "ლელოს" სტუმარია. საუბარი, ცხადია, ფრანგული ბატალიების გახსენებით დავიწყეთ.**

- წლევანდელი შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან სტაბილური სეზონი მქონდა, - მითხრა ელენემ. - შარშან უილბლო მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ საკუთარ თავს ვუთხარი - ან სპორტი და შედეგები, ან სწავლა-მეთქი. მაინც ციგურებმა გადამძალა და მონდომებით განვაგრძე ვარჯიში მწვრთნელთა ჯგუფის დახმარებით. ინგლისში ევროპის ჩემპიონატზე მეორედ მოვიპოვე ბრინჯაოს მედალი. მთავარი ის იყო, რომ სრიალით დიდი სიამოვნება მივიღე და ვერცხლის მედალს რომ ვერ შევწვდი, რისი დიდი შანსიც მქონდა, გული სულაც არ დამწყვეტია. ისე კარგად ვიყავი მომზადებული, მსოფლიოს ჩემპიონატზე უწინდელი შედეგის გაუმჯობესებას ვფიქრობდი. თითქოს ყველაფერი აქეთკენ მიდიოდა, მით უმეტეს, რომ მოკლე პროგრამაში, ერთადერთმა ამ ჩემპიონატზე, უშეცდომოდ შევასრულე ურთულესი კომბინაცია - სამმაგი ლუტსი სამმაგი ტულუპით, სამაგიეროდ, ყველაზე იოლ ნახტომში - ორ-ნახევარ ბრუნში დავუშვი შეცდომა, ამიტომ აღმოვჩნდი მეშვიდე ადგილზე, თუმცა მე-3 ადგილზე მყოფი ოთხგზის ევროპის ჩემპიონი იტალიელი კოსტნერი მხოლოდ 2,51 ქულით მისწრებდა, რომ არაფერი ვთქვათ ჩემ წინ მდგომ სხვა მეტოქეებზე. მართალია, საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტი მაკა გიორგობიანი როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს ჩემპიონატებზე გვერდიდან არ მომშორებია და ყოველმხრივ მამხნევებდა, მაინც ვფიქრობ, რომ ემოციურად გადავიღალე. ქართველები ხომ მაქსიმალისტები ვართ - ახლოს ვიყავი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოსთან. ეტყობა, ძალიან, ძალიან მოვინდომე და... არადა, პლანეტის უძლიერეს მოციგურავეთა შორის მე-10 ადგილის დაკავებაც ხომ პრესტიჟულია. თუმცა გეთანხმებით, რომ ამ შეჯიბრებაზე უკეთესი შედეგის მიღწევაც შემეძლო...

ელენეს მშობლები ყოფილი მოთხილამურეები არიან, ამიტომ უნდოდათ, შვილებიც მათი გზით წასულიყვნენ (დიმიტრიმ, ელენეს უმცროსმა ძმამ, დედმამას ოცნება აუხდინა - საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ხშირად მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირებში). სამი წლისაც არ იყო ელენე, გუდაურში თხილამურებით სრიალს რომ აჩვევდნენ. ნაცნობებმა ურჩიეს, კოორდინაციისთვის უკეთესია, ფიგურულ ციგურაობაზე თუ მიიყვანთო. ასე მოხვდა სპორტის სასახლის გვერდით მდებარე საციგურაოზე **ლელა ჩოფიკაშვილთან.** მერე კარგა ხანს **თამარ ანჯაფარიძე** ავარჯიშებდა. 1999 წელს თანატოლებში საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა (სხვათა შორის, მაშინ მითხრა **ირაკლი ჯაფარიძემ,** ნახეთ, ამ პატარა გოგოსგან როგორი სპორტსმენი დადგესო-**ვ.დ.**). იმავე წელს **მარიკა ჯაფარიძესთან, ნინო მანჯავიძესთან, ნინო აბაშიძესთან** და **სოფიო მამულაშვილთან** ერთად მოსკოვში წაიყვანეს ერთთვიან საწვრთნელ შეკრებაზე.

- ჩემზე ამბობდნენ, ნიჭიერია, მაგრამ ზარმაციაო, - იხსენებს 12 წლის წინანდელს ელენე. - მარინა სელიცკაიამ, რომელიც იმავე დარბაზში ავარჯიშებდა მოზარდებს, ქალბატონ თამარს სთხოვა, ეგ ბავშვი მე მომანდეთო. მე კი დედა მენატრებოდა და თბილისში მინდოდა დაბრუნება. სელიცკაიას შეთავაზების შესახებ რომ გაიგო, დედამ მოსკოვში ჩამომაკითხა. ერთი წლის შემდეგ მამა და ძმაც შემოგვიერთდნენ. მთელი ოჯახი ისევ ერთად ვიყავით და ხალისი მომემატა. ბატონი ირაკლი ჯაფარიძის დიდი მადლობელი ვარ. მაშინ ის იყო ფიგურული სრიალის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი და ყველაფერი გააკეთა, რომ დიდი სპორტისკენ გზა გამეკაფა. მარინა სელიცკაიაც ყოველმხრივ მეხმარებოდა - ხშირად დამატებით მავარჯიშებდა. ყოფილა ისეთი თვეებიც, ჩემი მშობლებისთვის მეცადინეობის ფული არ გამოურთმევია, რადგან იცოდა, რომ ეკონომიკურად გვიჭირდა...


ელენე გედევანიშვილი

ელენე გედევანიშვილი 2002 წელს თანატოლთა შორის იმდენად დაწინაურდა, რომ მოსკოვის თასზე ყველას აჯობა. მისი წინსვლა მხედველობიდან არ გამოპარვია ცნობილ სპეციალისტ ელენა ვოდორეზოვას და ისევ ირაკლი ჯაფარიძის თანადგომით ნორჩი ქართველი მოციგურავე მის ჯგუფში აღმოჩნდა. მოკლე დროში აშკარად დაეტყო გამოცდილი მწვრთნელის ხელი - 2003 წელს ჯერ მოსკოვის პირველობა მოიგო, მერე კი რუსეთის პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ზედიზედ ორჯერ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჩემპიონატებზე საქართველოს სახელით მეორე და მესამე ადგილები დაიკავა, იუნიორთა გრან პრის ეტაპებზე 2004 წელს თითო ოქრო და ბრინჯაო დაიმსახურა, მსოფლიოს პირველობაზე კი მეთორმეტე იყო.

- 2006 წლიდან უფროსებში გადავინაცვლე. - ამბობს ელენე. - ევროპის ჩემპიონატზე მაშინ მოკლე პროგრამით მე-4 შედეგი ვაჩვენე, საბოლოოდ კი მე-6 ადგილი დავიკავე. ეს ჩემთვის წარმატებაც იყო და წახალისებაც.

**- უფრო დიდი შედეგი ხომ სამი წლის შემდეგ მოვიდა...**

- გეთანხმებით, თუმცა მას უსიამოვნო ამბები უძღოდა. აი, მაგალითად, 2007 წელს დედაჩემის უმიზეზო დეპორტაცია რუსეთიდან. მაშინ მეც ჩამოვყევი სამშობლოში. დიმიტრი უკვე ავსტრიაში ემზადებოდა საქართველოს ნაკრებთან ერთად. ირაკლი ჯაფარიძის დახმარებით ამერიკაში გავემგზავრე და ცნობილ მწვრთნელ გალინა ზმიევსკაიასთან დავიწყე ვარჯიში. ორი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს გაზრდილი – ოქსანა ბაიუ და ვიქტორ პეტრენკო, თუმცა, მძიმე ხასიათის პიროვნებაა და ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს. ოთხი თვის შემდეგ რომან სეროვის ჯგუფში გადავედი. ნიუ ჯერსის ყინულის სასახლეში ჩემ გვერდით შეგირდებს ამეცადინებდა 2002 წლის ოლიმპიური ჩემპიონის – სარა ჰიუზის დამკვალიანებელი რობინ ვაგნერი. მე და სეროვმა მას ქორეოგრაფიაში ვთხოვეთ დახმარება. 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ვაგნერთან დავიწყე მეცადინეობა და მისი ხელმძღვანელობით 2009 წელს ტალინში კონტინენტის პირველობაზე მესამე ადგილი დავიკავე. მახსოვს, ჩემს მოკლე პროგრამით გამოსვლას ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მეუღლესთან ერთად, რამაც დიდი სტიმული მომცა. მართლაც, ყველაზე ლაღად ამ ტურნირზე ვისრიალე. მეორე დღეს ბატონმა პრეზიდენტმა ტელეფონით მომილოცა ბრინჯაოს მედალი, ხოლო ძეგლთა დაცვის, კულტურისა და სპორტის მაშინდელმა მინისტრმა ნიკა რურუამ კი დაჯილდოებისას ვარდების დიდი თაიგული მომართვა.

**- ვაგნერის ხელმძღვანელობით ვანკუვერში 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე მე-10 ადგილი დაიკავე. ორი დიდი წარმატების შემდეგ ასეთ მწვრთნელს რატომ დასცილდი?**

- დრომ აჩვენა, რომ მე და რობინმა ერთად მუშაობის მაქსიმუმი ამოვწურეთ, თანაც ოჯახური პირობების გამო ჩემთვის სულ უფრო ნაკლები დრო რჩებოდა. არც ახლა მყავს ნაკლები მწვრთნელი – ბრაიან ორსერი მსოფლიოს ჩემპიონი და ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგზის ვერცხლის პრიზიორია. 2010 წლის ოლიმპიური თამაშების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სწორედ მან აიყვანა კორეელი იუნა კიმი. სექტემბრიდან მასთან ვემზადები. შეგირდებთან ჯგუფური მეთოდით მუშაობს, რაც ძალიან მომწონს. შესანიშნავი სპეციალისტები არიან, მათ შორის ქორეოგრაფი ვილსონი გამოირჩევა. მათი დამსახურებაა, წლეულს ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მეორედ რომ მოვიპოვე.

**- ახლა რას აპირებ?**

- ცოტა ხანს თბილისში დავრჩები და ახალი სეზონისთვის დავიწყებ მზადებას – პროგრამები უნდა შევცვალო. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ მომავალი წელი უფრო უხვმოსავლიანი იქნეს. ჩემი მიზანია, სპორტული კარიერა ოლიმპიური მედლით დავასრულო. ვიცი, დიდი გარჯაა საჭირო. მეც მზად ვარ. ახალი პროგრამების ქორეოგრაფიის დასახვეწად დახმარება ქალბატონ ნინო ანანიაშვილს ვთხოვე. სიამოვნებით დამთანხმდა. ასეთ სახელოვან და ღვთისნიერ პიროვნებასთან მუშაობა ჩემთვის უდიდესი პატივია.

**- ელენე, სულ ციგურაობაზე ვსაუბრობთ. სხვა რა გიტაცებს?**

- ნიუ ჯერსის ბერკლი კოლეჯის სტუდენტი ვარ და სპორტს წარმატებულ სწავლას ვუთავსებ. ძალიან მიყვარს ჩოგბურთი – შარაპოვას, ფედერერსა და ნადალის ვქომაგობ. ცხადია, ჩემი ძმის დიდი გულშემატკივარი ვარ. თავისუფალ დროს ვუსმენ მუსიკას, ვუყურებ ჰოკეის, დავდივარ კინოში, თეატრში. სამწუხაროდ, ამგვარი ფუფუნებისთვის იშვიათად ვიცლი, რადგან დღეში 5-6 საათს ვვარჯიშობ.

**- ოკეანის გაღმა ქართული კერძები თუ გენატრება?**

- ხშირად მომინდება ხოლმე ბაჟე, სულუგუნი, ღომი, მჭადი, კუპატი, ჩურჩხელა, განსაკუთრებით – ხაჭაპური. ამერიკაში დედამ მასწავლა მისი გამოცხობა. როცა ძალიან მომენატრება, კანადური ყველით ან ხაჭოთი ვაცხობ და მეგობრებსაც ვუმასპინძლდები, თუმცა აქაურს მაინც ვერ შეედრება.

**- სასმელები თუ გიყვარს?**

- ტკბილ ქართულ ღვინოს არაფერი მირჩევნია, თუმცა ალკოჰოლურ სასმელებს იშვიათად ვეტანები.

**- ისეთ ასაკში ხარ, ოჯახის შექმნაც არ უნდა იყოს შორეული ამბავი...**

- (ეცინება). გამორიცხული არაფერია, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ სპორტულ კარიერაზე ვფიქრობ.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენ მეკოკიშვილი - 100

# დიდი არსენა


არსენ მეკოკიშვილი

„არი, როგორ არ არი! მოდით და ახლა თქვენ დაეჭიდეთ, ვნახოთ, რა ბიჭები ხართ" - უყვიროდა თელაველ მაყურებელს იქაურთა პრესტიჟის გადასარჩენად საგანგებოდ მოყვანილი ბეჭდაუდებელი გიო თურხანაშვილი და დანარჩენებივით თავში მასაც ერთადერთი კითხვა უტრიალებდა: ნეტავ ვინაა ეს „ვიღაც გარეჯელი", რომელმაც ზედიზედ დასცა მასპინძელთა კერპები - კობა ბიძინაშვილი, ჩხუბიაანთ მიტო და კიდევ ორი ფალავანი?.. გულშემატკივარი კი მაინც არ ცხრებოდა და მეორე განმეორებით შერკინებას მოითხოვდა. არადა, კაცმა რომ თქვას, პირველადაც რა დასანიშნი იყო - გიოს ბეჭებზე უხვად აკრული ნახერხი ხომ ყველაზე კარგად ადასტურებდა ამ „ვიღაც გარეჯელის" გამარჯვებას, მაგრამ მაყურებელი ასე იოლად ვერ ეგუებოდა საკუთარი კერპის მარცხს. მსაჯებმა თვალი ვერ გაუსწორეს ამ მაღალ, გამხდარ ახალგაზრდას, რომელმაც წყენით გახედა მსაჯთა მაგიდას, თუმცა უკან არ დაუხევია, ხელმეორედ ჩაება რაინდულ ბრძოლაში და მეორედაც გაიმარჯვა. მაშინ არავინ იცოდა, რომ იმ დღეს დიდ სპორტში გზას ულოცავდნენ თავისუფალი ჭიდაობის მომავალ ლეგენდას, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **არსენ მეკოკიშვილს,** რომელიც ხვალ 100 წლისა გახდებოდა.

## ტალანტმა მეტი სივრცე მოითხოვა

თელავში ის მშობლიური გიორგიწმინდიდან მოხვდა, როცა საგარეჯოდან წაიყვანეს შეჯიბრებაზე, როგორც ახლომახლო სოფლებში უკვე სახელმოხვეჭილი ფალავანი, რომელსაც უძლეველობის აღსანიშნავად ხუმრობით „შელოცვილსაც" ეძახდნენ, იქიდან კი მისმა ტალანტმა კიდევ უფრო მეტი სივრცე მოითხოვა და პატრონი თბილისის გავლით მოსკოვში გადააფრინა, თუმცა ამაში თავისი როლი ბედისწერამაც შეასრულა. როგორც მისი შვილი - **გიორგი მეკოკიშვილი** დედის მონაყოლზე დაყრდნობით ამბობს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადას იმხანად ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება ესწრებოდა სტალინის თავკაცობით, რომელმაც თურმე იქვე გამოთქვა სურვილი, პერსპექტიული ქართველები უკეთეს პირობებში მოსამზადებლად მოსკოვში გადაეყვანათ. ასე აღმოჩნდა გიორგიწმინდიდან იმპერიის დედაქალაქში, სტალინი კი მეორედაც აღიმართა მის გზაზე. ამჯერად - მელბურნის ოლიმპიადის წინ, მაშინ ავსტრალიაში მისი წასვლა გადაწყვეტილი იყო და ეჭვიც არავის ეპარებოდა, რომ მეორედაც გახდებოდა ოლიმპიური ჩემპიონი. თუმცა საქმეში კვლავაც ბედისწერა ჩაერია - იმხანად მთელ ქვეყანაში მძვინვარე სტალინის კულტის დაგმობას არც შეკრებაზე მყოფი საბჭოთა ოლიმპიური გუნდის წევრები ჩამორჩნენ. კრიტიკოსის მისია ძალოსანმა **არკადი ვორობიოვმა** შეასრულა, რაც მეკოკიშვილმა ვერ მოითმინა და ვორობიოვი ერთი დარტყმით დასცა ძირს. ამ ამბის შემსწრემ, ან გარდაცვლილმა პირველმა ქართველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **დავით ციმაკურიძემ** მითხრა ერთხელ, ძალოსანი ძლივს მოასულიერეს, ოთხმა კაცმა გაჭირვებით გაიტანა დარბაზიდანო. მეკოკიშვილი დაპატიმრებას საკუთარმა ავტორიტეტმა გადაარჩინა, თუმცა ნაკრებიდან გამოიყვანეს და ოლიმპიადა არ აჭიდავეს.

ფიზიკური ძალა და გოლიათური აღნაგობა, იცოცხლეთ, კი ჰქონდა მთაკაცს! ეტყობა, გაჭირვებამ და მძიმე ფიზიკურმა შრომამ გამოაწრთო ობლის სხეული, თუმცა უეჭველია, გენეტიკაც თავის როლს თამაშობდა - მისი მამა, ფიდო, განთქმული მოჭიდავეც იყო და არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალის პატრონიც. თურმე თავიდან ახალგაზრდა არსენას მამას ადარებდნენ, ისეთი ფალავანი ან ისეთი ძალ-ღონის პატრონი თუ იქნებაო. მამა კი ერთხელ გზად შეფეთებულ დათვსაც არ შეჰპუებია და დასჭიდებია. აი, ასეთი „გორიდან" მოდიოდა არსენ მეკოკიშვილი, რომელსაც 5 წლის ასაკში უძლეველი მამა იმხანად მძვინვარე „ისპანკამ" გამოაცალა ხელიდან და მას მერე კაცურად ჩაება ოჯახის მოვლაში - თიბავდა, ბარავდა, ვაზს უვლიდა და დედას ეხმარებოდა... სამაგიეროდ, ამან გამოაწრთო კიდეც. ერთხელ, როცა უკვე თბილისში ცხოვრობდა, სადარბაზოში ორი ქურდი დაესხა თავს და მყისვე ჯიბეში ჩაუძვრნენ. არსენი თურმე მანამ იკავებდა ცალი ხელით ორივეს მაჯას, ვიდრე არ გააუვნებლა.

## არადა, ჭიდაობა ექიმმა აუკრძალა

მეკოკიშვილის კარიერაში ბევრი რამეა უცნაური და არაორდინული - ბავშვობაში ურემმაც კი გადაუარა თავზე და სიცოცხლის ბოლომდე ატარა ამ ტრაგედიის კვალი; ექიმებმა მას სასტიკად აუკრძალეს ჭიდაობა, თუმცა მეტოქეებთან ერთად ყველა სიძნელე გადალახა და 40 წლისა ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, 44 წლისა - მსოფლიოსი, ორ წელიწადში კი კიდევ ერთი დიდი ტურნირი, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა მოიგო. უცნაურია ისიც, რომ ოლიმპიადის ფინალში კინაღამ დააგვიანა, რადგან ჯერ უთხრეს, სალამოსაა ფინალიო, მერე კი, როცა მანქანაში ჩაჯდა ოლიმპიურ სოფელში წასასვლელად, ლეიბზე უხმეს და ძალიან მცირე დროში მოასწრო ყველაფერი - დარბაზში დაბრუნებაც, ფორმის გახდა-ჩაცმაც და ლეიბზე შესვლაც... არავინ იცის, კიდევ რამდენი დაკარგა მან. თუნდაც იმავე მელბურნის ოლიმპიადაზე. *„მამას ძალიან სწყდებოდა გული, ავსტრალიაში რომ არ წაიყვანეს. ნანობდა იმასაც, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩვენს მოჭიდავეებს ზოგჯერ ეროვნების გამო ჩაგრავდნენ, ის კი, როგორც კაპიტანი, ვერაფერში ეხმარებოდა"* - ამბობს მისი შვილი გიორგი მეკოკიშვილი.

მამა არასოდეს ჩარეულა შვილის არჩევანში - არ დაუძალებია სპორტსმენობა. თუმცა, როცა გიორგიმ მაინც აირჩია თავისუფალი ჭიდაობა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, არასოდეს უქომაგია მამას ტრიბუნიდან. შეიძლება, ეს დიდი სპორტსმენის ერთგვარი შიში იყო, რომ შვილი მასავით წარმატებული ფალავანი ვერ იქნებოდა, თუმცა შინაგანად კი ქომაგობდა მას და პირველ სოლიდურ მიღწევასაც სიხარულის ცრემლებით შეხვდა.

*„მამა ძალიან თბილი გულის ადამიანი იყო. თვითონაც სიღარიბეში გაზრდილი თუ სადმე ხელმოკლე ოჯახის ბავშვს შეხვდებოდა, აუცილებლად დაასაჩუქრებდა. მაგრამ ეს გულთბილი ადამიანი რადიკალურად გარდაიქმნებოდა, როცა ლეიბზე გავიდოდა და მეტოქის წინ დადგებოდა - იქ დანდობა არ იცოდა. მისთვის სულერთი იყო, ვის ეჭიდავებოდა, მხოლოდ მოსაგებად გადიოდა"* - ესეც გიორგი მეკოკიშვილის სიტყვებია.

მამის ასეთი შემართება ერთხელ შვილმაც გამოსცადა საკუთარ თავზე, როცა 60-იან წლებში მოსკოვიდან ესტუმრა გიორგიწმინდაში დაბრუნებულ ოლიმპიურ ჩემპიონს. მამა ვენახში მუშაობდა, როცა შვილი ზურგიდან მიუახლოვდა და უთხრა, დამიბერდი, მამიო, თან ხელი საჭიდაო ილეთივით ჩაუხვია. ეტყობა, ამან ძველ მოჭიდავეს სისხლი აუდუღა თავში და რა გაუკეთა არსენმა, როგორ დასცა მყისიერად ძირს, გიორგიმ ახლაც არ იცის. ახსოვს ის, რომ უზადოდ შესრულებული ილეთი იყო და ხუმრობს, რომ მცოდნოდა, ამას გამიკეთებდა, ბეჭზე დავარტყამდი ხელს, ან სხვანაირად გავეხუმრებოდი და არა ისეო.

## 30 წელიწადი ხალიჩაზე

არსენ მეკოკიშვილი საჭიდაო ლეიბზე 30 წელიწადზე მეტხანს იდგა ბერმუხასავით, ოღონდ მართლა იდგა - მყარად, ფესვმაგრად, წელგამართული და არასოდეს ირყეოდა, უმეტესად იგებდა და ძალზე იშვიათად აგებდა. ბერმუხა საზარლად და ავის მომასწავებლად კი არ ხმაურობდა, წყნარად დუდუნებდა და ბუბუნებდა - წაგებულ მეტოქეს ზოგჯერ ბოდიშსაც მოუხდიდა, ზოგსაც სახსოვრად რამე ნივთს აჩუქებდა, ანუგეშებდა, დააწყნარებდა და ცდილობდა, არ შეელახა მათი ღირსება. „დინამოში" მისი სპარინგ-პარტნიორი **მიხეილ გერასიმოვი** იყო, რომელსაც სულ უგებდა. ერთხელაც მორიგი ძლევის შემდეგ მივიდა მასთან და სთხოვა, არ გაბრაზებოდა ამის გამო, თან რომ ენუგეშებინა, სუვენირად პერანგის მანჟეტებიდან მოხსნილი თავისი საყვარელი საკინძეები უსახსოვრა - მინდა, ყოველთვის კარგად გამიხსენოო. ნიშანდობლივია „ჩრდილოელ გიგანტად" წოდებული შვედის - **ბერტილ ანტონსონის** საქციელიც, რომელიც ბედისწერასავით თან სდევდა ქართველის კარიერას - სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, თუმცა სამივეჯერ მეკოკიშვილმა იმარჯვა. მათ შორის - ჰელსინკის ოლიმპიადაზეც. იმ ამბიდან ორ წელიწადში ჩვენებურმა შვედს ტოკიოშიც მოუგო მსოფლიოს პირველობაზე და აი, მაშინ ანტონსონმა აიღო და თვით შვედეთის მეფისგან საჩუქრად მიღებული სტოკჰოლმის თილისმა აჩუქა. ეჭვი არაა, ის მისთვისაც ძვირფასი სუვენირი იქნებოდა, მაგრამ მაინც გაიმეტა.

გიორგი მეკოკიშვილი გვიყვება: *„ჩემამდე მშობლებს სხვა შვილები გარდაეცვალათ, მხოლოდ მე გადავრჩი. ცხადია, მამას ჩემზე მზე და მთვარე ამოსდიოდა, მაგრამ არასოდეს მეფერებოდა და მით უფრო - არ მანებივრებდა. არც ზედმეტად მკაცრი იყო ოჯახში, მაგრამ არც გრძნობებს გამოხატავდა. ერთხელ ნაძვის ხეს უნებურად ცეცხლი წავუკიდე. მშობლები მეორე ოთახში იყვნენ. მამა შემოვარდა და ნაძვის ხე დერეფანში მოისროლა, მაგრამ ხელიც დაიწვა, მე კი სილა გამაწნა. ცხადია, მეც ვიწერვიულე იმის მიუხედავად, რომ ყველაფერი უნებლიედ მოხდა. მალე ჩამეძინა და მამის ამბორმა გამომაღვიძა - მოსულიყო და შუბლზე ჩუმად მკოცნიდა.*

*სამაგიეროდ, შვილიშვილთან ურთიერთობაში იყო სენტიმენტალური - ყველა სურვილს უსრულებდა, ზედ იყო გადაფარებული და კარგი შვილი იყავი, ბავშვისთვის ვაგლახად რამე გეთქვა".*

ალბათ, ასეთი გულის პატრონი რომ იყო ოლიმპიური ჩემპიონი, ოჯახმა იმიტომაც ვერ აიტანა ბოლო ხანებში საზოგადოებაში დარხეული ჭორი, რომ ვითომ არსენ მეკოკიშვილი ციხეებში ხალხს აწამებდა. მისმა შვილმა ამ ჭორის დამადასტურებელი საბუთების მოსაძიებლად არქივსაც კი მიმართა, მაგრამ იქიდან აცნობეს, რომ მსგავსი ცნობა შემონახული არაა.

არსენ მეკოკიშვილი მოსკოვში კი ცხოვრობდა და რუსეთის სახელით გამოდიოდა, მაგრამ ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდა სამშობლოსთან, თანამემამულეებთან. პირველი თაობის ოლიმპიელები - ციმაკურიძე, **მირიან ცალქალამანიძე, ვახტანგ ბალავაძე, მზია ჯუღელი, რაფაელ ჩიმიშკიანი** და სხვები მასზე ყოველთვის ისე საუბრობდნენ, როგორც ახლო მეგობარზე, მათი დარდისა თუ სიხარულის გამზიარებელზე. საბოლოოდ ოლიმპიური ჩემპიონიც დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და კვლავ ჩაება სოფლის ცხოვრებაში. თავისი ბოლო ორთაბრძოლაც იქ გამართა - მოსკოვიდან ჩამოსულ ტურისტთა ჯგუფს გიორგიწმინდის გადასახვევი დაანახვეს და უთხრეს, აქ ცხოვრობს არსენ მეკოკიშვილიო. სტუმართა შორის ერთი ისეთიც აღმოჩნდა, ვისაც ახალგაზრდობაში ჩვენებურთან წაეგო, მაგრამ ახლა მოვუგებ, უკვე დაბერდებოდაო, ესეც დაამატა თურმე ნათქვამს. ამაზე ავტობუსის ქართველი მძღოლი გაბრაზებულა, მოუტრიალებია ავტობუსი და მიუყენებია მეკოკიშვილის ჭიშკარზე, თუ ბიჭი ხარ, გადადი და დაეჭიდეო... არსენა თურმე ბაღში მუშაობდა და ჯერ კი გაჰკვირვებია ამდენი ხალხი, მაგრამ როცა მიზეზი გაუგია, მშვიდად გაუძვრია ხალათი და ის ტურისტი რამდენიმე წამში დაუნარცხებია მიწაზე.

**ირაკლი თავაძე**


არსენ მეკოკიშვილი (მარჯვნივ)

ჭადრაკი




## შესანიშნავ შვიდეულში ხუთი ქართველია

**დავით ზარქუა** სოხუმელია. შარშან საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა და ტიტულს დღემდე ატარებს. წლეულს საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა. ბოლოდროინდელი წარმატებები იმანაც გამოიწვია, რომ მეორე წელიწადია, საერთაშორისო შეჯიბრებებში აქტიურად მონაწილეობს. ახლაც აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინიტროს (მინისტრი **დალი ხომერიკი**) დაფინანსებით თურქულ კაჰრამან მარსის მოჭადრაკეთა ღია საერთაშორისო ტურნირში ხუთი ქვეყნის წარმომადგენლებს უწევდა მეტოქეობას. მასთან ერთად კიდევ ოთხი ქართველი საერთაშორისო ოსტატი (**მალხაზ სულაშვილი, ბაჩანა მორჩიაშვილი, კახა შალამბერიძე, ალექსანდრე ყაშაშვილი**) იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. სტარტიდანვე ლიდერობა ჩვენებურებმა იგდეს ხელთ. მე-8 ტურში სულაშვილი და ყაშაშვილი დაზავდნენ. ზარქუამ შავი ფიგურებით ირანელი საერთაშორისო ოსტატი დარბან მორტეზა დაამარცხა. შალამბერიძემ და მორჩიაშვილმა, ასევე შავებით, შესაბამისად, თურქმენ მელის ანაბერდიევსა და მასპინძელ ერენ ერერდემს სძლიეს. ბოლო ტურის წინ ზარქუა და ყაშაშვილი 6,5-6,5 ქულით დაწინაურდნენ. ნახევარ-ნახევარი ქულით მათ მორჩიაშვილი და შალამბერძე ჩამორჩებოდნენ. მოჭადრაკეთა დიდ ჯგუფს 5,5-5,5 ქულა ჰქონდა.

დასკვნით პაექრობაში მეწინავეთა პაექრობები ყაიმით დასრულდა. დაზავდნენ ზარქუა-მორჩიაშვილი, შალამბერიძე-ყაშაშვილი, ალი ეკბერ დოლანი-სულაშვილი, მორტეზამ კი სულეიმან იალიმის აჯობა.

ამდენად, 9 ტურის შემდეგ 7-7 ქულით ორი ქართველი აღმოჩნდა გათამაშების ცხრილის სათავეში. უკეთესი კოეფიციენტით მთავარი პრიზი დავით ზარქუას ერგო, მეორე ადგილზე ალექსანდრე ყაშაშვილი გავიდა. 6,5 ქულით მესამე ადგილი დარბან მორტეზას ხვდა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი დამატებითი მაჩვენებლებით მეოთხე-მეხუთე ადგილები შალამბერიძემ და მორჩიაშვილმა გაინაწილეს. სულაშვილმა 6 ქულით მე-7 ადგილი დაიკავა.

**ვაჟა დანელია**



## კალათბურთი

● სუპერლიგა. XXI ტურის რჩეულნი

# დისკვალიფიკაციამ ბევრი მასწავლა




21-ე ტურში თსუ-ს მიერ "შსს აკადემიას" დამარცხება ბევრისთვის მოულოდნელი იყო. სტუდენტთა წარმატება გუნდური თამაშის შედეგი გახლდათ, თუმცა ორი კალათბურთელი მაინც უნდა გამოვარჩიოთ: **ვახტანგ ჩქარეული** და **ბექა ჩიკვილაძე.** პირველმა 8-დან 6 სამქულიანი ჩააგდო და 24 ქულას მოუყარა თავი, ხოლო ჩიკვილაძემ 28 ქულას 5-5 პასი-ჩაჭრა მიამატა.

დიდი მსჯელობის შემდეგ ჟურნალისტებმა ტურის საუკეთესო კალათბურთელად ბექა დავასახელეთ, რომელთან ინტერვიუსაც აქვს გთავაზობთ. მან "შსს აკადემიას" წინააღმდეგ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ ითამაშა. სადისციპლინო კომიტეტმა ჩიკვილაძე არმიელ **ჯერემი რიჩარდსონთან** გაწევ-გამოწევის გამო დასაჯა.

- ნუგზარ მარკოიშვილის ხელში გავიზარდე, ნუგზარ ჭეიშვილიც კარგად მიცნობს, იყო პრეზიდენტის დაინტერესებაც და შუა სეზონში თსუ-ში გადმოვედი. მეორე წრეში ოთხი მატჩის გამოტოვებამ მომიწია. ამის გამო თავს უხერხულად ვგრძნობდი, რადგან მწვრთნელებსა და ხელმძღვანელობას ჩემი იმედი ჰქონდათ, მაგრამ ვერ ვთამაშობდი. ნამდვილად არ ვაპირებ თავის გამართლებას, პროფესიონალ კალათბურთელს ასეთი საქციელი არ შეშვენის. დისკვალიფიკაციამ ბევრი რამ მასწავლა და დარწმუნებული ვარ, მომავალში მსგავსს აღარ გავიმეორებ.

**- როგორც ჩანს, ერთთვიანი უთამაშებლობის შემდეგ ფორმიდან არ ამოვარდნილხარ.**

- ორჯერადად ვვარჯიშობდი და ვცდილობდი ფორმა შემენარჩუნებინა.

**- მაინც რის ხარჯზე მოახერხეთ "შსს აკადემიას" დამარცხება?**

- მწვრთნელი, ნუგზარ ჭეიშვილი ყოველთვის ამბობს: მთავარია გამარჯვებისთვის მაქსიმუმი გაილო და წარმატებაც აუცილებლად მოვა. შსს-სთან მართლაც ბოლომდე ვიბრძოლეთ და დაგვიფასდა. პირველ რიგში, გუნდური თამაშის წყალობით გავიმარჯვეთ, დაცვაში ერთმანეთს კარგად ვეხმარებოდით.

**- მაღალ დონეზე ითამაშა ვახტანგ ჩქარეულმა.**

- ისიც ჩემი თანატოლია, 1991 წელსაა დაბადებული. პატარაობიდან ვახტანგთან ერთად ვთამაშობ. წლეულს მეტი სათამაშო დრო აქვს და შესანიშნავადაც ირჯება. შსს-სთან პერიმეტრიდან მაღალი შედეგიანობით ისროლა და ჩვენს გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა.

**- რეგულარული ეტაპის დასრულებამდე ერთი მატჩი დარჩა. რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის "დინამოსთან" შეხვედრას?**

- თუ ეს თამაში მოვიგეთ, რეგულარულ ეტაპს მეშვიდე ადგილზე დავასრულებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ პლეი ოფის პირველ ეტაპზე "არმიას" ავცდებით. ამიტომ, "დინამოსთან" დაპირისპირებისთვის განსაკუთრებულად ვემზადებით.

| | |
|---|---|
| დინამო-სტუ | 102:81 |
| ოლიმპი-სამედიცინო | 96:76 |
| არმია-სოხუმი | 89:69 |
| თსუ-შსს აკადემია | 77:65 |
| ბათუმი-რუსთავი | 73:82 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეკორდები

**ქულა**

41 - ლარი ბლერი (შსს აკადემია)
2-ქულ 11/21; 3-ქულ 4/8; საჯ 7/8
17.12.11 შსს-თსუ

41 - ლარი ბლერი (შსს აკადემია)
2-ქულ 14/20; 3-ქულ 2/6; საჯ 7/8
03.03.12 შსს-დინამო

**მოხსნა**

20 - რიჩარდ მათიაშვილი (ქუთაისი)
(მეტოქ: 4; საკუთ: 16)
23.12.11 ბათუმი-ქუთაისი

**პასი**

14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)
29.10.11 შსს-ოლიმპი

14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)
10.12.11 დინამო-ოლიმპი

14 - ბენჟამინ ვუდსაიდი (არმია)
17.12.11 სოხუმი-არმია

**ჩაჭრა**

8 - ბენჟამინ ვუდსაიდი (არმია)
10.03.12 სამედიცინო-არმია

**დაფარება**

6 - ილიცა მილუტინოვიჩი (ოლიმპი)
15.10.11 თსუ-ოლიმპი

6 - ბექა ბექაური (სამედიცინო)
05.11.11 დინამო-სამედიცინო

6 - მილან ოლუიჩი (დინამო)
14.02.12 დინამო-არმია

6 - მილან ოლუიჩი (დინამო)
17.03.12 დინამო-ბათუმი

6 - მილან ოლუიჩი (დინამო)
06.04.12 დინამო-სტუ

**ქულა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლარი ბლერი | შსს აკადემია | 12 | 314 | 26.17 |
| 2 | რობერტ კრეპსი | შსს აკადემია | 10 | 231 | 23.1 |
| 3 | ძიენ კარტერი | დინამო | 16 | 362 | 22.63 |
| 4 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 18 | 389 | 21.61 |
| 5 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 18 | 377 | 20.94 |
| 6 | ტრეისი სმიტი | შსს აკადემია | 11 | 202 | 18.36 |
| 7 | ბენჟამინ ვუდსაიდი | არმია | 11 | 200 | 18.18 |
| 8 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 18 | 323 | 17.94 |
| 9 | უილიამ ტომასი | არმია | 16 | 281 | 17.56 |
| 10 | ბექა ჩიკვილაძე | თსუ | 15 | 262 | 17.47 |
| 11 | ლევან ხმელიძე | რუსთავი | 19 | 316 | 16.63 |
| 12 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 18 | 296 | 16.44 |
| 13 | დუდა სანაძე | დინამო | 15 | 242 | 16.13 |

**მოხსნა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შეტ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძიენ კარტერი | დინამო | 16 | 86 | 128 | 214 | 13.38 |
| 2 | ტრეისი სმიტი | შსს აკადემია | 11 | 47 | 64 | 111 | 10.09 |
| 3 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 18 | 44 | 134 | 178 | 9.89 |
| 4 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 17 | 37 | 124 | 161 | 9.47 |
| 5 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 19 | 40 | 131 | 171 | 9 |
| 6 | ივო ჰოგერი | ოლიმპი | 18 | 77 | 83 | 160 | 8.89 |
| 7 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 18 | 37 | 123 | 160 | 8.89 |
| 8 | აკაკი დვალიშვილი | სამედიცინო | 18 | 61 | 89 | 150 | 8.33 |
| 9 | ზურაბ მაჩალაძე | სტუ | 17 | 58 | 83 | 141 | 8.29 |
| 10 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 18 | 48 | 98 | 146 | 8.11 |

**პასი**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 16 | 138 | 8.63 |
| 2 | ბენჟამინ ვუდსაიდი | არმია | 11 | 81 | 7.36 |
| 3 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 17 | 113 | 6.65 |
| 4 | ლარი ბლერი | შსს აკადემია | 12 | 76 | 6.33 |
| 5 | ირაკლი მიქელაძე | ბათუმი-რსუ | 19 | 104 | 5.47 |
| 6 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 18 | 97 | 5.39 |
| 7 | დავით არწივიძე | რუსთავი | 19 | 93 | 4.89 |
| 8 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 16 | 76 | 4.75 |
| 9 | ბექა წივწივაძე | დინამო | 11 | 52 | 4.73 |
| 10 | რობერტ კრეპსი | შსს აკადემია | 10 | 41 | 4.1 |

**ჩაჭრა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლარი ბლერი | შსს აკადემია | 12 | 38 | 3.17 |
| 2 | ბენჟამინ ვუდსაიდი | არმია | 11 | 32 | 2.91 |
| 3 | შალვა კოხრეიძე | თსუ | 16 | 40 | 2.5 |
| 4 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 19 | 46 | 2.42 |
| 5 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 18 | 36 | 2 |
| 6 | ზურაბ მაჩალაძე | სტუ | 17 | 34 | 2 |
| 7 | ზვიად ანთაძე | სტუ | 19 | 37 | 1.95 |
| 8 | გილერმო დიასი | არმია | 15 | 29 | 1.93 |
| 9 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 17 | 32 | 1.88 |
| 10 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 16 | 30 | 1.88 |

**დაფარება**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილან ოლუიჩი | დინამო | 9 | 39 | 4.3 |
| 2 | იოაკიმ შელბომი | არმია | 18 | 32 | 1.78 |
| 3 | ბექა ბექაური | შსს აკადემია | 18 | 27 | 1.5 |
| 4 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 17 | 22 | 1.29 |
| 5 | სერგო ათუაშვილი | სოხუმი | 17 | 21 | 1.24 |
| 6 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 19 | 22 | 1.16 |
| 7 | ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 19 | 20 | 1.05 |
| 8 | ჟოლივეტ ტუჯანი | რუსთავი | 19 | 20 | 1.05 |
| 9 | ივო ჰოგერი | ოლიმპი | 18 | 18 | 1 |
| 10 | ზურაბ მაჩალაძე | სტუ | 17 | 17 | 1 |

**შეცდომა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 18 | 91 | 5.06 |
| 2 | ბექა წივწივაძე | დინამო | 11 | 41 | 3.73 |
| 3 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 16 | 59 | 3.69 |
| 4 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 17 | 62 | 3.65 |
| 5 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 16 | 56 | 3.5 |
| 6 | ირაკლი ძიძიგური | სტუ | 17 | 57 | 3.35 |
| 7 | ირაკლი მიქელაძე | ბათუმი-რსუ | 19 | 62 | 3.26 |

● ლეგიონერი



# საოცარია, მაგრამ ზეიმი გადაიდო

მაშინ, როცა ირანელები დასავლეთ აზიის თასის აღსამართავად ემზადებოდნენ, შინ ლიბანურ "ალ რიადთან" დამარცხდნენ და ზეიმი გადაიდო. ბეირუთელებმა მასპინძლები 101:93 დაჯაბნეს და ფინალურ სერიაში ანგარიში გაათანაბრეს - 2:2. გადამწყვეტი, მეხუთე შეხვედრა 16 აპრილს ისევ ირანში შედგება.

სერიის მეოთხე მატჩში **ნიკა ცქიტიშვილმა** "მაჰრამის" მაისურით 37 წუთი ითამაშა, 17 ქულა, 7 მოხსნა, 4 დაფარება და 1 ჩაჭრა მიითვალა. იმასაც გაცნობებთ, რომ ნიკას ვირუსი ბოლომდე არ აქვს მოშუშებული. წინა მატჩში სიცხიანმა ითამაშა.

● სუპერლიგა XXII ტური

# ქუთაისმა რეგულარული დაასრულა, ბათუმმა - სეზონი

**10 აპრილი. ქუთაისი**

**ქუთაისი-ბათუმი 86:67**

28:19, 18:17, 22:12, 18:19

**ქუთაისი:** ფაშაევი (3ქ, 9პ, 3დ), ბაბუნაშვილი (6ქ, 5პ), დიდია (16ქ, 10მ), ცეკვავა (7ქ, 6პ, 5მ), ტუკვაძე (4ქ), დ. ბარბაქაძე (23ქ, 16მ), გ. ბარბაქაძე (12ქ), კუჭავა, კოლუაშვილი (11ქ), ქორიძე (2ქ), მათიაშვილი (2ქ).

**ბათუმი:** ვ. მაისურაძე (22ქ, 5მ, 4ჩ), რამიშვილი (8ქ, 7მ, 8პ, 3ჩ), მიქელაძე (7ქ, 5პ), ელიაშვილი (12ქ), ემირიძე, კეშელავა (6ქ), ნინუა, რევაზაშვილი (12ქ, 10მ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი.

ქუთაისში რეგულარული ეტაპის ბოლო მატჩი ჩაატარეს ადგილობრივმა გუნდმა და "ბათუმმა". შეხვედრა ლოგიკური შედეგით დასრულდა. ზღვისპირელები პლეი ოფში ვერ გავიდნენ და სეზონი 2 მოგებით დაასრულეს. "ქუთაისი" კი მეორეობისთვის იბრძვის. მას "ოლიმპის" მსგავსად 16 მოგება უწერია, თუმცა ერთით მეტი თამაში აქვს ჩატარებული.

ასე რომ, მეორეადგილოსნის ვინაობა 21 აპრილს "ოლიმპი"-"არმიას" მატჩის შემდეგ გაირკვევა. ოლიმპელებს ქუთათურებთან ურთიერთშეხვედრებში უარყოფითი ბალანსი აქვთ და მათ გასასწრებად არმიელთა ძლევა სჭირდებათ.

**ნათქვამი**

**დავით უსტიაშვილი** ("ქუთაისის" მწვრთნელი):

- მთელი შეხვედრის განმავლობაში წინ ვიყავით, თუმცა "ბათუმმაც" კარგი თამაში აჩვენა და სანახაობრივი მატჩი გამოვიდა. ველოდებით "არმია"-"ოლიმპის" დაპირისპირებას, რომელიც გაარკვევს მეორე ადგილს ჩვენ დავიკავებთ, თუ - ოლიმპელები.

**მიხეილ კობეშავიძე** ("ბათუმის" მწვრთნელი):

- ირაკლი მიქელაძე ავად იყო, რის გამოც მოედანზე მცირე დრო დაჰყო, ხოლო ლევან ელიაძეს კვლავ ფეხის ტრავმა აქვს. მეორე ტაიმის დასაწყისში 5 პერსონალური ფოლის გამო გუნდის კაპიტანი ლაშა კეშელავაც გამოგვაკლდა და მეტოქეს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გავუწიეთ. მომავალში "ბათუმის" შემადგენლობა თუ არ გაძლიერდება, გუნდი ველარ იარსებებს.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 19 | 19 | 0 | 1737/1230 | 38 |
| 2. ქუთაისი | 20 | 16 | 4 | 1707/1511 | 36 |
| 3. ოლიმპი | 19 | 16 | 3 | 1625/1377 | 35 |
| 4. შსს აკადემია | 19 | 11 | 8 | 1660/1469 | 30 |
| 5. სოხუმი | 19 | 10 | 9 | 1502/1466 | 29 |
| 6. დინამო | 19 | 10 | 9 | 1563/1615 | 29 |
| 7. სამედიცინო | 20 | 7 | 13 | 1591/1724 | 27 |
| 8. თსუ | 19 | 7 | 12 | 1534/1642 | 26 |
| 9. სტუ | 19 | 5 | 14 | 1424/1658 | 24 |
| 10. რუსთავი | 19 | 3 | 16 | 1336/1640 | 22 |
| 11. ბათუმი-რსუ | 20 | 2 | 18 | 1443/1790 | 22 |




● ქართველი იტალიაში

# ოპერაცია

როგორც "კანტუს" ოფიციალური საიტი იუწყება, **გიორგი შერმადინს** მარჯვენა ფეხის ნეკზე ოპერაცია ჩაუტარდა, რათა გატეხილი ძვალი სწორად შეხორცდეს.

ოპერაციამ, რომელსაც "კანტუს" ექიმი **მარკო კამპანი** ხელმძღვანელობდა, წარმატებით ჩაიარა. 23 წლის ქართველ ცენტრს რეაბილიტაციისთვის მინიმუმ 15 დღე დასჭირდება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

პრესკონფერენცია

# კარგი ბევრი იყო, პრობლემებიც გამოჩნდა

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ესპანეთიდან დაბრუნდა, სადაც ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც მსგავსი ფორმატით პირველად გაიმართა, მე-6 ადგილი დაიკავა. "უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" მადრიდში ექვსი ერის ქვეყნების წარმომადგენელი იტალიელი თანატოლები დაამარცხეს, რითაც პროგრამა მინიმუმი შეასრულეს. "შევარდენის სანაკრებო ბაზის" საკონფერენციო დარბაზში რაგბის კავშირის პრეზიდენტმა და ნაკრების მწვრთნელებმა პრესკონფერენცია გამართეს.

**გიორგი ნიჟარაძე,** საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

*"თამამად შეიძლება ითქვას, რომ მადრიდში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატი ისტორიული ტურნირი იყო. ამ ასაკის მორაგბეთა შორის მსგავსი ფორმატით, სადაც ექვსი ერის ქვეყნების გუნდებს საქართველოსა და პორტუგალიის ნაკრებები დაამატეს, პირველად ჩატარდა.*

*ევროპის ჩაემპიონატზე ღირსეულად ასპარეზობისთვის ძალიან დიდი სამუშაო ჩატარდა. ჩვენი მიზანი იყო ექვსი ერის ერთი გუნდის დამარცხება და დანარჩენ მატჩებში მეტოქეებისთვის სერიოზული პრობლემების შექმნა. შემიძლია განვაცხადო, რომ მწვრთნელების ილია მაისურაძის, ირაკლი ჭყონიასა და ზურაბ ამონაშვილის მუშაობით კმაყოფილი ვარ.*

*პირველ მატჩში ინგლისის ნაკრებთან ჩავარდნა გვქონდა. რაც, უწინარესად, გამოუცდელობის ბრალია. იმთავითვე უნდა ითქვას, რომ ინგლისი, ირლანდია, საფრანგეთი და უელსი დანარჩენ გუნდებზე ბევრად წინ არიან. ცხადია, ამას გარკვეული ობიექტური მიზეზები აქვს.*

*ინგლისელების გუნდი ყველაზე მაღალი, ღონიერი და კარგად განსწავლული იყო. რაგბის თამაშის კულტურითაც ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ. ამ გუნდს ბევრად არ ჩამორჩებოდნენ საფრანგეთის, უელსისა და ირლანდიის ნაკრებები.*

*ჩვენმა ბიჭებმა ინგლისთან თამაშისას ფსიქოლოგიურ წნეხს ვერ გაუძლეს და შედეგიც შესაბამისი დაფიქსირდა. მეორე მატჩში კი იტალიის ნაკრებთან ფანტასტიკურად ითამაშეს. მაშინაც კი, როცა თორმეტი თხუთმეტის წინააღმდეგ დარჩნენ, მეტოქეს არაფერი დაუთმეს. პირიქით, უპირატესობის მოპოვება შეძლეს. მერე იტალიელები ფსიქოლოგიურად გავტეხეთ და აბსოლუტურად დამსახურებულად გავიმარჯვეთ.*

*შოტლანდიასთან ყველანაირად ვემზადებოდით, რათა ტაქტიკურად გამართულად გვეთამაშა. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ, ფაქტობრივად, მოსაგები თამაში წავაგეთ. ანგარიში არ არის იმის ადეკვატური, რაც მოედანზე ხდებოდა. შოტლანდიელები შერკინებაში აშკარად დავჯაბნეთ, მიღწეული უპირატესობა კი, ელემენტარული, სათამაშო დისციპლინის გამო ვერ გამოვიყენეთ.*

*მოედნის მიღმა ჩვენი გუნდი ქცევის თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მოედანზე კი სამ თამაშში, ექვსი ყვითელი და ერთი წითელი ბარათი მივიღეთ.*

*ერთი სიტყვით, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ იტალიასა და შოტლანდიას კი არ ვუახლოვდებით, არამედ უკვე ტოლ-სწორნი ვართ. ჩვენი ეს პოზიცია კიდევ მეტად უფრო უნდა განვამტკიცოთ და მათთან ურთიერთშეხვედრებში ნელ-ნელა დადებითი ბალანსი შევქმნათ.*

*ტურნირის დამთავრების შემდეგ ყველა გვილოცავდა კარგ ასპარეზობას, ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ თვალსაჩინო პროგრესი გვაქვს. თუმცა, ჩვენ უფრო ის პრობლემები გვაინტერესებს, რომელიც ტურნირში გამოჩნდა. მასზე უნდა ვისაუბროთ და რაც შეიძლება მალე გამოსწორებაზე ვიზრუნოთ.*

*ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სარაგბო აკადემიის ახალ კონცეფციაზე, რომლის გამგეობის სხდომაზე დამტკიცებისა და ამუშავების შემდეგ, დარწმუნებული ვართ, საკმაოდ დიდ ნახტომს გავაკეთებთ. საჭიროა ერთი სისტემის შექმნა, რომელიც აბსოლუტურად ყველაფერს მოიცავს. შეიქმნება კომპიუტერული პროგრამა, რომელშიც ყველა ნიჭიერი მოზარდის მონაცემები იქნება შეტანილი. ეს საშუალებას მოგვცემს თვალყური მივადევნოთ მისი ზრდისა და მაღალი დონის ოსტატად ჩამოყალიბების პროცესს.*

*ძალიან ბევრი სამუშაო გვექნება კლუბებთან, რადგან სათამაშო დისციპლინის დაცვას, მორაგბე უწინარესად საკუთარ კლუბში უნდა სწავლობდეს. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მორაგბეები განიცდიან საერთაშორისო თამაშების გამოცდილების ნაკლებობას. საჭიროა ან ჩვენთან მოვიწვიოთ, ან თავად ვესტუმროთ ევროპის ძლიერ სარაგბო ქვეყნებს, მათ ნაკრებებთან და მოწინავე კლუბებთან სათამაშოდ. ეს აუცილებელია, რათა მერე მაღალი რანგის ტურნირზე არ შეექმნათ ფსიქოლოგიური პრობლემები.*

*მოკლედ, მიმაჩნია, რომ ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით ვიასპარეზეთ. ექვსი ერის ერთ გუნდს მოვუგეთ და ყველას დავანახეთ, რომ ელიტარულ სარაგბო ქვეყნებთან თამაში შეგვიძლია"*

**ილია მაისურაძე,** საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი:

*"თავიდანვე ჩანდა, რომ გაშლილი თამაშისას დაცვაში პრობლემები გვექმნებოდა. მერე ეს კომპონენტი მეტ-ნაკლებად დავხვეწეთ. მაგრამ ინდივიდუალურ თამაშში, მეტოქესთან ერთი-ერთზე ბრძოლისას ვაგებდით. შოტლანდიელების შეჩერება ვერ შევძელით და ოთხი სრულიად იდენტური ლელო გაგვიტანეს.*

*ინგლისთან თამაშის შემდეგ სამი დატვირთული დღე გვქონდა. გავაკეთეთ ვიდეოანალიზი, ჩავატარეთ ფსიქოლოგიური სამუშაო. როგორც კი თამაში დაიწყო, ორი მარტივი ლელო მივიღეთ. თუმცა მერე შევძელით თამაშის დალაგება და მეტოქე ფსიქოლოგიურად გავტეხეთ. ბურთი როგორც კი ხელში ჩაგვივარდებოდა, უმალ სახიფათო იერიშს ვიწყებდით.*

*ჩემპიონატისთვის მზადებისას თბილისში რამდენიმე საკონტროლო მატჩი გავმართეთ, საფრანგეთში შეკრებაზე "კლერმონის" 19-წლამდელთა გუნდს ვეთამაშეთ, არც ერთ შეხვედრაში ყვითელი ბარათი არ მიგვიღია. სათამაშო დისციპლინის დაცვას დიდ ყურადღებას ვუთმობდით. ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მოთამაშეებს ასე უმტყუნებდათ ნერვები."*

**ირაკლი ჭყონია,** ფიზმომზადების მწვრთნელი:

*"ამ ტურნირზე გუნდის შერკინებამ და უკანა ხაზმა დაბალანსებულად ითამაშა. შოტლანდიასთან მორკინალებმა ბევრად უკეთ იასპარეზეს. მოწინააღმდეგეს მოლით 20-30 მეტრზე ათრევდნენ. უკანა ხაზმა შერკინებას მხარი ვერ აუბა. მათი ერთი და იმავე შეცდომის გამო იყო ოთხი ერთნაირი ლელო რომ მივიღეთ.*

*იმავეს ვერ ვიტყვით იტალიასთან მატჩზე. ორი გამარჯვების მომტანი ლელო სწორედ უკანახაზელებმა გაიტანეს. ვფიქრობ, ამ ასაკის ნაკრებში, სხვა ასაკობრივ ნაკრებებთან შედარებით, ტექნიკურად უფრო კარგად განსწავლული მოთამაშეები გვყავს. ერთი სიტყვით, გამოჩნდა, რომ უკანა ხაზით თამაშიც შეგვიძლია.*

*შემოდგომაზე მომავალი ტურნირისთვის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოგვიწევს ასპარეზობა. მეტოქეები პორტუგალიის გარდა ბელგიისა და გერმანიის ნაკრებები იქნებიან".*



საქართველოს ნაკრები დასავლეთ ევროპის ეპარქიის მადრიდის სამრევლოსთან სტუმრობისას

ლეგიონერები



ბურთით დიმიტრი ბასილაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველ ვარსკვლავთან კონტრაქტი გაფორმებულია

შოტლანდიურმა კლუბმა "ედინბურგმა", რომელმაც ახლახან "ჰაინეკენის თასის" გათამაშების ნახევარფინალში გააღწია, ოფიციალურად დაადასტურა საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის **დიმიტრი ბასილაიასთან** კონტრაქტის გაფორმება.

აი, როგორ ეხმაურება ამ ამბავს შოტლანდიის რაგბის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი:

*"დიმიტრი ბასილაიამ, რომელიც ამჟამად ფრანგული კლუბის "ვალანს დაჟენის" ღირსებას იცავს, "ედინბურგთან" პროფესიული ხელშეკრულება გააფორმა. 26 წლის მორაგბის დებიუტი ეროვნულ ნაკრებში 2008 წელს შედგა. ბასილაია შარშან ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მორაგბე იყო.*

*მან რუმინეთის, შოტლანდიისა და ინგლისის ნაკრებებთან მატჩებში შესანიშნავად ითამაშა და "პომებს" ეფექტური ლელოც გაუტანა.*

*ბასილაია "ედინბურგს" 2012-2013 წლების სეზონის დასაწყისში შეუერთდება და "ჩიტაზის" მორკინალ ვი პი ნილთან ერთად, მნიშვნელოვნად გააძლიერებს გუნდის შერკინების თამაშს.*

*ბასილაია აღფრთოვანებას ვერ მალავს "ედინბურგთან" კონტრაქტის გაფორმების გამო:*

***უწინარესად, მინდა, "ედინბურგს" მივულოცო "ჰეინეკენის თასის" გათამაშების მეოთხედფინალში "ტულუზთან" შესანიშნავი გამარჯვება.***

***ასეთი მაღალი დონის, პროფესიულ კლუბთან კარიერის დაკავშირება ჩემთვის უდიდესი პატივია. მოუთმენლად ველოდები იმ დღეს, როცა "ედინბურგის" საკმაოდ ნიჭიერ მორაგბეებთან ერთად მომიწევს ასპარეზობა.***

***გუნდში ახალი მოთამაშის გამოჩენა ყოველთვის უკავშირდება დიდ მოლოდინს, მოთამაშეებს მოტივაციასა და ენთუზიაზმს მატებს. ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა ეს მოლოდინი გავამართლო.***

***შესანიშნავ ფორმაში ვარ, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად. ყველაფრისთვის მზად ვარ და ძალიან მინდა, "ედინბურგის" შავ-წითელი კვართი, რაც შეიძლება მალე მოვირგო.*** - თქვა ბასილაიამ.

"ედინბურგის" მთავარმა მწვრთნელმა მაიკლ ბრედლიმ ნიჭიერი ქართველი ჯერ კიდევ მაშინ შენიშნა, როცა საქართველოს ნაკრებში, მთავარი მწვრთნელის **რიჩი დიქსონის** ასისტენტად მუშაობდა. ბრედლის ძალიან უხაროდა, ბასილაიასთან კონტრაქტის გაფორმების მიღწევა. მას იმედი აქვს, რომ საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი, ისევე წარმატებით იასპარეზებს ევროპულ არენაზე, როგორც მისი თანამემამულეები ჯაბა ბრეგვაძე, აქვსენტი გიორგაძე (ორივე-ტულუზი) და დავით ზირაქაშვილი (კლერმონი).

**მიმაჩნია, რომ "ედინბურგისთვის" დიმიტრი შესანიშნავი შენაძენია. ის ფანტასტიკურად ესადაგება ჩვენი გუნდის თამაშის სტილს. მას შეუძლია, დიდი სამუშაო გასწიოს და ჩვენი შერკინების თამაში კიდევ უფრო აგრესიული გახადოს.**

დიმა ძალიან შრომისმოყვარეა და სიგიჟემდე უყვარს რაგბი. ის მოხარულია "ედინბურგში" ითამაშოს და დარწმუნებული ვარ, ყველაფერს გაიღებს, შავ-თეთრი კვართის ღირსების დასაცავად - თქვა მაიკლ ბრედლიმ.

# დავით ზირაქაშვილი სიმბოლურ ნაკრებში

საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული "კლერმონის" შერკინების ბურჯი **დავით ზირაქაშვილი** "ჰაინეკენის თასის" გათამაშების მეოთხედფინალის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელეს. "ვულკანებმა" გასვლით მატჩში შესანიშნავად ითამაშეს და ინგლისის ჩემპიონი "სარასენზი" დაამარცხეს.

აი, როგორ აფასებს მის თამაშს Planetrugby:

*"ექვსი ერის გათამაშებაში ირლანდიელ მაიკ როსს ბევრს აკრიტიკებდნენ. თუმცა "კარდიფთან" მატჩში ბრედ თორნის დახმარებით მან შესანიშნავად ითამაშა. მაგრამ 28 წლის ქართველის ძალა და სიჩქარე იმდენად გამოკვეთილი იყო, რომ მისი სიმბოლური ნაკრების მიღმა დატოვება არ შეიძლებოდა. ის ბრწყინვალე იყო შერკინებაში თამაშისას და ვიზავის, რის გილს უამრავი თავსატეხი გაუჩინა".*

სიმბოლური ნაკრები: 15. რობ კირნი (ლენსტერი), 14. სიტივენი სივივატუ (კლერმონი), 13. ბრაიან ოდრისკოლი, 12. გორდონ დარსი (ორივე-ლენსტერი), 11. კრეიგ გილროი (ალსტერი), 10. გრეიგ ლაიდლოუ (ედინბურგი), 9. რუან პინარი (ალსტერი) 1. კიან ჰილი (ლენსტერი), 2. ბენიამინ კაისერი, 3. დავით ზირაქაშვილი (ორივე-კლერმონი), 4. ჯონათან მიულერი (ალსტერი), 5. ნათან ჰაინსი (კლერმონი), 6. სტივენ ფერისი (ალსტერი), 7. ჟულიენ ბონერი (კლერმონი), 8. ნატანი ტელეი (ედინბურგი).

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### ● კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის მოთამაშეები

"მაიამი ჰიტის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და "ჰიუსტონ როკეტსის" მცველი **გორან დრაგიჩი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჯეიმსი თავის გუნდს ოთხიდან სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა. ლებრონმა საშუალოდ 30.5 ქულა, 5.8 მოხსნა, 5.5 პასი და 2.3 ჩაჭრა დააგროვა.

სამიდან სამი მოგება ჰქონდა გასულ კვირას "ჰიუსტონს", დრაგიჩის სტატისტიკური მონაგარი კი 20.7 ქულა, 8.3 შედეგიანი პასი, 3.0 მოხსნა და 2.7 ჩაჭრა იყო. დრაგიჩი ზედიზედ 18 მატჩია, მინიმუმ ათი ქულის დაგროვებას ახერხებს.

#### ჯეიმსის კვირა

**3 აპრილი. მაიამი-ფილადელფია 99:93.** 41 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი, 3 ჩაჭრა.

**4 აპრილი. მაიამი-ოკლაჰომა 98:93.** 34 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა, 4 ჩაჭრა.

**8 აპრილი. მაიამი-დეტროიტი 98:75.** 26 ქულა, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა.

#### დრაგიჩის კვირა

**2 აპრილი. ჩიკაგო-ჰიუსტონი 93:99.** 21 ქულა, 5 პასი, 4 ჩაჭრა.

**6 აპრილი. ლეიკერსი-ჰიუსტონი 107:112.** 26 ქულა, 11 პასი, 4 მოხსნა, 3 ჩაჭრა.

**8 აპრილი. საკრამენტო-ჰიუსტონი 98:104.** 15 ქულა, 9 პასი, 4 მოხსნა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ჯოშ სმიტი** ("ატლანტა"), **ო ჯეი მაიო** ("მემფისი"), **ბრენდონ ჯენინგსი** ("მილუოკი"), **კარმელო ენტონი** ("ნიუ იორკი"), **ტონი პარკერი** ("სან ანტონიო") და **ელ ჯეფერსონი** ("იუტა").



გორან დრაგიჩი

#### შარლოტი-ვაშინგტონი 85:113

**20:31, 20:29, 18:25, 27:28**

**შ:** მაგეტი (23), უოკერი (16+7 მოხსნა+7 პასი), ჰენდერსონი (12).

**ვ:** კროუფორდი (20), მარტინი (19+6 მოხსნა), სინგლტონი (18+12 მოხსნა), მეისონი (17+5 მოხსნა), ვესელი (11+11 მოხსნა), მეკი (11), სერაფინი (10), უოლი (2+12 პასი).

#### ინდიანა-ტორონტო 103:98

**21:16, 30:21, 26:25, 26:36**

**ი:** გრეინჯერი (18), ჰილი (18+7 მოხსნა), ჯორჯი (15+6 მოხსნა), ბარბოზა (14).

**ტ:** კლეიზა (18), ანდერსონი (17), ა. ჯონსონი (16+7 მოხსნა), დევისი (11+10 მოხსნა), დეროზანი (10), კალდერონი (8+14 პასი).

#### მემფისი-კლიპერსი 94:85

**24:18, 28:23, 19:19, 23:25**

**მ:** გასოლი (18+8 მოხსნა+7 პასი), გეი (16+6 მოხსნა), კონლი (13), მაიო (13+5 პასი), სპეიტსი (12+8 მოხსნა), რენდოლფი (10+12 მოხსნა).

**კლი:** პოლი (21+6 პასი+3 ჩაჭრა), გრიფინი (19+6 მოხსნა), ჯორდანი (14+14 მოხსნა), ფოიე (11), ბლედსოუ (11).

#### მინესოტა-ფინიქსი 90:114

**18:21, 27:32, 23:30, 22:31**

**მ:** ლავი (25+13 მოხსნა), ბარეა (16+5 პასი), ბიზლი (12), პეკოვიჩი (11), უილიამსი (10).

**ფ:** მორისი (21+6 მოხსნა), ბრაუნი (17+7 მოხსნა), ნეში (14+5 პასი), ტელფეირი (14+7 პასი), რედი (13).

#### იუტა-სან ანტონიო 91:84

**23:19, 24:25, 17:24, 27:16**

**ი:** ჰარისი (25+6 მოხსნა+6 პასი), მილსეპი (18+10 მოხსნა), ჰეივორდი (16+6 მოხსნა), ჯეფერსონი (12+10 მოხსნა+4 დაფარება).

**ს-ა:** ნილი (14+5 პასი), სპლიტერი (14+6 მოხსნა), ბლერი (13+8 მოხსნა), ბონერი (10).

#### ორლანდო-დეტროიტი 119:89

**29:22, 36:21, 30:28, 25:18**

**ო:** ჯ. რიჩარდსონი (22), რედიკი (20), ნელსონი (18+9 პასი), დევისი (16+16 მოხსნა+5 პასი), ანდერსონი (14+7 მოხსნა).

**დ:** პრინსი (21+8 მოხსნა), გორდონი (11), ვილანუევა (10).

#### მილუოკი-ოკლაჰომა 89:109

**18:35, 29:25, 21:26, 21:22**

**მ:** ილიასოვა (18), გუდენი (14), ჯენინგსი (13).

**ო:** უესტბრუკი (26+7 მოხსნა), დურანტი (19+8 პასი), ჰარდენი (16+5 მოხსნა), სეფოლოშა (14+5 მოხსნა+7 ჩაჭრა), იბაკა (13+5 დაფარება).

#### ნიუ ორლეანი-ლეიკერსი 91:93

**19:21, 24:23, 29:21, 19:28**

**ნ-ო:** ბელინელი (20), ლენდრი (20+11 მოხსნა+5 პასი), ვასკესი (18+11 პასი), კამანი (16+5 დაფარება).

**ლ:** გასოლი (25+9 მოხსნა), ბინუმი (18+11 მოხსნა), სეშენსი (17+6 მოხსნა+6 პასი).

#### დენვერი-გ. სტეიტი 123:84

**37:13, 28:25, 25:20, 33:26**

**დ:** ფარიდი (27+17 მოხსნა), გალინარი (15+6 პასი+5 მოხსნა), აფლალო (15+8 მოხსნა+5 პასი), მაკგი (13+8 მოხსნა+4 დაფარება), ბრიუერი (13), ლოუსონი (10), ჰარინგტონი (10), მილერი (6+12 პასი).

**გ-ს:** ტომპსონი (17), რობინსონი (16+5 პასი), ლი (10).

#### პორტლენდი-ჰიუსტონი 89:94

**17:24, 23:25, 25:22, 24:23**

**პ:** ოლდრიჯი (20+6 მოხსნა), კროუფორდი (18+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), ფელტონი (14+8 პასი), ჰიქსონი (12+10 მოხსნა).

**ჰ:** დრაგიჩი (22+7 პასი+3 ჩაჭრა), ბადინგერი (15+3 ჩაჭრა), ლოური (13), სკოლა (12+7 მოხსნა), ლი (12), კემბი (9+11 მოხსნა).

#### აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. x-ჩიკაგო* | 57 | 43 | 14 | 75.4 |
| 2. x-მაიამი* | 55 | 40 | 15 | 72.7 |
| 3. ინდიანა | 57 | 35 | 22 | 61.4 |
| 4. ბოსტონი* | 56 | 32 | 24 | 57.1 |
| 5. ატლანტა | 57 | 34 | 23 | 59.6 |
| 6. ორლანდო | 57 | 34 | 23 | 59.6 |
| 7. ნიუ იორკი | 56 | 29 | 27 | 51.8 |
| 8. ფილადელფია | 56 | 29 | 27 | 51.8 |
| 9. მილუოკი | 57 | 28 | 29 | 49.1 |
| 10. დეტროიტი | 57 | 21 | 36 | 36.8 |
| 11. ნიუ ჯერსი | 58 | 21 | 37 | 36.2 |
| 12. ტორონტო | 58 | 20 | 38 | 34.5 |
| 13. კლივლენდი | 54 | 18 | 36 | 33.3 |
| 14. ვაშინგტონი | 57 | 13 | 44 | 22.8 |
| 15. შარლოტი | 55 | 7 | 48 | 12.7 |

#### დასავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. y-ოკლაჰომა* | 57 | 42 | 15 | 73.7 |
| 2. x-სან ანტონიო* | 55 | 40 | 15 | 72.7 |
| 3. ლეიკერსი* | 58 | 36 | 22 | 62.1 |
| 4. კლიპერსი | 57 | 34 | 23 | 59.6 |
| 5. მემფისი | 56 | 33 | 23 | 58.9 |
| 6. ჰიუსტონი | 57 | 32 | 25 | 56.1 |
| 7. დალასი | 57 | 31 | 26 | 54.4 |
| 8. დენვერი | 57 | 31 | 26 | 54.4 |
| 9. ფინიქსი | 57 | 30 | 27 | 52.6 |
| 10. იუტა | 58 | 30 | 28 | 51.7 |
| 11. პორტლენდი | 58 | 27 | 31 | 46.6 |
| 12. მინესოტა | 58 | 25 | 33 | 43.1 |
| 13. გ. სტეიტი | 56 | 22 | 34 | 39.3 |
| 14. საკრამენტო | 57 | 19 | 38 | 33.3 |
| 15. ნიუ ორლეანი | 57 | 15 | 42 | 26.3 |

y - დივიზიონის ჩემპიონი; x - გავიდა პლეი ოფში; * - დივიზიონის ლიდერი

#### ქულა

| | |
|---|---|
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 28.1 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 27.6 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 26.8 |
| კევინ ლავი (მინ) | 26.5 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 24.3 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 22.6 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 21.7 |
| დერონ უილიამსი (ნ-ჯერ) | 21.5 |
| კარმელო ენტონი (ნ-იორ) | 21.5 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 21.2 |

#### მოხსნა

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 14.5 |
| კევინ ლავი (მინ) | 13.5 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 11.9 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 11.1 |
| კრის ჰემფრიზი (ნ-ჯერ) | 11.0 |
| ბლეიკ გრიფინი (კლიპ) | 10.9 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 10.5 |
| ტაისონ ჩენდლერი (ნ-იორ) | 9.9 |
| მარსინ გორტატი (ფინ) | 9.9 |

#### პასი

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 11.2 |
| სტივ ნეში (ფინ) | 11.1 |
| კრის პოლი (კლიპ) | 9.0 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.9 |
| დერონ უილიამსი (ნ-ჯერ) | 8.7 |
| რიკი რუბიო (მინ) | 8.2 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 7.8 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 7.7 |
| კაილ ლოური (ჰიუ) | 7.1 |
| მაიკ კონლი (მემ) | 6.8 |

#### ჩაჭრა

| | |
|---|---|
| კრის პოლი (კლიპ) | 2.5 |
| მაიკ კონლი (მემ) | 2.4 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 1.9 |
| იმან შუმპერტი (ნ-იორ) | 1.8 |
| ანდრე იგუოდალა (ფილ) | 1.7 |
| ტონი ალენი (მემ) | 1.7 |
| ბრენდონ ჯენინგსი (მილ) | 1.7 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 1.7 |
| პოლ მილსეპი (იუტ) | 1.7 |

#### დაფარება

| | |
|---|---|
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 3.6 |
| ჯაველ მაკგი (ვაშ) | 2.4 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.2 |
| დეანდრე ჯორდანი (კლიპ) | 2.1 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 2.0 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 2.0 |
| მარკ გასოლი (მემ) | 1.9 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 1.8 |



როუზი ნიქსთან მატჩში

# როუზი ისევ დაიმტვრა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დასავლეთი კონფერენციის ლიდერობა დაიბრუნა "ოკლაჰომამ".

"თანდერს ზედიზედ" სამი წაგების შემდეგ, დასავლეთში პირველი ადგილი ჩამოართვა "სან ანტონიომ", მაგრამ "ოკლაჰომამ" ბოლო ორი დღის განმავლობაში ორი მატჩი მოიგო და ისევ პირველია დასავლეთში.

გუშინ, "ოკლაჰომა" სტუმრად თამაშობდა "მილუოკის" წინააღმდეგ და ყოველგვარი გართულების გარეშე მოიპოვა გამარჯვება. პირველი მეოთხედის შემდეგ ამ მატჩის ბედი პრაქტიკულად გარკვეული იყო. საწყისი 12 წუთი "ოკლაჰომამ" 17 ქულის სხვაობით მოიგო - 35:18.

"მილუოკიმ" მხოლოდ მეორე მეოთხედში შეძლო გაბრძოლება და დიდი შესვენებისთვის ჩამორჩენას სამი ქულა ჩამოაკლო, მაგრამ მესამე 12-წუთეულში სტუმრებმა ისევ დაიბრუნეს ინიციატივა და სხვაობამ ისევ ზრდა დაიწყო.

საბოლოოდ, "ოკლაჰომამ" მეორე ტაიმი ექვსი ქულით მოიგო და თამაში 20-ქულიანი სხვაობით დაასრულა თავის სასარგებლოდ – 89:109.

ასეთი დიდი ანგარიშით მოგება "თანდერის" ერთ-ერთი ლიდერის – **კევინ დურანტის** შედარებით სუსტი თამაშის მიუხედავად გახდა შესაძლებელი. დურანტმა თამაშიდან 15-ჯერ ისროლა და მხოლოდ ოთხი ბურთი ჩააგდო, რამაც მას 19 ქულა მოუტანა. სამაგიეროდ, თავის დონეზე ითამაშა **რასელ უესტბრუკმა**, რომელიც 26 ქულით მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი აღმოჩნდა.

ამასობაში, წააგო თავისი შეხვედრა "სან ანტონიომ" - მისი 11-მატჩიანი მოგებათა სერია "იუტამ" შეწყვიტა და "ოკლაჰომამ" ამის წყალობით დაიბრუნა ლიდერობა დასავლეთ კონფერენციაში.

■ ■ ■

გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშეს, "ჩიკაგო ბულზის" გამთამაშებელ **დერიკ როუზს** ისევ აწუხებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. ორი დღის წინ, ამ კალათბურთელმა ტრავმით გამოწვეული 12-მატჩიანი პაუზის შემდეგ, "ნიუ იორკ ნიქსის" წინააღმდეგ ითამაშა და მორიგი დაზიანება მიიღო. ექიმებმა როუზს კოჭის ტრავმა დაუდგინეს.

ჯერჯერობით უცნობია დერიკის მოედანზე დაბრუნების ზუსტი თარიღი, მაგრამ კლუბთან დაახლოებული წყაროს ცნობით, უახლოეს მატჩებში გამთამაშებლის მონაწილეობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

მიმდინარე რეგულარული ჩემპიონატის 35 მატჩში როუზის სტატისტიკა 23.0 ქულას, 7.9 შედეგიან გადაცემასა და 3.5 მოხსნას უდრის.

### ● ბეისბოლი

# ტრავმა ტრიბუნაზე

ამერიკის მთავარი ბეისბოლის ლიგის (MLB) კლუბის – "კოლორადო როკისის" გულშემატკივარმა **ჯუდიტ რიზმა** ტვინის შერყევა მიიღო მას შემდეგ, რაც მატჩის მსვლელობისას მოედნიდან გაშვებული ბურთი თავში მოხვდა. 9 აპრილს რიზი 69-ე დაბადების დღეს აღნიშნავდა და მან "როკისისა" და "სან ფრანცისკო ჯაიანტსის" მატჩზე დასწრება გადაწყვიტა. მეოთხე ინინგში (მატჩის მეოთხე პერიოდი) "როკისის" მოთამაშე **მაიკლ კადაიერმა** ცუდად მოიგერია ბურთი, რომელიც პირდაპირ თავში მოხვდა რიზს.

თამაში დროებით შეჩერდა, რადგან ექიმებს საკმაო დრო დასჭირდათ იუბილარისთვის სამედიცინო დახმარების გასაწევად. ქალბატონი ტვინის შერყევით საავადმყოფოში გადაიყვანეს და დამატებითი გამოკვლევის შემდეგ შინ გაუშვეს.

*"მე მხოლოდ ბურთს ვხედავდი, დავინახე მისი ტრაექტორია და ისიც, თუ როგორ მოხვდა თავში ქალს. იმედია, მას ყველაფერი წესრიგში ექნება"*, - განაცხადა სახიფათო დარტყმის ავტორმა კადაიერმა.

როგორც Fox Sports იტყობინება, ყველაფრის მიუხედავად, დაზარალებული მიიჩნევს, რომ მისმა დაბადების დღემ კარგად ჩაიარა. *"მხოლოდ ორი ცუდი ამბავი მოხდა: თამაში ბოლომდე ვერ ვნახე და "როკისმა" წააგო"*, - თქვა რიზმა.

"ჯაიანტსის" ბეისბოლისტებმა შეხვედრა 7:0 მოიგეს. დასავლეთ დივიზიონში "როკისი" და "ჯაიანტსი" შესაბამისად, მესამე და მეოთხე ადგილებს იკავებენ. ახლახან დაწყებულ რეგულარულში გუნდებს თითო მოგება და სამსამი წაგება აქვთ.



ინციდენტის შემდეგ

■ ■ ■

MLB-ის ლიგაში მოთამაშე "ფლორიდას" მომავალი ხუთი მატჩის ჩატარება მთავარი მწვრთნელის **ოზი გილენის** გარეშე მოუწევს.

კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა დროებით ჩამოაშოროს მწვრთნელი სამუშაოს, რადგან ამ სპეციალისტმა ღიად გამოხატა აღფრთოვანება კუბის ლიდერის, **ფიდელ კასტროს** მიმართ.

### ● ჩოგბურთი

# ნადალი-ჯოკოვიჩი სანტიაგო ბერნაბეუზე



მომავალი მეტოქეები

14 ივლისს, მადრიდის ლეგენდარულ სტადიონზე – "სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმართება საჩვენებელი საჩოგბურთო შეხვედრა მსოფლიოს პირველ და მეორე ნომრებს – სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩსა** და ესპანელ **რაფაელ ნადალს** შორის.

როგორც ადრე ვწერდით, ნადალის მეტოქე ლეგენდარული შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ უკანასკნელმა თავის გრაფიკში თავისუფალი დრო ვერ იპოვა და აქციაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

ეს საჩვენებელი შეხვედრა ეძღვნება ფიფა-ს ვერსიით XX საუკუნის საუკეთესო გუნდის – მადრიდის "რეალის" დაარსების 110 წლისთავს.

ვარაუდობენ, რომ ნადალისა და ჯოკოვიჩის შეხვედრის სანახავად 80 ათასზე მეტი მაყურებელი მივა, რითაც ეს იქნება ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე დასწრებადი მატჩი.

შეხვედრიდან შემოსული სრული თანხა ნადალისა და "რეალის" საქველმოქმედო ფონდებს გადაერიცხებათ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

# კანადა თითქმის გაირკვა



გეტცლაფი და პერი

ვანკუვერის ოლიმპიადის ორი ჩემპიონი ითამაშებს კანადის ნაკრებში მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე. "ანაჰაიმის" ფორვარდებმა - **რაიან გეტცლაფმა** და **კორი პერიმ** თანხმობა განაცხადეს შვედეთსა და ფინეთში გამგზავრებაზე, სადაც 4-20 მაისს პლანეტის პირველობა გაიმართება.

კიდევ ერთმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა – "კალგარი ფლეიმზის" ვეტერანმა ფორვარდმა **ჯერომ იგინლამ** უარი თქვა ჩემპიონატში მონაწილეობაზე.

კანადის ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა **კევინ ლოუმ** ჰოკეის ეროვნული ლიგის კიდევ რამდენიმე წამყვანი მოთამაშისგან მიიღო თანხმობა. ესენი არიან ფორვარდები: **ჯონ ტავარესი** ("აილენდერსი"), **ჯორდან ებერლე** ("ედმონტონი"), **ევანდერ კეინი** და **ენდრიუ ლედი** (ორივე – "ვინიპეგი"), **რაიან ო'რაილი** ("კოლორადო"), **ჯეიმი ბენი** ("დალასი") და **ჯეფ სკინერი** ("კაროლინა").

მცველთაგან კანადის ნაკრებში ვიხილავთ: **ჯეი ბოუმისტერს** ("კალგარი"), **დიონ ფანოფს** ("ტორონტო"), **პი კეი სუბანს** ("მონრეალი") და **მარკ მეტოტს** ("კოლამბუსი"). მეკარეთაგან, ჯერჯერობით, მხოლოდ **კემ უორდის** ("კაროლინა") თანხმობის შესახებ არის ცნობილი.

ჯერჯერობით უცნობია, ითამაშებს თუ არა პლანეტის პირველობაზე NHL-ის გასული რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი **სტივენ სტემოსი** ("ტამპა ბეი"). მან უახლოეს ხანში უნდა აცნობოს კანადის ნაკრების სამწვრთნელო შტაბს თავისი გადაწყვეტილების შესახებ.

ბოლო ორ ჩემპიონატზე კანადის ნაკრები მეოთხედფინალიდან ეთიშებოდა ბრძოლას. წლევანდელი ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე მისი მეტოქეები იქნებიან ფინეთის, აშშ-ის, შვეიცარიის, სლოვაკეთის, ბელარუსის, საფრანგეთისა და ყაზახეთის ნაკრებები.

# კაპიტანი პლეი ოფს დაიწყებს

"ჩიკაგო ბლექჰოქსის" კაპიტანი **ჯონათან ტეუვზი**, რომელმაც რეგულარული ჩემპიონატის ბოლო 22 მატჩი ტვინის შერყევის გამო გამოტოვა, შეძლებს "ფინიქსის" წინააღმდეგ პლეი ოფის პირველ მატჩში მონაწილეობის მიღებას.

ცენტრფორვარდი თავის მუდმივ პარტნიორებთან – **პატრიკ კეინთან** და **მარიან ჰოსასთან** ერთად ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ვარჯიშობს. ტეუვზის დაბრუნების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული, მაგრამ მის თამაშში ეჭვი თითქმის არავის ეპარება.

"ჩიკაგოსა" და "ფინიქსს" შორის სერია პარასკევს დაიწყება.

■ ■ ■

ასევე დიდია იმის შანსი, რომ "ფილადელფიასა" და "პიტსბურგის" სერიის პირველ მატჩში ითამაშოს თავდამსხმელმა **დენი ბრიერმა**, თუმცა "ფლაიერზის" ხელმძღვანელობა ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კომენტარს არ აკეთებს.

ბრიერმა დაზიანება რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს მიიღო და მხოლოდ ახლახან განაახლა ვარჯიში.

ფორვარდის გარდა, "ფილადელფიაში" აღდგენით პროცესს გადის მცველი **ნიკლას გროსმანი**.


ჯონათან ტეუვზი

კრივი

# აქაც ჩხუბი


პრესკონფერენციის ეპიზოდი

61.2-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, ამერიკელმა **ბრენდონ რიოსმა** პირდაპირ პრესკონფერენციაზე მოაწყო ჩხუბი. ჟურნალისტებთან შეხვედრა რიოსისა და კუბელი **რიჩარდ აბრილის** მომავალ ბრძოლას ეძღვნებოდა.

ყოფილი ჩემპიონი მოულოდნელად დაესხა თავს მოწინააღმდეგეს და დაცვის თანამშრომლებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ მათ გასაშველებლად.

ამ მოკრივეებს შორის წინა ინციდენტს მარტში, ქალაქ მაიამიში ჰქონდა ადგილი. რიოსი 14 აპრილს, კიდევ ერთ კუბელთან - **იურიორკის გამბოასთან** ბრძოლისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაში მონაწილეობდა. ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მივიდა აბრილი, რომელმაც ამერიკელს განუცხადა, რომ მან არა გამბოასთან, არამედ აბრილთან უნდა იჩხუბოს. ამის შემდეგ დაიწყო საკონფერენციო დარბაზში მოკრივეებს შორის გაწევ-გამოწევა.

საბოლოოდ, გამბოასთან შეხვედრა ჩაიშალა, რის შემდეგაც რიოსი აბრილს მოელაპარაკა. ეს ბრძოლა 14 აპრილს ლოს ანჯელესში გაიმართება.

25 წლის რიოსმა პროფესიულ რინგზე 30 ბრძოლა გამართა და 29 გამარჯვება (22 - ნოკაუტით) მოიპოვა, კიდევ ერთი შეხვედრა ფრედ დასრულდა. 2011 წელს ამერიკელი WBA-ის ვერსიით იყო მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ იმავე წლის დეკემბერში, ბრიტანელ **ჯონ მიურეისთან** ბრძოლის წინ წონის ლიმიტში ვერ ჩაეტია და გამარჯვების მიუხედავად, ტიტული ჩამოართვეს.

29 წლის აბრილს 20-დან 17 გამარჯვება (რვა – ნოკაუტით), ორი წაგება და ერთი ფრე აქვს. დღეს ის WBA-ის დროებითი ჩემპიონის სტატუსით სარგებლობს. სწორედ ეს ტიტული გათამაშდება რიოსთან შეხვედრაში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

TV პროგრამა

**11 აპრილი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXI ტურის მიმოხილვა.
11:00 იტალიის ჩემპიონატი. XXX ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXX ტური. ვერდერი-ბორუსია (მ).
14:00 იტალიის ჩემპიონატი. XXXI ტური. კიევო-მილანი.
16:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXII ტური. ბარსელონა-ხეტაფე. ბარსელონა-ხეტაფე.
18:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXX ტურის მიმოხილვა.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXI ტური. მანჩესტერ იუნ-ქუინზ პარკი.
21:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXX ტური. დორტმუნდი-ბაიერნი (LIVE).
00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXII ტური. ატლეტიკო-რეალი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰანოვერი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ბოსტონი.
14:30 სუპერკოლაჟი.
15:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მონპელიე-სოშო.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. III წრე. მაიამი. აშშ.
19:10 სუპერკოლაჟი.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ბოსტონი.
22:15 NBA Action.
22:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XXXI ტური. იუვენტუსი-ლაციო (LIVE).
00:45 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვეენი-აიაქსი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. I წრე. მონტე კარლო.
13:00 სპორტ-NEWS.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. I წრე. მონტე კარლო.
16:30 სუპერკოლაჟი.
17:00 სპორტ-NEWS.
17:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
19:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-მემფისი.
21:30 ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.
22:15 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
22:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXXII ტური. უიგანი-მანჩესტერ იუნ (LIVE).

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ინგლისი | |
|---|---|
| ბლექბერნი-ლივერპული | 2:3 |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ბრაიტონი-რიდინგი | 0:1 |
| პორტსმუთი-მილუოლი | 0:1 |
| **I ლიგა** | |
| როჩდეილი-შეფილდი | 2:5 |
| **კონფერენსი** | |
| ფლიტვუდი-რექსჰემი | 1:1 |

| იტალია | |
|---|---|
| კიევო-მილანი | 0:1 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ოსასუნა-ესპანიოლი | 2:0 |
| სოსიედადი-ბეტისი | 1:1 |
| ბარსელონა-ხეტაფე | 4:0 |

| გერმანია | |
|---|---|
| აუგსბურგი-შტუტგარტი | 1:3 |
| ჰერტა-ფრაიბურგი | 1:2 |
| მაინცი-კიოლნი | 4:0 |
| ვერდერი-ბორუსია (მ) | 2:2 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ბრანშვაიგი-ფიურტი | 0:0 |
| კოტბუსი-ჰანზა | 0:1 |
| ფორტუნა-ფრანქფურტი | 1:0 |
| სტ. პაული-უნიონი | 2:1 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ოსნაბრიუკი-ბაბელსბერგი | 1:0 |
| ერფურტი-ჰაიდენჰაიმი | 2:0 |
| ზაარბრიუკენი-ზანდჰაუზენი | 2:1 |
| აალენი-კარლ ცაისი | 4:1 |
| ვეენი-უნტერჰახინგი | 0:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ვოლფსბურგი A-ჰერტა A | 2:1 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| მიუნხენი A-ბაიერნი A | 0:1 |
| ფრანქფურტი A-ზონენჰოფი | 0:5 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| კიოლნი A-ფორტუნა A | 2:0 |
| ელვერსბერგი-დორტმუნდი A | 1:2 |
| კობლენცი-შალკე A | 0:2 |
| გლადბახი A-ვიდენბრუკი | 1:1 |
| ფერლი-ობერშტაინი | 0:4 |

| საფრანგეთის თასი | |
|---|---|
| **1/2 ფინალი** | |
| გფკო აიაჩო-ლიონი | 0:4 |

| ჰოლანდია | |
|---|---|
| ექსელსიორი-ნიმეგენი | 0:2 |

| შოტლანდია | |
|---|---|
| **I დივიზიონი** | |
| მორტონი-პარტიკი | 1:0 |
| ფალკირკი-ჰემილტონი | 3:0 |
| დანდი-ქუინი | 1:1 |
| რეითი-ლივინგსტონი | 0:3 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| ვოლერენგა-ვიკინგი | 1:0 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ატვიდაბერგი-გეფლე | 6:1 |

| ავსტრიის თასი | |
|---|---|
| **1/4 ფინალი** | |
| გრიოდიგი-რიდი | 2:3 |

| თურქეთის თასი | |
|---|---|
| **1/4 ფინალი** | |
| ესქისეჰირი-ანთალია | 3:0 |

| ირლანდია | |
|---|---|
| **ლიგის თასი** | |
| დროგედა-ბოჰემიანსი | 1:1 პენ. 4:3 |
| ლონგფორდი-დანდალკი | 1:2 |

| უელსი | |
|---|---|
| აფან ლიდო-ებერიტსვიტი | 0:2 |

| პოლონეთის თასი | |
|---|---|
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| ვისლა-რუხი | 3:1 პენ. 5:6 (1:3) |

| უნგრეთის თასი | |
|---|---|
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| ვიდეოტონი-მტკ | 0:2 (3:2) |

| ბელარუსი | |
|---|---|
| ტორპედო-სლავია | 0:0 |
| შახტიორი-მინსკი | 7:0 |
| გომელი-ნაფტანი | 0:0 |
| დინამო (მნ)-ბელშინა | 1:0 |
| ნემანი-დინამო (ბრ) | 1:1 |

| ესტონეთი | |
|---|---|
| კალევი-კალიუ | 0:2 |
| ფლორა-პაიდე | 1:0 |
| ლევადია-კურესაარე | 5:0 |
| ტამეკა-კალევი | 2:1 |

| ისრაელის თასი | |
|---|---|
| **1/4 ფინალი** | |
| მაკაბი (ნ)-ჰაპოელი (თ-ა) | 0:1 |
| მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (ნ-ე) | 2:0 |

| ფინეთის თასი | |
|---|---|
| ჰამეენლინა-ჰონკა | 0:4 |
| ატლანტისი-კიფენი | 3:0 |
| ელფ-კუუსიუსი | 4:1 |
| მარიეჰამნი-იუვიასკიულა | 4:1 |

| ჩრ. ირლანდია | |
|---|---|
| კერიკი-გლენავონი | 4:4 |
| დუნგანონი-ბალიმენა | 2:4 |
| ლისბურნი-დონეგალი | 3:0 |
| კოლრეინი-გლენტორანი | 1:1 |
| კრუზეიდერსი-პორტდაუნი | 0:1 |
| ლინფილდი-კლიფტონვილი | 2:1 |

**კალათბურთი**

| საბერძნეთი | |
|---|---|
| პანათინაიკოსი-კოლოსოსი | 100:57 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| შალონი-როანი | 75:56 |

**ჰოკეი**

| ჩეხეთი | |
|---|---|
| პარდუბიცე-ბრნო | 5:6 |
| **შვედეთი** | |
| შელეფტეო-ბრიუნესი | 3:6 |

**ჩოგბურთი**

| ATP. კასაბლანკა | |
|---|---|
| რიბა-**რამოსი** | 2:6, 3:6 |
| დელ ბონისი-**შარდი** | 4:6, 5:7 |
| **ჰანესკუ**-ჟაზირი | 6:2, 3:0 უარი |
| **მატიო**-ხიადი | 6:3, 6:1 |
| ვოლანდრი-**ბახინგერი** | 3:6, 6:3, 3:6 |
| **ჩიპოლა**-იდმბარეკი | 6:1, 2:6, 6:1 |
| მაშადო-**გუტიერესი** | 2:6, 1:6 |
| **სტარაჩე**-ბაუტისტა | 6:4, 7:5 |
| ჰაასე-**ოუჰაბი** | 3:6, 2:6 |
| **ATP. ჰიუსტონი** | |
| **ლორენცი**-ოდესნიკი | 6:7, 6:2, 6:3 |
| მალისე-**კუნიცინი** | 4:6, 2:6 |
| სოედა-**იტო** | 4:6, 5:7 |
| **სებალიოსი**-უნგური | 6:3, 6:3 |
| **WTA. ბარსელონა** | |
| **ციბულკოვა**-ბრემონი | 6:0, 6:3 |
| ტორპი-**ზაკოპალოვა** | 3:6, 4:6 |
| **ბეიგელციმერი**-კადანტუ | 6:3, 7:6 |
| არუაბარენა-**პენეტა** | 0:6, 4:6 |
| ბონა-**სუარეს ნავარო** | 3:6, 1:6 |
| **კაბესა**-ბრატჩიკოვა | 6:2, 7:5 |
| **პოუს ტიო**-ბ. ზახავალოვა | 6:1, 6:2 |
| რეზაი-**გორგესი** | 4:6, 0:6 |
| სკიავონე-**გოვორცოვა** | 4:6, 3:6 |
| სოლერი-**დომინგეს ლინო** | 1:6, 2:6 |
| **WTA. კოპენჰაგენი** | |
| **ნიკულესკუ**-სავინიხი | 6:2, 6:2 |
| **ბარტელი**-ლარსონი | 6:3, 6:4 |
| ჩინკი-**კეოტავონგი** | 6:4, 2:6, 3:6 |
| **კორნე**-ეიდესგაარდი | 6:0, 6:0 |
| **კანეპი**-როდიონოვა | 6:3, 6:4 |
| ბეკი-**მარტიჩი** | 4:6, 4:6 |
| **კონტა**-პერვაკი | 6:3, 6:0 |
| **ვოზნიაცკი**-უ. რადვანსკა | 7:6, 6:2 |
| ჩაკვეტაძე-**პარმენტიე** | 5:7, 1:6 |
| **მეირი**-არვიდსონი | 7:5, 5:7, 6:1 |
| ფორეცი-**კერბერი** | 6;4, 2:6, 5:7 |

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 14 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 15 | 27 | (მზე) |
| ბათუმი | 10 | 17 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 11 | 20 | (მზე) |
| ზუგდიდი | 12 | 26 | (მზე) |
| გორი | 12 | 26 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 12 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 3 | 15 | (მზე) |
| გუდაური | 2 | 12 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 3 | 20 | (მცირე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1419 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6387 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5993 |
| 100 რუსული რუბლი | 5.5623 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი




# ირანმა ლონდონი დაბლოკა

ირანის მთავრობის გადაწყვეტილებით, ქვეყანაში ინტერნეტის მომხმარებლებს ლონდონის ოლიმპიური თამაშების ოფიციალურ ვებგვერდზე შესვლის საშუალება არ აქვთ – ირანში ეს გვერდი დაბლოკილია.

როგორც BBC იუწყება, London2012.com-ის ნაცვლად, მონიტორზე ავტომატურად იხსნება Peyvandha.ir – ირანული საძიებო პორტალი. ინტერნეტის ირანელი მომხმარებლების 99-მა პროცენტმა უარყოფითი პოზიცია გამოხატა ამგვარი ბლოკირების გამო. ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებს ჯერ არ გაუკეთებიათ ოფიციალური კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით.

ადრე ირანის ოფიციალური პირები აცხადებდნენ, რომ ქვეყანამ, შესაძლოა, ბოიკოტი გამოუცხადოს ოლიმპიურ თამაშებს "რასისტული" ემბლემის გამო. ირანელი ჩინოვნიკები აღაშფოთა იმან, რომ ემბლემაზე 2012-ის ნაცვლად იკითხება სიტყვა – Zion ("სიონი" - იერუსალიმის ბიბლიური სახელწოდება), მაგრამ მოგვიანებით გადაწყდა, რომ ირანი მაინც გაუშვებდა საკუთარ სპორტსმენებს ლონდონის ოლიმპიადაზე, რომელიც ბრიტანეთის დედაქალაქში 27 ივლისს დაიწყება.

# ხელბურთი ევროპელებისაა

გაირკვა ოლიმპიადაზე მამაკაცებს შორის ხელბურთის ტურნირის ყველა ფინალისტი. ამ დღეებში სამ ქალაქში – ხორვატიის ვარაჟდინში, ესპანეთის ალიკანტესა და შვედეთის გიოტებორგში გაიმართა ლონდონის თამაშების საკვალიფიკაციო შეჯიბრებები და კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სპორტის სათამაშო სახეობებში ყველაზე "ევროპული" სპორტი სწორედ ხელბურთი გახლავთ.

სხვა კონტინენტის ვერც ერთმა წარმომადგენელმა ვერ შეძლო კვალიფიკაციის გავლა. არაევროპელების ერთადერთი ლოკალური წარმატება გახდა ბრაზილიის ნაკრების მაკედონიაზე გამარჯვება, თუმცა ის მატჩი ბოლო დღეს არაფერს წყვეტდა.

სამივე ქალაქში გამარჯვება ორგანიზატორმა ქვეყნებმა მოიპოვეს - ხორვატიამ, ესპანეთმა და შვედეთმა, რის შემდეგაც ოლიმპიადის მონაწილეთა სრული სია ასე გამოიყურება:

ბრიტანეთი, საფრანგეთი, დანია, ესპანეთი, ხორვატია, შვედეთი, უნგრეთი, ისლანდია, სერბეთი, არგენტინა, სამხრეთ კორეა და ტუნისი.

## ამპუტანტი არ ნებდება

800 მეტრზე მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **კასტერ სემენია** და ცნობილი მორბენალი-ამპუტანტი **ოსკარ პისტორიუსი** მონაწილეობას მიიღებენ სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატში, რომელიც ამ კვირას გაიმართება და მისი მიხედვით შედგება ლონდონის ოლიმპიადაზე გასამგზავრებელი ნაკრების შემადგენლობა.

შეგახსენებთ, რომ სემენიამ ვერ შეძლო პირველი ცდიდან ლონდონის თამაშებზე მოხვედრა, რადგან ჩააგდო ტურნირი პოტჩეფსტრუმში. იქ მან მოკრძალებული შედეგი დააფიქსირა – 2.03,60. ოლიმპიადაზე გასამგზავრებლად კი შემდეგი ნორმატივის შესრულებაა საჭირო – 1.59,90.

რაც შეეხება პისტორიუსს, რომელიც 400 მეტრზე სპეციალიზდება, მან ეს დისტანცია 45,30 წამზე სწრაფად უნდა გაირბინოს. ამ შემთხვევაში ის გახდება პირველი ამპუტანტი სპორტსმენი, რომელიც ოლიმპიურ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას.

## დენგი და გორდონი თანახმა არიან

ბრიტანეთის კალათბურთის ფედერაციამ დაასახელა მამაკაცთა საკალათბურთო ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში.

სია 21 კალათბურთელისგან არის შემდგარი და მათ შორის ვხედავთ NBA-ის ვარსკვლავებს – **ლუოლ დენგსა** ("ჩიკაგო") და **ბენ გორდონს** ("დეტროიტი"). ამ დუეტმა ოფიციალურად განაცხადა თანხმობა მომავალ თამაშებში მონაწილეობაზე. ასევე შეიყვანეს სიაში NBA-ის ყოფილი ფორვარდი **პოპს მენსა-ბონსუ**.

# ესტაფეტას სპიროსი დაიწყებს

გუშინ გაირკვა, რომ ლონდონის ოლიმპიადის ჩირაღდნის ესტაფეტას ბერძენი მოცურავე **სპიროს გიანიოტისი** დაიწყებს.

ცეცხლს 10 მაისს, საბერძნეთის პროვინცია ოლიმპიაში დაანთებენ. ღია წყალზე მსოფლიოს ჩემპიონი გიანიოტისი ჩირაღდანს ტრადიციული რიტუალის შემდეგ მიიღებს. სანამ ოლიმპიურ ცეცხლს ლონდონის ოლიმპიადის ორგანიზატორებს გადასცემენ, ჩირაღდანი საბერძნეთის ტერიტორიაზე იმოგზაურებს და ეს ესტაფეტა ათენის იმ სტადიონზე დასრულდება, რომელზეც 1896 წელს თანამედროვეობის ისტორიაში პირველი ოლიმპიადა ჩატარდა.

გიანიოტისი ბრიტანეთში დაბადებული ბერძენია, რაც სიმბოლურია იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ ეს ქვეყანა ატარებს ზაფხულის თამაშებს.

საბერძნეთის ტერიტორიაზე ჩირაღდნის ესტაფეტის ბოლო ნაწილში მონაწილეობას მიიღებენ ძალოსანი **პიროს დიმასი** და ტანმოვარჯიშე **ლი ნინი**, რომელმაც პეკინის ოლიმპიადის ცეცხლი დაანთო.


სპიროს გიანიოტისი

ფორმულა 1

# ამერიკაც იშლება?


აქ ოსტინის ტრასა იქნება

ავტორიტეტული ბრაზილიელი ჟურნალისტი **ლივიო ორიჩიო** ამტკიცებს, რომ 2012 წლის ჩემპიონატზე დაგეგმილი 20 ეტაპიდან მხოლოდ 18 გაიმართება. ბაჰრეინის გრანპრის გაუქმების გარდა (როგორც ამას გუნდების წარმომადგენლები აცხადებენ), სავარაუდოდ, ჩაიშლება ნოემბერში დაგეგმილი აშშ-ის გრანპრი, რომელსაც ქალაქმა ოსტინმა უნდა უმასპინძლოს.

*"მშენებლობის ტემპები მნიშვნელოვნად ჩამორჩება გრაფიკს, გარდა ამისა, არსებობს კონფლიქტი ორგანიზატორებსა და ტექსასის შტატის მთავრობას შორის. ორივე მხარე ერთმანეთს ავალდებულებს ფორმულა 1-ის მენეჯმენტისთვის 18 მილიონი დოლარის გადახდას. ამიტომაც ჩემპიონატი, რომელიც თავიდან 20 ეტაპის გამართვას ითვალისწინებდა, მხოლოდ 18-ეტაპიანი იქნება"*, - ამტკიცებს ორიჩიო.

ამ მომენტისთვის ოსტინის ეტაპის ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს.

■ ■ ■

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, ფორმულა 1-ის ჩემპიონატში მონაწილე რამდენიმე გუნდი ეჭვს გამოთქვამს ბაჰრეინში გამგზავრების აუცილებლობაზე - მათი მოსაზრებით, ქვეყნის მთავრობას არ შეუძლია ეტაპის მონაწილეებისა და სტუმრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ფორმულა 1-ის ბოსმა **ბერნი ექლსტოუნმა** განაცხადა, რომ ბაჰრეინის გრანპრის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ, ქვეყნის მთავრობამ ან რბოლის ორგანიზატორებმა.

ამავდროულად, ექლსტოუნი, რომელიც გუნდების წარმომადგენლებს ესაუბრა, ამტკიცებს, რომ არავინ აიძულებს გუნდებს ეტაპში მონაწილეობას: "ვისაც არ სურს, შეუძლია უარი განაცხადოს ბაჰრეინში გამგზავრებაზე".

გოლფი

# ისტორიული მასტერსი

ჯორჯიის შტატის ქალაქ ოგასტაში დასრულდა პროფესიული ტურის პირველი დიდი ტურნირი – მასტერსი.

ბოლო დღეს ლიდერის რანგში შეხვდა შვედი **პეტერ ჰანსონი**, რომელიც ერთი დარტყმით უსწრებდა ლეგენდარულ **ფილ მიკელსონს**. მაგრამ სკანდინაველმა ზეწოლას ვერ გაუძლო და ტურნირი მესამე ადგილზე დაასრულა, უფრო სწორად, მესამე პოზიცია გაიყო კიდევ სამ მეგოლფესთან, რომელთა შორის სწორედ მიკელსონიც იმყოფებოდა.

სამხრეთაფრიკელი **ლუის ოსტჰუიზენი** ბოლო დღეს მესამე ადგილზე შეხვდა და მასტერსის ისტორიაში ერთ-ერთი ფანტასტიკური დარტყმის წყალობით ლიდერობის მოპოვება შეძლო.

მეორე ორმოზე ოსტჰუიზენმა "ალბატროსად" წოდებული დარტყმა შეასრულა – ეს იმას ნიშნავს, რომ მას ამ ორმოს ასაღებად სამით ნაკლები დარტყმა დასჭირდა. მასტერსის ხანგრძლივ ისტორიაში ეს არის მეოთხე შემთხვევა, როცა ასეთი ტიპის დარტყმა შესრულდა.

ამის შემდეგ ფილ მიკელსონიც ჩამოსცილდა ბრძოლას და საბოლოოდ, "მინუს 10"-ით პირველი-მეორე ადგილები ოსტჰუიზენმა და ამერიკელმა **ბუბა უოტსონმა** გაინაწილეს.

მათ შორის პლეი ოფი დაინიშნა და ამჯერად უოტსონის გმირობის ჯერი დადგა. მას ბოლო ორმოს გავლისას მაყურებლებში გადაუვარდა ბურთი, მაგრამ ამ რთული სიტუაციიდან ღირსეულად გამოვიდა და საბოლოოდ, დრამატულ ბრძოლაში აჯობა ოსტჰუიზენს.


ოსტჰუიზენი (მარჯვნივ) უოტსონს ულოცავს

უოტსონმა კარიერაში პირველი მეიჯორი მოიგო. მან ტურნირი განთესვის მე-16 ნომრად დაიწყო, ახლა კი რეიტინგში მეოთხე ადგილზე გადაინაცვლებს. ამერიკელმა მასტერსის მოგებისთვის მილიონ 440 ათასი დოლარი მიიღო.

რაც შეეხება ლეგენდარულ **ტაიგერ ვუდსს**, რომელსაც ოთხჯერ აქვს მოგებული მასტერსი, მან კარიერაში ყველაზე სუსტი მეიჯორი ითამაშა და ერთხელ ტბაში გადაუვარდა ბურთი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი **გია თვალაბეიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384.* *ელფოსტა: leloltd@gmail.com* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:45

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

9 772233 382000